№007
(12 384)
11 იანვარი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი ელექტრონული ბიბლიოთეკა

# რაგბის სეზონი სულ მალე იხსნება

## შემადგენლობა პორტუგალიისა და რუმინეთის წინააღმდეგ ცნობილია



**საქართველო 2 და 9 თებერვალს:**

I ხაზი: გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი).

II ხაზი: მამუკა გორგოძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (მონლუსონი), დიმიტრი ბასილაია (კლერმონი).

III ხაზი: გია ლაბაძე (ტულონი), გიორგი ჩხაიძე (მასი), რატი ურუშაძე (ლონსი), ბესო უდესიანი (ვალფრანში), შალვა სუთიაშვილი (დომონი).

9: ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

10: მერაბ კვირიკაშვილი (პო), ლაშა მალალურაძე (ყოჩები).

12-13: ირაკლი გიორგაძე (დაქსი), რეზო გიგაური (მონლუსონი), დავით კაჭარავა (ყოჩები).

11,14,15: ბესიკ ხამაშურიძე (კანი), გიორგი შკინინი (უგუნდო), მალხაზ ურჯუკაშვილი (ორიიაკი), ოთარ ბარკალაია (ანდორა).

13

# მინდა, რუსეთს სტუმრადაც მოვუგოთ!

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან



4

# შერმადინი ყველაზე მაღალია



11



# რა ხდება დემეტრაძის თავს?

# რატომ გაუშვეს გოგუა?





# კვირკველიას ზაპოროჟიე ჯერ არ ადასტურებს

ლეგიონერების ამბები

2-3

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ლეგიონერები

# რატომ გაუშვა გოგუა ნალჩიკმა?

## გაჯიევმა პრობლემები პირველად ახსენა

რამენსკოეს „სატურნის“ ხელმძღვანელობამ პირველად მიანიშნა, თუ რა იყო ქართველი ნახევარმცველის, **გოგიტა გოგუას** გუნდიდან წასვლის რეალური მიზეზი. სიმართლე „სატურნის“ მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** გაამხილა.

დღემდე რამენსკოელები რუსულ მედიას უმტკიცებდნენ, თითქოს, გოგუამ მთელი სეზონის განმავლობაში თხუთმეტიოდე მატჩი ჩაატარა, თავი ვერ გამოიჩინა, გუნდს ვერ მოერგო, არენდაც დაუმთავრდა და იძულებული გავხდით, გაგვეშვაო.

გაჯიევი წესიერი კაცია და ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. მან, ფაქტობრივად, ქართველის ფეხბურთელი ცილისწამებისგან დაიცვა და სატრანსფერო პრობლემები პირველად ახსენა.

*„რატომ წავიდა გოგიტა გოგუა? დასამალი რაა. მის დარჩენასთან დაკავშირებით, გარკვეული ორგანიზაციული პრობლემები წარმოიქმნა, რომლის გადაწყვეტაც ჩვენმა კლუბმა ვერ მოახერხა.“* - განაცხადა გაჯიევმა „სპორტ-ექსპრესთან“.

როგორც ცნობილია, „სატურნმა“ ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო ფურცლის მფლობელ ანდრეი ჩერვიჩენკოს თანხა ვერ გადაუხადა და გოგუას ბედს კვლავაც ჩერვიჩენკო განაგებს.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა



ლადო ბურდული

# ბურდული არაბეთის ნაცვლად ბაკურიანში

საინტერესო ამბავი შევიტყვეთ ქართველი ნახევარმცველის, **ლადო ბურდულის** შესახებ. ლუგანსკის „ზარიას“ ფეხბურთელი, თურმე, დასვენებას არაბთა გაერთიანებულ ემირატებში გეგმავდა, მაგრამ კაცი ბჭობდაო... უცნობი ამბავი უკრაინულ ინტერნეტ-გამოცემა „ჰაივეის“ გაუმხილა.

*„ეს დასვენება დიდხანს დამამახსოვრდება. 2 დეკემბერს ჯერ თბილისში და შემდეგ უკვე არაბთა გაერთიანებულ ემირატებში გამგზავრებას ვაპირებდი. თუმცა საბაჟოზე არ გამიშვეს, რადგან ხელზე დეკლარირებულ თანხაზე მეტი აღმომაჩნდა. დაიწყეს გამოკვლევა, რატომ მოხდა და იძულებით დნეპროპეტროვსკში გაჩერება მომიწია. საბედნიეროდ, ყველაფერი გაირკვა და ფულს მალე დამიბრუნებენ. საბოლოოდ, დასვენება მაინც მოვახერხე, მაგრამ ზღვაზე ბანაობის ნაცვლად, ბაკურიანში თხილამურებზე დადგომა მომიხდა. ამის შემდეგ კი მამაჩემთან ერთად, მთაშიც დავისვენე.*

*თბილისში ჩემთვის ახალი წელი ჩასვლისთანავე დაიწყო. ვნახე დიდი ხნის უნახავი მეგობრები, ნათესავები... მერე ბავშვებს საახალწლო ზეიმზე გავყევი და შთაბეჭდილებებით ავივსე... ბავშვებმა იმდენი ლექსი მითხრეს, რომ მათი რეპერტუარი დავიზეპირე. მათ სჯერათ თოვლის ბაბუის არსებობის. მან ჩემს უფროსს მაგარი რობოტი „აჩუქა“, პატარას კი ფეხბურთელის ფორმა.“* - ხუმრობდა საბაჟოდან თავდაღწეული ბურდული.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# კლუბები შეთანხმდნენ, სიტყვა ჩასემზეა

**ერიკ რომეო ჩასემი** კვლავ ბაკურიანშია და „ზესტაფონის“ შემადგენლობაში ვარჯიშობს. ამის პარალელურად კი იმერული კლუბის მესვეურები სიონელ კოლეგებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას. როგორც „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** გვითხრა, კლუბები კამერუნელი ფორვარდის ფასზე ფაქტობრივად, უკვე შეთანხმებულები არიან. ახლა მნიშვნელოვანი თვით ფეხბურთელის პირადი კონტრაქტია. ზესტაფონელები შეეცდებიან, ჩასემს ხელსაყრელი პირობები შესთავაზონ, თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ აფრიკელი უკვე სხვა კლუბში შეეცდება მოწყობას. ყველაფერი ორ-სამ დღეში უნდა გადაწყდეს, ისე კი, უფრო სავარაუდო ისაა, ჩასემმა „ზესტაფონში“ თამაშზე თანხმობა რომ განაცხადოს.

მისი ამჟამინდელი მფლობელი „სიონი“ კი ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს. ბოლნისური გუნდის წევრები ამჟამად თბილისში არიან და დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვარჯიშობენ. „სიონის“ მთავარი მწვრთნელის, **გიორგი ყიფშიძის** განკარგულებაში 50-მდე ფეხბურთელია. აქედან ნახევარზე მეტი სინჯებს გადის, ამ დღეებში ყიფშიძე ამათგან 4-5 მოთამაშეს შეარჩევს და მათთან კონტრაქტები გაფორმდება.

ორი ახალწვეულის ვინაობა კი უკვე ცნობილია. მეორე წრეში „სიონის“ ღირსებას ნახევარმცველი **ბექა ნოზაძე** და თავდამსხმელი **შოთა ჯიქია** დაიცავენ. პირველი მათგანი აქამდე „მერანი“ ღირსებას იცავდა, მეორე კი „ბორჯომიდან“ გადაიბირეს.

13 იანვარს კი „სიონს“ პირველი ტესტ მატჩი აქვს დაგეგმილი. ჯიქიას ქუჩაზე მდებარე „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიის მოედანზე ქვემოქართლელთა მეტოქე პირველლიგელი „გაგრა“ იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ერიკ რომეო ჩასემი ოჯახთან ერთად

ლეგიონერი

# რა ხდება დემეტრაძის თავს?

შესაძლოა, უახლოეს პერიოდში კიევის „არესნალის“ მმართველობა დონეცკის „მეტალურგის“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი სელიუკს გადააბარონ.

აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინულ პრესა აქტიურად განიხილავს. როგორც ამტკიცებენ, სწორედ ამაზეა დამოკიდებული, დარჩება **გიორგი დემეტრაძე** კლუბში თუ არა.

უკრაინული „სპორტ-ექსპრესის“ ინფორმაციით თავდამსხმელი კიევის „არსენალიდან“ წასულია.

თუმცა, ერთერთი ინფორმაციის თანახმად, დემეტრაძე კიეველ მეთოფეებთან იმ შემთხვევაში დარჩება, თუკი სელიუკი თანამდებობაზე დაინიშნება. ქართველ თავდამსხმელს ცნობილ მენეჯერთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს და ყველა მნიშვნელოვანი ტრანსფერი მასთან შეთანხმებით განახორციელა.

უკრაინული მედია ამ ინფორმაციის დამადასტურებელ კომენტარს ან სანდო წყაროს არ ასახელებს.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი დემეტრაძე

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.



დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## ქვირქველიას ზაპოროჟიე ჯერ არ ადასტურებს

ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელი ანატოლი ჩანცევი ადასტურებს, რომ ქართველი ქართველი ნახევარმცველის, დათო კვირკველიას გადაბირება დონეცკის „მეტალურგს" სურს, მაგრამ...

ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ქართველმა კაპიტანმა ბოლო ორი წლის განმავლობაში უკრაინაში დიდი სახელი მოიპოვა, გუნდის ლიდერი გახდა და ყურადღება გაცილებით სოლიდურმა კლუბებმა მიაქციეს. დათომ დონეცკელთა ინტერესი „ლელოსთან" ღიად დაადასტურა და არც ის დამალა, რომ მალე, შესაძლოა, ამ კლუბთან კონტრაქტიც გააფორმოს.

ზაპოროჟიელთა მთავარ მწვრთნელ ანატოლი ჩანცევს ქართველის შესაძლო ტრანსფერზე უკრაინული „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტი დაეკითხა, მაგრამ მან ორაზროვანი პასუხი გასცა.

*„ასეთი ხმები ვრცელდება და მეც მესმის, მაგრამ კვირკველიას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და მის ნასვლაზე საუბრები მხოლოდ საუბრებადვე რჩება."* - განაცხადა ჩანცევმა.




დავით კვირკველია

## ჩერნომორეცმა მჟავანაძე გაუშვა

ოდესის „ჩერნომორეცმა" სეზონისთვის მზადება დაიწყო. გუშინ გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგ მარუსმა რამდენიმე საკადრო ცვლილებები გაამხილა. სიახლე ქართველ მცველ კახა მჟავანაძესაც შეეხო. მარუსის თქმით, „ჩერნომორეცი" მას საბოლოოდ დაემშიდობა.

შეგახსენებთ, რომ კახა მჟავანაძე ოდესის „ჩერნომორეცში" შარშან დაბრუნდა, მაგრამ საკმაოდ მალე არენდით პირველი ლიგის გუნდ „დნესტრში" გაუშვეს.

მერაბ მამულაშვილი



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

მერე რა, რომ ახალი წლის დადგომა პირდაპირ ეთერში პრეზიდენტობის მხოლოდ ერთმა კანდიდატმა მოგვილოცა?! მერე რა, რომ ხელგაშლილად წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის შემდეგ თბილისის მოყინულ ქუჩებზე მარილის დასაყრელად ფული ვერ გამოჩნდა?! მთავარი ხომ სულ სხვაა - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შვებით ამოისუნთქა - 5 იანვრის არჩევნებში მისმა სასურველმა კანდიდატმა გაიმარჯვა.

ჰოდა, ყველაფერი მზადაა კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გასაფორმებლად. ახალი მოდელის კონტრაქტს ბევრი დადებითი აქვს, მაგალითად, თუ ტოპის განვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ქულები ვერ დააგროვა, გერმანელი მწვრთნელი უწინდელივით მსუყე ჯამაგირს ვერ მიიღებს, რაც მას აიძულებს, უფრო მონდომებული და კონცენტრირებული იყოს.

მაგრამ მხოლოდ ამაში არ უნდა იყოს საქმე. ფედერაციას და ხელისუფლებას ძალიან არ ესიამოვნათ, მათმა რჩეულმა მწვრთნელმა ეროვნული ნაკრები წინა შესარჩევში ბოლოდან მეორე ადგილზე რომ გაიყვანა. ბოლოს და ბოლოს ასეთი შედეგი ვერანაირად ვერ გამოდგება პიარისთვის და თუ საქართველოს ნაკრებმა დამდეგი შესარჩევი ციკლიც ცუდად დაიწყო, მწვრთნელის გაშვება დიდი პრობლემა ალარ იქნება - ტოპი მხოლოდ კონტრაქტით გათვალისწინებულ მოჭრილ, არცთუ დიდ თანხას მიიღებს, ბონუსები კი ფედერაცია-ხელისუფლებას გადასახდელი ალარ ექნება. მოკლედ, ახალ კონტრაქტში დამცავი მექანიზმები აუცილებლად ექნება ჩადებული ფედერაციას, ტოპმიოლერს კი განაღდებული არ ექნება უწინდელივით მაღალი გასამრჯელო.

აქ თუ რალაც-რალაცეები გათვლილია, ჯერაც ბუნდოვანია, როგორ გამოუჩნდება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს რვა ფინანსურად მდგრადი გუნდი, როგორც ეს ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაში სწერია. ფედერაციის განმარტება ასეთია: როცა რომელილაც კომპანია სახელმიფოსგან შეიძენს საპრივატიზაციოდ გამოტანილ რომელიმე ობიექტს, იმავდროულად ვალდებული გახდება საფეხბურთო კლუბი იყოლიოს.

დავუშვათ, რომელილაც კომპანიას სურს იყიდოს პალიასტომის ტბა, მაგრამ ამ კომპანიის მფლობელს არ უყვარს ფეხბურთი. კონტრაქტის თანახმად ის იძულებული იქნება თავის მფლობელობაში გადასული კლუბი ფიქსირებული თანხით დააფინანსოს, მაგრამ თუ არ არის ჯიგარი და სიყვარული, გამოვა რამე?

ფული არ უჭირს ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ არ უყვარს ფეხბურთი და მისი „დინამოც" ვერ იბრუნებს ძველ დიდებას ევროსარბიელზე.

ეს კიდევ რა არის - განა ცოტა ყოფილა, საფეხბურთო კლუბისთვის რალაც თანხა რომ გამოყოფილა და გუნდში ამ თანხის ნახევარსაც რომ არ მიულწევია?

ფაქტობრივად, სახელმწიფო პროგრამით იხარჯება ფული აზერბაიჯანულ ფეხბურთშიც, მაგრამ მხოლოდ ფული იქაც არ შველის საქმეს.

მთავარი ალბათ ის არის, იმ ბიზნესმენებს შეუწყონ ხელი, ვისაც ფეხბურთი ფულის კეთებაზე არანაკლებ უყვართ, მაგრამ ხელისუფლებამ ჩვენთან სხვა გზა აირჩია.

დაფუძნებიდან დღემდე საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის, თასის და სუპერთასის კომერციალიზაციაზე ზრუნავს, იზიდავს სპონსორებს, ამასწინათ „VTB ბანკთანაც" გააფორმა კონტაქტი. მაგრამ ამით ფეხბურთს რა? საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დონე ჯერჯერობით დალმა მიდის. პროფლიგის ყოჩალი გარჯით ნაშოვნი სპონსორების გარდა კიდევ სხვა რალაცაცა საჭირო.



ერთი ლეგიონერი ეგებ პოლიტიკაშიც იყოს საჭირო

# No Justice, No Peace

## განა ეს ძალიან ცუდია?

ამასწინათ ერთ-ერთი ქართული კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, არასდროს გამოვალ იმის ინიციატივით, რომ ხელისუფლებისგან საგადასახადო შეღავათებს მივაღწიო, საფეხბურთო კლუბი რომ მყავს; არავინ არ მაწუხებს და ამითაც კმაყოფილი ვარო...

როგორც უნდა იყოს, სიახლეები ქართულ საკლუბო ფეხბურთსაც გამოუჩნდა, სიახლე კი წარმატების საწინდარია.

ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი და გოგიტა გოგუა - საქართველოს ეროვნული გუნდის სამი ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი უგუნდოდაა. ხშირად ბევრი რამ გამართლებაზეა დამოკიდებული და არა იმაზე, განგება სამართლიანად მოგექცევა თუ არა. უცნაურია,რომ ასეთი გაქანების ფეხბურთელებს გუნდის გამონახვისთვის უწევთ ზრუნვა.

ლევან ყენიასთან კი „შალკემ" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ყენიას გერმანულ მედიაში უკვე ხშირად მოიხსენიებენ - ის უკვე განსაკუთრებული ფეხბურთელი გახდა და საქართველოს პირობა მისცა, თავში არ ამივარდება და უკეთეს ყენიასაც იხილავთო.

სატრანსფეროდ საქართველოშიც დაიქოქნენ. რუსთავის „ოლიმპმა" ნახევარი გუნდი გაუშვა და მათი უკრაინელებით ჩანაცვლებას აპირებს. „ვიტ ჯორჯიამ" „ამერიდან" ბაჩანა ცხადაძე გადაიბირა, „ზესტაფონი" კამერუნელი ჩასემის აყვანას ცდილობს, „დინამომ" გიორგი ნერგაძე და შოთა გრიგალაშვილი დაიბრუნა, „ამერმა" პირველი გუნდიდან სამი ფეხბურთელი გაუშვა...

ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, „დინამოს" და „სიონის" ყოფილი მწვრთნელი, კახა ცხადაძე ბაქოს „სტანდარდს" გაწვრთნის. ცხადაძის მწვრთნელობით „დინამო" და „სიონი" საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, აზერბაიჯანში კი მან ნაკლებადამბიციური გუნდი უნდა გაწვრთნას - ასე მოიტანა დრომ. ერთმა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა დამირეკა და ცხადაძის „სტანდარდში" მისვლაზე მცირე ინტერვიუ ჩამომართვა, რატომ წავიდა საქართველოს ორგზის ჩემპიონი მწვრთნელი სუსტ აზერბაიჯანულ გუნდშიო. ეს მისთვის სიახლეა, ახალი გამოწვევაა - ვუპასუხე და ალბათ, მართლაც ასეა.

ზოგადად კი, როგორც კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგონი, ისე კარგ თქმასაც უნდა კარგი მთქმელი. NO Justice, NO Peace - გასულ კვირას რამდენჯერმე გავიგეთ ეს ქართულ სივრცეში, მაგრამ ეგ იყო და ეგ. თუ ფეხბურთში უსამართლობები ხდება, ბევრს არ ნაღვლობენ ამის გამო, რადგან ეს ფეხბურთის ნაწილია. ჩვენთან ფეხბურთი ზედმეტად პოლიტიზირებულიც კი გახდა - ასეთ შემთხვევაში უსამათრლობის რისკი ალბათ იზრდება.

მაგრამ, განა რა ხიბლი აქვს ფეხბურთს თუ ცხოვრებას უსამართლობების გარეშე?

დავით თავართქილაძე

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# მინდა, რუსეთი სტუმრადაც დავამარცხოთ!

**ნააxალწლევს, უცხოელი მწვრთნელებიდან თბილისში პირველი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხორვატი თავკაცი პეტარ სეგრტი დაბრუნდა. მისი ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი მხოლოდ საფეხბურთო არ გახლავთ. როგორც თავად აცხადებს, მისთვის ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია... ჯერჯერობით მასშტაბურად არა, მაგრამ უკვე შეუდგა ლატვიასთან 25 მარტის საშინაო ამხანაგური მატჩისთვის მზადებას. საინტერესოა თუ რას ფიქრობს სეგრტი ამ თამაშზე და საერთოდ... მას მორიგი სენსაციის შეთავაზება აქვს ჩაფიქრებული - სურს რომ რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრები ამჯერად უკვე სტუმრად დაამარცხოს. ამასთან საინტერესოა თუ რა საკადრო ცვილებებია მოსალოდნელი ჩვენს ახალგაზრდულში, რომელიც ფეხბურთელებთან ერთად მწვრთნელებსაც შეეხებათ. ხორვატი მწვრთნელისთვის ასისტენტი გელა შეყილაძე მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ თუ მას ჭაბუკთა ნაკრებს ჩააბარებენ...**



**- უპირველეს ყოვლისა შობა-ახალ წელს გილოცავთ. სად და ვისთან ერთად შეხვდით დღესასწაულებს?**

- დღესასწაულებს გერმანიაში შევხვდი. ხორვატიიდან დედაჩემი მესტუმრა და კარგად გავატარე დრო. ამას გარდა გერმანიაში პირადი საქმეებიც მოვაგვარე...

აქვე ერთსაც გეტყვით, ჩემი სურვილი იყო საპრეზიდენტო არჩევნებისას იმ ქვეყანაში ვყოფილიყავი, სადაც ვმუშაობ და რომელი ქვეყნის ნაკრებსაც ვწვრთნი. ამიტომ დავბრუნდი თბილისში 5 იანვარს გამთენიისას. მოხარული ვარ, რომ ქართველმა ხალხმა ამჯერადაც დემოკრატიას, პროგრესსა და განვითარებას მისცა ხმა. ეს წინსვლა მჯერა ფეხბურთშიც სათანადოდ აისახება.

**- კლაუს ტოპმიოლერთანაც გქონიათ საუბარი. ის რას აზრისაა?**

- რალა თქმა უნდა მისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ხდება საქართველოში. ის თქვენი ქვეყნის მთავარი გუნდის თავკაცია და აინტერესებდა რა ხდებოდა არჩევნებამდე და მის შემდეგ. კლაუს ტოპმიოლერს ამის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე.

**- საქართველოში როდემდე დარჩებით და როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?**

- 17 იანვრამდე თბილისში ვიქნები, მერე კი ავსტრიასა და შვეიცარიაში უნდა ჩავიდე. მე მწვრთნელი პროლიცენზიას ვფლობ და ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე პროლიცენზიის მქონე მწვრთნელთა შეკრება-სემინარი ჩატარდება. საქართველოდან გამგზავრებამდე კი 21-წლამდელთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრებთან, გელა შეყილაძესთან, ოთარ გაბელიასთან და სერგო კოტრიკაძესთან მექნება საუბარი და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრებთ. ამას გარდა, ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელთანაც მექნება საუბარი. მინდა კარგად გაითავისონ თუ რა გეგმები გვაქვს 2008 წელს. სულ 25 ფეხბურთელთან მინდა საუბარი და იმედი მაქვს ყველას ვნახავ. ლეგიონერებთან კი სატელეფონო საუბარი მექნება.

შესარჩევ ციკლში სექტემბერში რუსეთის ნაკრებთან გვაქვს თამაში. რუსეთი შინ არა მარტო დავამარცხეთ, არამედ ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ და ამ გუნდთან სტუმრადაც წარმატებით უნდა ვითამაშოთ. არავის წარმატებას არ ვაკნინებ, მაგრამ ფაქტია, რუსეთთან საშინაო მატჩი 14 წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოვიგეთ. მინდა ყველა ფეხბურთელს გავაგებინო თუ როგორ უნდა მოვემზადოთ და შევხვდეთ რუსეთთან თამაშს.

ნაკრებისთვის 40-მდე ფეხბურთელი მყავს შეგულებული. რალა თქმა უნდა შედეგი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია რომ ეროვნულ ნაკრებს რაც შეიძლებას მეტი ფეხბურთელი მივაწოდო. ჩვენ არა მარტო ტალანტები, არამედ ძლიერი ხასიათის ფეხბურთელები გვჭირდება. რუსეთთან გამარჯვება უმთავრესად სწორედ ამ მტკიცე ხასიათით იყო განპირობებული.

კარგად ვიცოდი თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ქომაგებისთვის რუსეთთან თამაშს, მაგრამ იმხელა ემოციებსა და კომპლიმენტებს, რაც ამ მატჩს მოყვა, ნამდვილად არ ველოდი. ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ქართველ ქომაგებს ეს ბედნიერი დღე ვაჩუქეთ. ამ თამაშიდან დღეების შემდეგ, ქომაგები, უბრალო ხალხი ქუჩაში მაჩერებდნენ და ავტოგრაფს მთხოვდნენ, ფოტოებიც კი გადაიღეს ჩემთან ერთ-ერთ კაფეში. მინდა კიდევ ერთი სენსაციის ავტორები ვიყოთ და რუსეთი ამჯერად უკვე სტუმრად დავამარცხოთ... ვფიქრობ ეს შესაძლებელია, რატომაც არა?

**- რუსეთთან 14 წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ვითამაშეთო ბრძანეთ. წლეულს ალბათ კიდევ არაერთი ფეხბურთელის დათმობა მოგელით. ეროვნულ ნაკრებს სწორედ შემოდგომაზე ეწყება ახალი შესარჩევი ციკლი. მათ სანაცვლოდ, ჭაბუკთა ნაკრებებიდან აიყვანთ მოთამაშეებს?**

- ამ ეტაპზე ნაადრევია იმაზე საუბარი შემოდგომაზე ვინ რა კონდიციაში იქნება. რა თქმა უნდა, რუსეთთან გასვლითი მატჩი ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნულისთვის უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელების მიწოდება. აგვისტოსთვის უკვე ნათელი იქნება თუ რომელი და რამდენი ფეხბურთელი დასჭირდება ეროვნულ ნაკრებს. რაც შეეხება ჭაბუკთა ნაკრების მოთამაშეებს, ჩვენ გაახალგაზრდავებაზეც არანაკლებ ვზრუნავთ. ყველამ ნახეთ რომ 12 დეკემბერს ლუქსემბურგში 3 ახალი ფეხბურთელით ვითამაშეთ. ლატვიასთან მარტის ამხანაგურ შეხვედრაში ძირითად ბირთვს დავეყრდნობით, მაგრამ ახალ ფეხბურთელებსაც გამოვცდით. მინდა ლატვიასთან მატჩისთვის ჩვენ გუნდში იყოს შოთა გრიგალაშვილი და სხვა ფეხბურთელები, მაგრამ მარტში ეროვნულსაც ექნება ამხანაგური შეხვედრა და შეიძლება გრიგალაშვილი ან სხვა ფეხბურთელები კლაუს ტოპმიოლერმა წაიყვანოს. ასევე მინდა გამოვცადო გიორგი ივანიშვილი, რომელმაც 19-წლამდელთა ნაკრებში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. იმასაც ვიტყოდი, რომ ლუქსემბურგთან 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები, ბეგლარიშვილი და შეყილაძე ვათამაშეთ. ჩვენ ვზრუნავთ ჭაბუკებზე და ყველანაირად ვცდილობთ ტალანტები ისე გავავითაროთ, როგორც ეს ყენიას, მაკარიძისა და მჭედლიძის შემთხვევაში მოხდა. ლუქსემბურგში პირველი გასვლითი გამარჯვება მოვიპოვეთ და რალა თქმა უნდა, ჩემი მიზანია ლატვიასთან ძლიერი კონტინგენტი შევკრიბო და რუსეთისა და ლუქსემბურგის შემდეგ, ზედიზედ მესამე მატჩი მოვიგოთ.

**- ჩვენი ინფორმაციით ჭაბუკთა ნაკრებს თავკაცები შეეცვლება. დიდი შანსია ერთ-ერთ ნაკრები თქვენმა ამჟამინდელმა ასისტენტმა გელა შეყილაძემ ჩაიბაროს. ამაზე რას იტყოდით?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტია არაა, ფედერაციის ხელმძღვანელობის კომპეტენციაა. ჩემი აზრით გელა დიდი ადამიანია. მას კარგი საფეხბურთო კარიერა ჰქონდა, ჩინებული პიროვნებაა და შეიძლება ითქვას, რომ ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელად უკვე ჩამოყალიბებულია. შეყილაძე, როგორც ჩემი ასისტენტი, ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ ჭაბუკთა ნაკრებს დასჭირდება, მაშინ რა მეთქმის?

**- თბილისში ცხოვრებას როგორ შეეგუეთ?**

- უკვე წელიწადზეზე მეტია საქართველოში ვცხოვრობ. არ მინდოდა სასტუმროში მეცხოვრა და ფედერაციის მადლიერი ვარ რომ ბინა დამიქირავეს. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მინდა ხშირი კონტაქტი მქონდეს უბრალო ადამიანებთან. მიხარია, რომ თბილისი დღითი დღე შენდება და მშვენდება. ძირითადად ქართული სამზარეულოს ვანიჭებ უპირატესობას, მაგრამ ერთი იტალიური რესტორანიც მაქვს შერჩეული და მასაც ვსტუმრობ ხოლმე.

**- ქართული სამზარეულოდან რამ მოგხიბლათ?**

- ქართული სამზარეული ძალიან მომწონს. განსაკუთრებით ხინკალი და ქაბაბი. მეტსაც გეტყვით, ქართულ კარტოფილს და პომიდორს რალაც განსაკუთრებული გემო და არომატიც აქვს.

**- საქართველო და ქართველები ძალიან გიყვართ და ქართველების სიძეობასაც ხომ არ აპირებთ?**

- ჩემი საქმე მხოლოდ ფეხბურთია. დიდი სურვილი მაქვს კიდევ დიდხანს ვიცხოვრო საქართველოში. მნიშვნელოვნად მივიჩნევ ენობრივ ბარიერს და ქართულსაც ვსწავლობ. თავს უფლებას არ მივცემ დამტვრეული ქართულით ვესაუბრო ჩემს ფეხბურთელებს და ამიტომაცაა, მოთამაშეებს ჩემს ნათქვამს თანაშემწე გელა შეყილაძე რომ გადასცემსა. ქართულსაც მალე ვისწავლი და მერე თავადვე ვესაუბრებიMმშობლიურ ენაზე ჩემს ფეხბურთელებს.

**- საქართველოს ჰიმნი თუ იცით და ქართული ტრადიციებიდან რა მოგწონთ?**

- ჰიმნი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს ჰიმნი ვიცი და ყველა მატჩის წინ ვმღერი კიდეც. ნაციონალურ ბალეტის კონცერტი ორჯერ ვნახე და ჩემზე წარუშლელი შტაბეჭდილება დატოვა. მართალი გითხრათ, ეს სანახაობა რამდენიმე საათით ფეხბურთსაც კი მავიწყებს. ხშირად მიფიქრია, ქართული ცეკვა და ფეხბურთი საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს. ამაზე მეგობრებთანაც მქონია საუბარი. ალბათ, კარგი იქნება თუ პოტენციურად მომავალი ფეხბურთელები, ადრეულ ასაკში ქართული ცეკვით მცირე ხანს მაინც იქნებიან დაკავებული. ის ჩინებულად ავითარებს კოორდინაციას და ფეხების სისხარტეს. მომავალ ფეხბურთელებს ეს ძალიან წაადგებათ.

**- საინტერესოა ქართული სადღეგრძელოებიდან რომელი მოგწონთ...**

- ქართული სუფრის ინსტიტუტი მშვენიერია. ყველა სადღეგრძელო ჩემთვის მისალებია, მაგრამ მეგობრობის სადღეგრძელო ჩემთვის მაინც ყველაზე უფრო გამორჩეულია. ჩემი მეგობარი გოგონა არაერთხელ მეკითხება ხოლმე საქართველოზე. რალა თქმა უნდა ყოველთვის ბევრს ვესაუბრები თქვენს მშვენიერ ქვეყანაზე, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ყოველთვის ერთი ფრაზით ვამთავრებ – თავად თუ არ გამოცადე საქართველოსა და ქართველების ხიბლი, გადმოცემით ამას სრულად ვერ შეიგრძნობ-მეთქი.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge


უცხოურ პრესაში. ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# ნეფთჩის ძლევასა და საპრიზო გუნდის შექმნას ვგეგმავთ



კახა ცხადაძე

**როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ კახა ცხადაძე ბაქოს „სტანდარდის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ ამბავმა აზერბაიჯანულ პრესაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ცხადაძეს უკვე ჩამოართვეს საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ, რომელსაც მცირედი შემოკლებით გთავაზობთ**

**- როგორ გახდით „სტანდარდის“ თავკაცი?**

- ამ შეკითხვაზე ჩემზე უკეთ კლუბის ხელმძღვანელები გიპასუხებენ. მე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „სტანდარდის“ დაინტერესების შესახებ ბადრი კვარაცხელიამ შემატყობინა, რომელიც უახლოეს წარსულში ბოლნისის „სიონში“ ჩემი ასისტენტი იყო, ფეხბურთელობისას კი აზერბაიჯანში რამდენიმე სეზონი ჰქონდა ნათამაშები. ბადრის საშუალებით, „სტანდარდის“ შეფები ტელეფონით დამიკავშირდნენ და ბაქოში მოლაპარაკებაც დავგეგმეთ.

**- როგორ მოგწონთ ახალი სამსახური?**

- ჩემთვის ეს კარგი გამოწვევაა. ბოლო სამ წელიწადში ჩემი გუნდი ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. მგონი, არცთუ ცუდი სტატისტიკაა. რა თქმა უნდა, არ მსურს მიღწეულით დავკმაყოფილდე. აზერბაიჯანული ვარიანტი იქნებ ტრამპლინადაც გამომადგეს. რა დასამალია და მომავალში ევროპაშიც მინდა ძალების მოსინჯვა. რაკი „სტანდარდში“ მომიწვიეს, ესე იგი, ჩემზე მარტო საქართველოში არაა მოთხოვნა.

**- თქვენს ახალ გუნდზე ინფორმაციის შეგროვება უკვე მოასწარით?**

- დიახ, გარკვეული ინფორმაცია უკვე მაქვს. „სტანდარდის“ თამაშების ვიდეოჩანაწერები გადმომცეს და უკვე მოვასწარი ხუთი მატჩის ნახვა.

შთაბეჭდილება კარგი დამრჩა, თუმცა შედეგებიდან გამომდინარე, იგივეს ვერ ვიტყვი. „სტანდარდს“ საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს და როგორც ჩანს, ისინი არც ფიზიკურ მომზადებაში უნდა მოიკოჭლებდნენ. ჩემი აზრით, კლუბს თამაშით არავისთან არ წაუგია, თვით „ნეფთჩისთანაც“ კი, მაგრამ მატჩის ანგარიშზე ეს სულ სხვაგვარად აისახა. ვფიქრობ, აზერბაიჯანული კლუბების დონეებს შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს. „სტანდარდის“ წარუმატებლობათა მიზეზებად პოზიციურ შეცდომებსა და არასწორ ტაქტიკას დავასახელებ. გუნდის ტაქტიკის თაობაზე ჩემი წინამორბედისგან აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულება მაქვს.

**- საინტერესოა, რა განსხვავებაა აზერბაიჯანელი და ქართველი მწვრთნელების სტილს შორის...**

- აზერბაიჯანულ ფეხბურთთან პირველი რეალური შეხება „სიონის“ მწვრთნელობისას მქონდა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბაქოს“ დავუპირისპირდით. მაშინ დავინახე, რომ აზერბაიჯანული სათამაშო სტილი ქართულისგან საკმაოდ განსხვავებული და ცოტა არ იყოს, ძველმოდურია. თქვენთან ძირითადად, სამი მცველით თამაშობენ, გამოკვეთილი ლიბეროთი. თანამედროვე ფეხბურთში კი ოთხი მცველი ხაზზეა განლაგებული. „სტანდარდიც“ ასე უნდა ათამაშდეს.

**- ტაქტიკური სქემის შეცვლა ძნელი ხომ არ იქნება?**

- და რა არის იოლი?! დრო საკმაოდ მაქვს, რათა გუნდს ჩემი იდეა გავათავისებინო. „სტანდარდს“ ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, ნესით, მათ ახალ სტილსა და მოთხოვნებთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეთ.

**- თქვენი კონტრაქტი ნახევარწლიანია. რა ამოცანა დაგისახეს?**

- ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ, გუნდი აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილზეა და ნამდვილად ვერ დაგპირდებით, რომ სეზონს საპრიზო ადგილზე დავასრულებთ, ეს უბრალოდ, არარეალურია. უმაღლეს მიზნებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ „სტანდარდი“ ყველა მატჩში შედეგზე ითამაშებს და მაქსიმალურად ეცდება, კარგი ფეხბურთი აჩვენოს. ამას გარდა, როგორც იცით, კლუბი ქვეყნის თასზეც აგრძელებს ბრძოლას. მეოთხედფინალურ შეხვედრებს „ნეფთჩის“ წინააღმდეგ ჩავატარებთ. ამ გუნდის დასამარცხებლად და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ყველაფერს ვილონებთ. ჩემი მთავარი ამოცანა კი ისეთი გუნდის შექმნაა, რომელიც შემდეგ სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას შეძლებს. „სტანდარდი“ პერსპექტიული და საკმაოდ ამბიციური კლუბია.

**- ცნობილია, რომ მეორე წრისთვის თურქეთში მოემზადებით და შემადგენლობასაც გააძლიერებთ. „სტანდარდში“ ქართველი ფეხბურთელების გამოჩენასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- შეკრებაზე მართლაც შემოგვიერთდება რამდენიმე მოთამაშე. მათ დავაკვირდებით და ვინც მოგვეწონება, კონტრაქტსაც გავუფორმებთ ქართველების შეძენა კი ჯერჯერობით, ნამდვილად არ იგეგმება.

**- თქვენს გარდა აზერბაიჯანში კიდევ რამდენიმე უცხოელი სპეციალისტი მუშაობს. მათზე რას იტყოდით?**

- ვიცი, რომ ახლახან „ნეფთჩის“ მთავარ მწვრთნელად ანატოლი დემიანენკო დაინიშნა. ძალიან კარგი სპეციალისტია, რასაც მის მიერ უკრაინაში ნაჩვენები შედეგებიც ადასტურებს. მისი წინამორბედი ვლასტიმილ პეტრჟელაც რიგიანი მწვრთნელია. მე კი, როგორც მითხრეს, აზერბაიჯანულ ფეხბურთში პირველი ქართველი მწვრთნელი ვარ.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით სირაძე

## სირაძე მწყობრშია

ლიტვის ნაკრებთან მატჩში მიღებული ტვინის შერყევის შემდეგ, **დავით სირაძეს** დაახლოებით თვენახევარი გაუცდა. სადღეისოდ, იგი თავს კარგად გრძნობს. როგორც გახსოვთ, ამ კვირის დასაწყისში მან მინი ფეხბურთის ტურნირში ითამაშა, დღეს კი ნესით, მისი დაბრუნება „დიდ ფეხბურთშიც“ უნდა შედგეს. ანდალუსიურ შეკრებაზე „პადერბორნი“ ამხანაგურად ბილეფელდის „არმინიას“ გაეჯიბრება.

## ადამიას პეტრჟელაზე გული დასწყდა

რამდენიმე დღის წინათ ბაქოს „ნეფთჩის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან ჩეხი **ვლასტიმილ პეტრჟელა** დაითხოვა და მის ნაცვლად უკრაინელი **ანატოლი დემიანენკო** დანიშნა. როგორც გაირკვა, „ნეფთჩის“ ლიდერ **გიორგი ადამიას** პეტრჟელას წასვლა არ ესიამოვნა.

*„ამ ამბით ძალიან გაკვირვებული და გულდაწყვეტილი ვარ. პეტრჟელა შესანიშნავი სპეციალისტია, მასთან მუშაობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ იგი „ნეფთჩიდან“ ასე მალე წავიდოდა. იმედია, დემიანენკო ჩვენს გუნდს წარმატებებს მოუტანს“*, - უთხრა ქართველმა ფორვარდმა აზერბაიჯანულ პრესას.

## იენელები ფინალში დამარცხდნენ

ხემნიცში გამართულ მინი ფეხბურთის ტურნირზე, რომელშიც ძირითადად, მეორებუნდესლიგური კლუბები მონაწილეობდნენ, „კარლ ცაისმა“ მეორე ადგილი დაიკავა. იენელებმა ფინალში „ხემნიცთან“ 4:6 წააგეს. „კარლ ცაისის“ ღირსება ქართველთაგან **გიორგი ონიანმა** და **ილია კანდელაკმა** დაიცვეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ნიუკასლი. მოსალოდნელი დანიშვნა

# ვინ შეცვლის ელერდაისს?

## ჯორდები მწვრთნელის დანიშვნის გარდა, შემადგენლობის გაძლიერებაც უნდა მოასწრონ...

სპეკულაციების თანახმად, "ნიუკასლი" "პორტთმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** ეპატიჟება. "პორტსმუთი" კი ჯორდებთან გარიგებას არ აპირებს. საგანგებო განცხადება გააკეთა გამოცდილმა სპეციალისტმაც. მან თქვა, რომ "ფრეტონ პარკზე" თავს შესანიშნავად გრძნობს. სემ ელერდაისის დათხოვნიდან 24 საათის შემდეგ ისევ უცნობია, ვის დანიშვნას აპირებს "ნიუკასლი". კლუბის ხელმძღვანელობას მინიშნება არ გაუკეთებია. ჯორდების თავმჯდომარე **მაიკ ეშლი** ეძებს გამოცდილ მწვრთნელს, რომელიც გუნდში სანახაობრივ ფეხბურთს დანერგავს, ისეთს, როგორსაც "სენტ ჯეიმს პარკზე" **კევინ კიგანისა** და **სერ ბობი რობსონის** დროს თამაშობდნენ. დირექტორები ელერდაისს მარტო ცუდი შედეგების გამო არ უჩიოდნენ. მათ გუნდის თამაშის სტილიც არ მოსწონდათ: "ნიუკასლში" სანახაობას ითხოვენ. იდეალური კანდიდატის ძიებაში ბოლო 11 წელიწადში შვიდი დამრიგებელი შეიცვალა.

ცოტა ხნის წინ "ნიუკასლის" მთავარ მწვრთნელობას **ალან შირერს** უწინასწარმეტყველებდნენ. გულშემატკივართა ფავორიტი სწორედ ისაა, მაგრამ დირექტორატს შირერის დანიშვნა ნაადრევად მიაჩნია. ამიტომ მის კანდიდატურას სერიოზულად არ განიხილავენ. რედნაპი უალტერნატივო კანდიდატი არ არის. გაიჟღერა "ბლექბერნისა" და "ევერტონის" დამრიგებლების, **მარკ ჰიუზისა** და **დევიდ მოიესის** გვარებმაც. თავის დროზე "ნიუკასლმა" "ბლექბერნიდან" **გრემ საუნესი** გადაიბირა, მაგრამ მან ვერაფერს მიაღწია. საეჭვოა, ჰიუზი ის სპეციალისტი იყოს, რომელსაც ჯორდები ეძებენ. უელსელ მწვრთნელს განუწყვეტლივ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მისი გუნდი დაცვით ფეხბურთს თამაშობს. როგორც ვთქვით, "ნიუკასლს" ლაღი ფეხბურთის თამაში უნდა. მოიესთან დაკავშირებით "ევერტონის" თავმჯდომარემ **ბილ კენრაიტმა** საგანგებო კომენტარი გააკეთა. მან მწვრთნელის აბარგება კატეგორიულად გამორიცხა.

ნიუკასლში "ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი დამრიგებლები - **მარტინ იოლი** და **ტერი ვენეიბლზიც** ახსენეს. არ დავიწყნიათ ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი დამრიგებელი **სტივ მაკლარენიც**, მაგრამ მაკლარენის ვარიანტი ლამის მაშინვე გამოირიცხა. ჯორდები აღნიშნავენ, რომ მათი მომავალი მწვრთნელი აუცილებლად გამოცდილი უნდა იყოს, მის ეროვნებას კი მნიშვნელობა არა აქვს. დირექტორები ჩქარობენ. მწვრთნელის დანიშვნის გარდა, მათ ტრანსფერებიც უნდა მოასწრონ. დაწყებულია მოლაპარაკებები "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველ **ვესლი ბრაუნსა** და "არსენალის" ნახევარმცველ **ლასანა დიარასთან**. ხვალ ჯორდები დროებითი მწვრთნელის, **ნაიჯელ პირსონის** ხელმძღვანელობით პირველი მატჩს გამართავენ. მათი მეტოქე მრისხანე "მანჩესტერი" იქნება.



ჰარი რედნაპი ნიუკასლის მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატია

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგის საზაფხულო გეგმები

## აფრიკული ტურნე და მატჩი ისრაელში...



სერ ალექს ფერგიუსონი

"მანჩესტერ იუნაიტედმა" დაადასტურა, რომ მომავალ ზაფხულს აფრიკულ ტურნეში გაემგზავრება. ის სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკას ეწვევა. ერთი კვირის განმავლობაში "ეშმაკები" სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. მათ დურბანში, ქეიფ თაუნსა და პრეტორიაში ელოდებიან. "მენიუს" სამხრეთ აფრიკაში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. მან ამ ქვეყანაში 2006 წლის ზაფხულშიც იმოგზაურა. ის ტურნე ფინანსური თვალსაზრისით ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა. "იუნაიტედი" ამჯერადაც ყველა ვარსკვლავს წაიყვანს. უკანა გზაზე დაგეგმილია ნიგერიაში შეჩერება. სავარაუდოდ, იქაც ერთი ამხანაგური მატჩი გაიმართება. აგვისტოში მანჩესტერელებს **ოლე გუნარ სოლსკიაერის** გამოსათხოვარი მატჩი ელით. ასე რომ თითქმის მთელი საზაფხული პროგრამა გაწერილია.

აქვე გეტყვით, რომ "იუნაიტედთან" შეთანხმებას ცდილობს ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია. ებრაელთა სახელმწიფოს 60 წელი უსრულდება. იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილია უამრავი სადღესასწაულო ღონისძიება. პოლიტიკოსებს ძალიან უნდათ, დღესასწაული სპორტული ღონისძიებითაც გაალამაზონ. "იუნაიტედზე" უკეთესი სტუმრის პოვნა კი შეუძლებელია. თუ კლუბი დათანხმდება, ვიზიტი მაისის მიწურულს შედგება, იმ დროს, როცა ევროპული სეზონი დასრულებული იქნება. "ეშმაკები" ისრაელის ნაკრებს შეხვდებიან. "იუნაიტედმა" ოპტიმალური შემადგენლობა შეიძლება ვერ შეკრიბოს. ფეხბურთელები, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე მოუწევთ გამგზავრება, უკვე თავიანთ ნაკრებებში იქნებიან. შეგახსენებთ, ევროპის ჩემპიონატზე ვერ ვიხილავთ ვერც ინგლისისა და ვერც ისრაელის ნაკრებებს. ერთი წლის წინ ისრაელს მადრიდის "რეალი" ესტუმრა. მან ისრაელისა და პალესტინის გაერთიანებულ ნაკრებთან საქველმოქმედო მატჩი ჩაატარა. იმ თამაშით მიღებული მთელი შემოსავალი გაჭირვებულ პალესტინელ მოქალაქეებს გადაეცათ.

რეალი

# რობენის ტრავმა და რუუდის კონტრაქტი

## ორი ჰოლანდიელის განსხვავებული ცხოვრება

გუშინ "რეალმა" "მალიორკასთან" სათასო მატჩი გამართა. სამეფო კლუბმა **არიენ რობენის** გარეშე ითამაშა. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ისევ ტრავმა მიიღო. მან ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. ტრავმა სერიოზული არ არის. განკურნებას დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს. შემაშფოთებელი სხვა რამაა: რობენის ავადმყოფობას ქრონიკული ხასიათი აქვს. არიენი "რეალში" გასულ ზაფხულს "ჩელსიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 36 მილიონი ევრო გადაიხადეს. განვლილ ექვს თვეში ფეხბურთელი ოთხჯერ დაშავდა და დროის უმეტესი ნაწილი ლაზარეთში გაატარა. მან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. ესპანელ მიმომხილველებს უჩნდებათ ლოგიკური კითხვა: რაში დახარჯა სამეფო კლუბმა ამხელა ფული.

23 წლის რობენის მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება მისი თანამემამულის, **რუუდ ვან ნისტელროის** მდგომარეობისაგან. 31 წლის თავდამსხმელი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ის გოლებს ერთი-მეორის მიყოლებით იტანს და დაკისრებულ მოვალეობას ჩინებულად ასრულებს. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა "რეალმა" ვან ნისტელროის კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა. რუუდი "სანტიაგო ბერნაბეუზე" 2010 წლამდე დარჩება. ის მადრიდში 2006 წლის ზაფხულში "მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა. ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა სადებიუტო სეზონში 25 გოლი შეაგდო. მიმდინარე სეზონში მის აქტივში 9 გოლია. ის "რეალისა" და მთლიანად ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.



არიენ რობენი

### ლემანი დორტმუნდში ბრუნდება?

გუშინ პოპულარულმა გერმანულმა ტაბლოიდმა "ბილდმა" საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. მისი მტკიცებით, "არსენალის" ვეტერანი მეკარე **იენს ლამენის** დორტმუნდის "ბორუსიაში" ბრუნდება. 38 წლის გოლკიპერი ლონდონელთა ძირითადში ველარ ხვდება. მისი ადგილი ესპანელმა **მანუელ ალმუნიამ** დაიკავა. იენსს კი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. პრაქტიკის გარეშე მას ევროპის ჩემპიონატზეც კი არ წაიყვანენ. ლემანს არაერთხელ უთქვამს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რომელ კლუბში ჩაირიცხება. მთავარია, ითამაშოს და ავსტრიასა და შვეიცარიაში გერმანელთა ძირითადში მოხვდეს. იენსი "არსენალში" 2003 წელს სწორედ დორტმუნდიდან გადავიდა. მან "ბორუსიაში" ოთხი სეზონი გაატარა (1999-2003) და ამ ხნის განმავლობაში 129 მატჩი ჩაატარა.

### ევროპის ჩემპიონატი 24 გუნდამდე გაიზრდება?

უეფას აღმასკომი ევროპის ჩემპიონატის გაფართოებას აპირებს. იანვრის მიწურულს მმართველი ორგანო ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში შეიკრიბება. დაგეგმილ ცვლილებებსაც სავარაუდოდ იქ განიხილავენ. დღესდღეობის კონტინენტის პირველობაზე 16 გუნდი ასპარეზობს. დაგეგმილია ამ რიცხვის 24-მდე გაზრდა. ცვლილებები პატარა ქვეყნებს ფინალურ სტადიაზე მოხვედრას საგრძნობლად გაუადვილებს. ამავე დროს, ევროპის პირველობის ორგანიზება მარტო დიდი ქვეყნების პრეროგატივა გახდება. 24-გუნდიანი ტურნირის მასპინძლობა ხუმრობა არ იქნება. ორგანიზატორებს ძალიან განვითარებული ინფრასტრუქტურა და მინიმუმ რვა საერთაშორისო დონის სტადიონი დასჭირდებათ. აღმასკომის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ცვლილებები დამტკიცების შემთხვევაშიც კი, 2016 წლამდე არ ამოქმედდება. მოგეხსენებათ, წლევანდელ ჩემპიონატს ავსტრია და შვეიცარია უმასპინძლებენ, ევრო 2012 კი პოლონეთსა და უკრაინაში გაიმართება.

### ჰიდინკი: რუსეთში 2010 წლამდე

რუსეთის ნაკრების თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს "ბაიერნში" გადასვლას აპირებდეს. გერმანულმა სააგენტოებმა **ოტმარ ჰიტცფელდის** ერთ-ერთ შესაძლო მემკვიდრედ ჰოლანდიელი სპეციალისტიც დაასახელა. მან კი ჟურნალისტებს მიუგო, რომ ეს-ესაა, რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის გუნდს 2010 წლის მუნდიალისათვის მოამზადებს. ამიტომ ბავარიულ გიგანტში მუშაობა გამოირიცხა. 60 წლის სპეციალისტმა რუსები პირველივე ცდიდან ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა, თუმცა ეს ჰიდინკზე მეტად, ინგლისის ნაკრების უსუსურობის შედეგი იყო. მისტერ გუუსს სხვადასხვა დროს ჰოლანდიის, სამხრეთი კორეისა და ავსტრალიის ნაკრებებში უმუშავია.

### მანჩესტერ სიტი თავდასხმას აახლებს

"ბირმინგემის" თავკაცი **ალექს მაკლიში** "მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელ გეორგიოს სამარასს ეპატიჟება. შოტლანდიელთა ყოფილი მწვრთნელი 2.5 მილიონ გირვანქას ამზადებს. სამარასი 22 წლისაა. ის "სიტიში" 2006 წლის ზაფხულში "ჰერენვენიდან" გადავიდა. ჰოლანდიელებს მის სანაცვლოდ 5.1 მილიონ გირვანქას გადაუხადეს. ბერძენმა თავდამსხმელმა ძირითადში დამკვიდრება ვერ მოახერხა. მიმდინარე სეზონში მან მხოლოდ ოთხი მატჩი დაიწყო. ამიტომაც ახალი სამსახურის მოძებნა უწევს. სამარასს ქვედა დივიზიონის "ჩარლტონიც" ეპატიჟება. ლონდონელები მას ექვსთვიან საიჯარო კონტრაქტს სთავაზობენ. მაგრამ "სიტის" ფეხბურთელის გაყიდვა უნდა. სვენ **გორან ერიქსონს** მისი შემცვლელიც შერჩეული ჰყავს: "მარსელის" თავდამსხმელი **ჯიბრილ სისე**, რომელიც წლინახევრის წინ "ლივერპულში" თამაშობდა. სვენს 15 მილიონ გირვანქაც აღუთქვეს "ჰერენვეენის" კიდევ ერთი თავდამსხმელის **აფონსო ალვეშის** შესაძენად. ბრაზილიელმა ლეგიონერმა ევროპელი მიმომხილველების ყურადღება გასულ სეზონში მიიპყრო. მან ჰოლანდიის ჩემპიონატში 34 გოლი გაიტანა. "სიტის" გარდა, ალვეშს თურქული "ფენერბაჰჩეც" ეპატიჟება. აქვე გეტყვით, რომ სვენმა მოსკოვის ცსკას ორ ფეხბურთელს, ნახევარმცველ **დანიელ კარვალიოსა** და თავდამსხმელ **ვაგნერ ლავს** დაადგა თვალი. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

### ფიგუს მანიშე შეცვლის, მანიშეს ბოროვსკი

"ინტერი" მადრიდის "ატლეტიკოსთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. მომდევნო 24 საათში პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი **მანიშე** მილანურ გრანდში ჩაირიცხება. ამ ინფორმაციას იტალიური სააგენტოები ავრცელებენ. გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. საუბარია ექვსთვიან საიჯარო კონტრაქტზე. ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ "ინტერი" ფეხბურთელის გამოსყიდვაზე იფიქრებს. მანიშეს **ლუიშ ფიგუს** შემცვლელად მოიაზრებენ. მას სწორედ ფიგუმ გაუწია რეკომენდაცია.

ბრემენის "ვერდერის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ტიმ ბოროვსკიმ** კარიერა, შეიძლება, "ატლეტიკოში" გააგრძელოს. ამ ინფორმაციას ესპანური გამოცემა "ასი" ავრცელებს. ტაბლოიდის ცნობით, მადრიდელები სწორედ ბოროვსკით აპირებენ მანიშეს ჩანაცვლებას. ტიმს "მუსიკოსებთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ის ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. ესპანეთიდან სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, ბოროვსკი დაუფიქრებლად მიაშურებს პრიმერა დივიზიონსო, წერს "ასი".

### ფერნანდესი: ვალენსიიდან ევერტონში

ვალენსიელი ნახევარმცველი **მანუელ ფერნანდესი** "ევერტონში" გაემგზავრება. კლუბები ექვსთვიან საიჯარო კონტრაქტზე შეთანხმდნენ. ლამურებმა 21 წლის ფეხბურთელი გასულ ზაფხულს "ბენფიკიდან" 14 მილიონ ევროდ შეიძინეს. მანუელმა ესპანურ გრანდთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. **რონალდ კუმანმა** კი ის ზედმეტად მიიჩნია. ფერნანდესის აბარგება 4 იანვარს, გამთენიისას მომხდარმა ინციდენტმა დააჩქარა. ფეხბურთელი პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს. მას ვალენსიის ერთ-ერთ ღამის კლუბში დებოშის ატეხვა დაედო ბრალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკორდმაისტერი

# რას ფიქრობენ ბაიერნის ბოსები?

## ახალი მწვრთნელის ძებნის პირველი სიმპტომები...

ოთხშაბათს, მიუნხენის „ბაიერნმა" 2008 წლის პირველი „ტურნე" დაიწყო, რითაც გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა. ბავარიულმა გიგანტმა პირველად „აუგსბურგს" მიაშურა, სადაც ადგილობრივ კლუბთან ტესტ-მატჩი გამართა და 2:1 გაიმარჯვა (გოლები: **ტონი, კლოზე**). ამ მატჩში „ბაიერნის" ბრაზილიელი ახალწვეულის, 18 წლის ცენტრალური მცველის, **ბრენოს** არაოფიციალური დებიუტი შედგა.

რეკორდმაისტერს აუგსბურგში ვერ გაჰყვნენ გრიპიანები: **დანიელ ვან ბუიტენი, ლუკას პოდოლსკი და ფრანკ რიბერი. ოტმარ ჰიტცფელდმა** ვერც ბრაზილიელი **ზე რობერტო** იახლა, რომელსაც მარჯვენა მუხლზე კუნთი დაეჭიმა. კვირას ბავარიელები შეკრებაზე მარბელიაში მიემგზავრებიან და მიუნხენური კლუბის სამედიცინო შტაბის ცნობით, მანამდე ზე რობერტო სრულ მზადყოფნაში იქნება. ამ ტურნეთი დაიწყო ჰიტცფელდის ბოლო ნახევარწლიანი პერიოდი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის რანგში.

მის სავარაუდო შემცვლელებზე ძველებურად ინტენსიური დისკუსია მიმდინარეობს. შობა-ახალი წლის არდადეგების შემდეგ რეკორდმაისტერის შეფები უფრო დიდი მონდომებით ამუშავდნენ. დასვენების დღეები მათ ფიქრისთვის გამოიყენეს, ახლა კი ერთმანეთს თავიანთ იდეებს უზიარებენ. *„დიახ, ჩვენ უკვე კონკრეტულად, მწვრთნელებზე ვსაუბრობთ. ხელმძღვანელები ყოველდღიურად ვიკრიბებით და ერთმანეთს მოსაზრებებს ვუზიარებთ. დიდი შანსია, რომ უახლოეს მომავალში ამა თუ იმ სპეციალისტს დავუკავშირდეთ და მასთან მოლაპარაკებები წამოვიწყოთ,"* – აცხადებს „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** და იქვე დასძენს, - *„ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელზეც იტყვი ცაკ, და ყველაფერი მოგვარდება. ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რომელსაც კარგად დაფიქრება და ასჯერ გაზომვა სჭირდება."*

„ბაიერნის" ფინანსებისა და ტრანსფერების განმკარგველი კონკრეტულ გვარებს, რა თქმა უნდა, არ ასახელებს. მეტიც, ჰიონესი ამბობს, ვინმესთან კონკრეტულ მოლაპარაკებებს რომც ვაწარმოებდეთ, ასეთ ადრეულ პერიოდში იმ მწვრთნელის ვინაობას არაფრისდიდებით არ გავამხელდიო. ასეა, „ბაიერნი" ოფიციალურად კიდევ დიდხანს არაფერს გაამხელს, მით უმეტეს, რომ ჰიტცფელდი ჯერ კიდევ პოსტზეა და სეზონის ბოლომდე პოსტზე იქნება. ახალი და მით უმეტეს, უფრო მძაფრი დისკუსიები კი, ბავარიელებს ნამდვილად არ სჭირდებათ – ისედაც ქაოსში არიან.

თუმცა ფაქტია, რომ როცა ჰიონესი, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და დირექტორი **კარლ ჰოპფნერი** მაგიდას შემოუსხდებიან ხოლმე და ჰიტცფელდის პოტენციურ შემცვლელებზე ბჭობენ, ერთმანეთს დაახლოებით ასეთ კითხვებს უსვამენ: იქნებ უმჯობესია, რომ „ბაიერნში" ახალგაზრდა მწვრთნელი დანიშნონ, მაგალითად ისეთი, როგორიცაა **იურგენ კლოპი** ან **დიტერ ჰეკინგი**? მაგრამ შეძლებენ კი კლოპი ან ჰეკინგი ისეთი ვარსკვლავების დამორჩილებას, როგორებიც ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი, **ოლივერ კანი** და სხვები არიან? ან იქნებ „ბაიერნს" მხოლოდ გამოცდილი და მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი მოერგება? თუ მაინც გარისკონ და ახალგაზრდას ჩააბარონ გუნდი?

ფაქტია, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ბაიერნის" მომავალი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო, მარკო ვან ბასტენი, ფრანკ რიიკაარდი, გუუს ჰიდინკი** ან **რაფა ბენიტესი** იქნება (ყველა მათგანი „ბაიერნის" პოტენციური და ამ გუნდთან მიმართებაში ბოლო დროს არაერთხელ ნახსენები მწვრთნელია), მაშინ ისინი მთელ ყურადღებას თავისკენ მიიპყრობენ, რასაც ჰიონესიც ადასტურებს. *„თუკი ჩვენს გუნდს სათავეში გამოცდილი სპეციალისტი ჩაუდგება, მაშინ ჩვენ, ხელმძღვანელები დიდ წნეხს მოვიშორებთ, ხოლო თუ ახალგაზრდას და გამოუცდელს დავნიშნავს და ის ვერ გაამართლებს, მაშინ ყველა დაწერს, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს თავში ტვინის ნაცვლად თივა უდევთო,"* – ამბობს ული.



ბეკენბაუერის ფავორიტი მოურინიოა!

მაგალითად, მოურინიოს თავისი მკვეთრი, უკომპრომისო წარმოდგენები აქვს გუნდებსა თუ თამაშის სტილზე. ულის თქმით, ყველაფერი ძალიან დეტალურად უნდა აიწონოს. „კიკერი" წერს, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ბაიერნის" შეფები არ გარისკავენ და გამოუცდელ მწვრთნელს არ უხმობენო. ჯერჯერობით მართლაც ისე ჩანს, რომ ჰიონესი და კომპანია უფრო გამოცდილი მწვრთნელისკენ იხრებიან. იმათ შორის კი, ვინც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მას მერე, რაც **მარჩელო ლიპიმ** თქვა, ბავარიელებთან კონტაქტი არ დამიმყარებიაო, ფავორიტად ამ ეტაპზე **მოურინიო** მიიჩნევა – ჟოზე, როგორც **ფრანც ბეკენბაუერის** ფავორიტი. ხომ გახსოვთ, პირველად სწორედ კაიზერმა თქვა, „ბაიერნის" მწვრთნელად მოურინიო ივარგებდაო...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ რობინიოსთან

# პელე პელეა, მე მე ვარ!

## ბრაზილიელი შუსტერის მადლიერია



რობინიო: ახლა უკვე სრულფასოვანი რეალელი ვარ!

**„ნეტა, ერთხელ მაინც ვითამაშო მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში!" – ეს ალბათ ყველასი თუ არა, ფეხბურთელთა 90 პროცენტის ოცნება ნამდვილად არის. და უდიდესი ნაწილისთვის ეს ოცნება აუსრულებლად რჩება. რობინიოს კი გაუმართლა - ოცნება აუხდა! 21 წლის უდიდესმა ტალანტმა „სამეფო გუნდს" 2005 წლის აგვისტოში მიაშურა, მაგრამ თავისი თავისა და თავისი თამაშის პოვნა ძალიან გაუჭირდა. მას მერე ორწელიწადნახევარი გავიდა და დღეს რობინიო თამამად ამბობს, უკვე სრულფასოვანი რეალელი ვარო. ბრაზილიელს გამოცემა „სპოქსი" გაესაუბრა.**

**- რობინიო, თქვენ ხალხს ძალიან უყვარხართ. პირველ რიგში იმის გამო, რომ ბურთთან ერთად სასწაულებს აკეთებთ. გვითხარით, როგორ უნდა შეძლოს ეს ფეხბურთელმა: ბევრი შრომით თუ მხოლოდ ნიჭია საკმარისი?**

- ტალანტი ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ნიჭი არ გაქვს, ბევრი შრომით ბევრს კი მიაღწევ, მაგრამ სასწაულებს ვერასდროს გააკეთებ. მე ძალიან ბევრს ვშრომობ და ტალანტიც მაქვს. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ როცა დავიბადე და ამწონეს, სასწორზე ჩემთან ერთად ბურთიც იდო. სხვათა შორის, როცა მეტოქის მოტყუება მინდა, დიდხანს არ ვფიქრობ, თუ რომელი ფინტი უნდა გავაკეთო ან რომელი მხრიდან უნდა ავუარო გვერდი. ყველაფერი სპონტანურად, თავისთავად ხდება. ხშირად, დაუფიქრებლად ვმოქმედებ და ამიტომაც გამოდის ყველაფერი სწრაფად.

**- ბავშვობის წლებში თქვენ ხშირად თამაშობდით მინი-ფეხბურთს, დარბაზის ფეხბურთი გხიბლავდათ და ერთ სეზონში, კერძოდ 1993 წელს 73 გოლიც კი გაიტანეთ...**

- ფუტსალში ძალიან დიდი ხანი დავყავი და ჩემი აზრით, სწორედ ამის დამსახურებაა ის, რომ ტექნიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გავიუმჯობესე. მინი-ფეხბურთში ყველაფერი გაცილებით სწრაფად ხდება, ვიდრე დიდ ფეხბურთში და მოთამაშეც ავტომატურად ტექნიკასა და ბურთის ფლობას ხვეწს. ვინც ბურთს კარგად ვერ ფლობს, ფუტსალში არაფერი ესაქმება. მინი-ფეხბურთი იდეალურია იმისათვის, რომ ფეხბურთელმა სისწრაფე დახვეწოს და რეაქციის სიჩქარე გააუმჯობესოს.

**- ბრაზილიაში ძალიან ღარიბ ოჯახში დაიბადეთ და ღარიბულად გაიზარდეთ. ალბათ მძიმე ბავშვობა დაგეხმარათ იმაში, რომ მოედანზე ცხოვრებას არც ისე სერიოზულად უდგებით...**

- ბრაზილიური სტრუქტურები ხშირად არ არის საკმარისად კარგი იმისათვის, რომ ახალგაზრდა ტალანტს სწორი გზა მიეცეს, რათა ის მაღალი კლასის ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს. მაგრამ ყველგან ასე როდია – მაგალითად, ჩემს გუნდში, „სანტოსში", სადაც კარიერა 2002 წელს დავიწყე, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი არ დაიჩაგროს და სუპერვარსკვლავი გახდეს.

**- არ არსებობს დიდი ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც პელესთვის არ შეედარებინოთ. თქვენც ამ სიაში ხართ, პელეს გადარებდნენ და გადარებენ. როგორი ურთიერთობა გაქვთ ფეხბურთის მეფესთან?**

- ჩვენს შორის მსგავსება ის გახლავთ, რომ ორივე „სანტოსში" ვთამაშობდით. ხუმრობა იქით იყოს და პელეს მადლობელი ვარ. სწორედ მან აღმომაჩინა და მიმიყვანა „სანტოსში". გულახდილად გეტყვით, არ მიყვარს, როცა პელეს მადარებენ. პელე პელეა, რობინიო კი რობინიო – მორჩა და გათავდა!

**- 2004 წელს „სანტოსში" დედათქვენი გაიტაცეს და გამოსასყიდს გთხოვდნენ. იყო თუ არა ეს გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც ევროპაში წამოხვედით?**

- დიახ. ამას, რომ ბრაზილიაში უსაფრთხოების გარანტია ძალიან ცოტა იყო, ადრეც ვხედავდი, მაგრამ როცა ეს საკუთარ ოჯახზე გამოვცადე, გადავწყვიტე, რომ ევროპაში გადმოვბარგებულიყავი. ისეთ გუნდში თამაშზე, როგორიც მადრიდის „რეალია", მხოლოდ ვოცნებობდი. მინდა, რომ „რეალის" ფეხბურთელის რანგში მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე გავხდე.

**- მადრიდში 2005 წლიდან თამაშობთ და ამ ხნის მანძილზე სამეფო გუნდმა არაერთი მწვრთნელი გამოიცვალა. მადრიდული გრანდის მწვრთნელი ახლა ბერნდ შუსტერია. როგორი ტიპია გერმანელი?**

- ყველა მწვრთნელს თავისებური სტილი, წარმატების ფორმულა და ფილოსოფია აქვს და მე ვერ ვიტყვი, რომ „რეალში" რომელიმე მწვრთნელის ხელში არ მიმართლებდა. შუსტერი ძალიან დამეხმარა – ის ჩემს უსაყვარლეს პოზიციაზე მათამაშებს, რის გამოც მისი მადლიერი ვარ. შუსტერი, ისევე, როგორც დანარჩენებს, მეც ძალიან ბევრს მესაუბრება და მუდმივად სასარგებლო რჩევებს მაძლევს. ის, რომ მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად ვთამაშობ, მისი დამსახურებაცაა.

**- 2007 წლის ოქტომბერში თქვენ და თქვენმა თანაგუნდელმა ბაპტიშტამ შუსტერი ძალიან გააბრაზეთ. მიზეზი ის იყო, რომ ბრაზილიიდან მადრიდში ჩასვლა დააგვიანეთ, იქ კი ზეიმზე იყავით მიწვეულები. ამის გამო შუსტერმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაგსაჯათ...**

- ეს ფაქტი უკვე დავიწყებულია. მინდა გითხრათ, რომ დაგვიანებისთვის მანამდე ბოდიში არასდროს მომიხდია. მაშინ კი, შუსტერთან მივედი და მოვუბოდიშე. მან მომისმინა და ჩემი ბოდიში მიიღო. ერთი რამ უკვე ცხადია: აღარასოდეს აღარ დავიგვიანებ!

**- უკვე ორწელიწადნახევარია, რაც მადრიდში ხართ და შეგიძლიათ თქვათ, რომ სრულფასოვანი „რეალელი" ხართ?**

- ვფიქრობ, რომ ასეა. „რეალი" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, სადაც ზეწოლა მუდმივად უდიდესია. ხომ იცით, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებსაც უფრო მეტი დრო სჭირდებათ ამა თუიმ გუნდში აკლიმატიზაციისთვის, ვიდრე სხვებს. მეც მათ სიას ვეკუთვნი: დიდი ხანი დამჭირდა, მაგრამ უკვე აქ ვარ! 100 პროცენტით!

**- რატომ დაგჭირდათ დიდი დრო?**

- ესპანეთში გაცილებით სხვანაირ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე ბრაზილიაში. აქ მცველები უფრო უკომპრომისოები არიან. ამასთან შეჩვევა და შეგუება არც ისე იოლი იყო. მაგრამ უკვე ყველაფერს შევეჩვიე.

**- თქვენ უკვე „სელესაოშიც" ლიდერი ხართ. 2007 წელს ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკა მოიგო – მიუხედავად იმისა, რომ სუპერვარსკვლავები არ თამაშობდნენო. ამ წარმატებას როგორ ახსნით?**

- იმედია, ამის შემდეგ მაინც აღარ ეპარება ვინმეს ეჭვი იმაში, რომ ბრაზილიაში ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია. გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა სამხრეთ ამერიკულ ქვეყნებში და განსაკუთრებით არგენტინაში. ამას გარდა, ჩვენ დუნგას სახით „პროფესორი" მწვრთნელი გვყავს.

**- კოპა ამერიკაზე თქვენ გუნდის ლიდერი იყავით და მას მერე სამშობლოში ისეთივე ავტორიტეტით სარგებლობთ, როგორითაც კაკა და რონალდინიო სარგებლობენ...**

- ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ხალხი პატივს მცემს. ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა, როცა ბავშვს ავტოგრაფს ვაძლევ ან მასთან ერთად ფოტოს ვიღებ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# ახლა ისე აღარ ვილანძღები, როგორც ოცი წლის წინ

## ჩვენ გულახდილად ვუთხარით ერთმანეთს, რომ ეს ფეხბურთი არ იყო. ანუ, რით ჰგავს შუსტერის რეალი ბეენჰაკერის რეალს?



ბერნდ შუსტერი

"რეალში" ნახევარწლიანი მუშაობის განმავლობაში ბერნდ შუსტერმა გუნდში ბევრი რამ შეცვალა, და რა თქმა უნდა, შეცვალა საკუთარი თავიც, გარკვეულწილად. "ასთან" ინტერვიუში გერმანელი სპეციალისტი სამეფო კლუბის დღევანდელობასა და მომავალზე საუბრობს...

**- ერთი წლის წინ, "რეალმა" "რიასორზე" წააგო, მიატოვიჩმა რონალდოს გაყიდვა გადაწყვიტა, კაპელომ კი ბექჰემი შემადგენლობიდან დაითხოვა. მაშინ თქვენ "ხეტაფეს" მწვრთნელი იყავით. როგორ ჩანდა იქიდან "რეალში" მიმდინარე პროცესები?**

- შორიდან ყველაფერი საშინლად მოჩანდა. ყველა ამბობდა, როგორ შეიძლება, "რეალს" ერთდროულად ამდენი პრობლემა ჰქონდესო? ჩემთვის, პრობლემების რიცხვი კი არ იყო მთავარი, არამედ მათი გადაწყვეტის გზები. მიუხედავად სირთულეებისა, გზები მაინც გამოინახა. რონალდო გაყიდეს და როგორც დრომ აჩვენა, სწორადაც მოიქცნენ. ბექჰემი კი დააბრუნეს და ნახეთ კიდეც, როგორ დაეხმარა ის "რეალს" ჩემპიონობის მოპოვებაში. მაგრამ გულახდილი რომ ვიყო, მადრიდელთა გამარჯვება ნამდვილი სასწაული იყო იმ ყველაფრის ფონზე, რასაც ვხედავდით.

**- რა რის ხარჯზე მიაღწიეთ ახლა ესოდენ შთამბეჭდავ პროგრესს?**

- ვფიქრობ, პრეზიდენტ კალდერონის ხელშეწყობით. ის კარდინალურ და ერთობ სარისკო ცვლილებებზე წავიდა. რა თქმა უნდა, დამსახურება მიუძღვის სპორტულ დირექტორ მიატოვიჩსაც, რომელმაც საერთო ჯამში 19 მოთამაშე იყიდა და გაყიდა. წარმატებული სეზონის შემდეგ, ხელმძღვანელობამ განახლებაზე იზრუნა და ეს სწორი ნაბიჯი იყო. "რეალს" ახალი სისხლი სჭირდებოდა. შეიცვალა ფილოსოფიაც. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჩვენმა მოთამაშეებმა საქმისადმი პროფესიული მიდგომის მაგალითი აჩვენეს.

**- მაგრამ ლოგიკური იყო ფაბიო კაპელოს გაშვება იმ სიტუაციაში, როცა მან გუნდს ჩემპიონობა მოუტანა?**

- რა თქმა უნდა, არ იყო ლოგიკური. მაგრამ მიხარია, რომ პრეზიდენტს არ შეეშინდა ლოგიკის წინააღმდეგ მოქმედების. თუმც ვაღიარებ, რომ ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება. ახლა ჩვენ ვქმნით ახალ "რეალს" უახლოესი სამი წლის გათვლით.

**- და იმ დროისთვის თქვენ უკვე "რეალის" ნამდვილი "სოსიო" (კლუბის წევრი - რედ) იქნებით...**

- დიახ, მე მინდა, გავხდე "რეალის" "სოსიო", მით უმეტეს, რომ ვაპირებ, აქ დიდხანს დავრჩე. ისე, უნდა გითხრათ, რომ ახლა "ბარსელონის" "სოსიოც" ვარ. მათ დღემდე არ გამრიცხეს...

**- "რეალში" მართლაც სერიოზული ძვრები მოხდა. მაგრამ როგორ მოახერხეთ ასე მალე შედეგის მიღწევა?**

- გუნდში გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომელთაც გამარჯვებები სწყურიათ. მათ იციან, რა კლუბშიც თამაშობენ. რაულთან, ვან ნისტელროისთან, კანავაროსთან, გუტისა და კასილიასთან ერთად, საკმაოდ მძლავრი ბირთვი შევკარით. დღეს "რეალი" ნამდვილი საფეხბურთო გუნდია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს. აქ შენგან პირველივე დღიდან გამარჯვებებს ითხოვენ, ჯერ გამარჯვებებს, ბოლოს კი ტიტულს. ცნება "ლოდინი" სამეფო კლუბისთვის უცხოა, უბრალოდ, არ არსებობს.

**- საერთო აღიარებით, თქვენი დღევანდელი "რეალი" ბოლო 20 წლის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მას უკვე ლეო ბეენჰაკერის დროინდელ "რეალს" ადარებენ...**

- დიახ, ვხედავ აშკარა მსგავსებებს. იმ "რეალმა" აიძულა მეტოქეები, მისთვის პატივი ეცათ, "სანტიაგო ბერნაბეუ" კი მათთვის ერთგვარ ტაბუდ იქცა. მთელი პირველი წრის განმავლობაში საკუთარ მოედანზე ერთი ქულაც არ დაგვიკარგავს. მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რათა ბეენჰაკერის გუნდს რეალურად დავემსგავსოთ.

**- ისიც ნათელია, რომ ძლიერი კლუბების წინ თქვენ აჩვენებთ ყველაფერს, რაც შეგიძლიათ, მაგრამ "ალმერიას", "რეკრეატივოს", "ხეტაფეს", "მურსიასა" და "ვალიადოლიდთან" სიძნელეებს აწყდებით...**

- ძლიერი კლუბების წინააღმდეგ ბიჭები გაცილებით მოტივირებულები გამოდიან. თქვენ ფიქრობთ, რომ "ლაციოსთან" მატჩის დღეს, როცა ჩემპიონთა ლიგაში ჩვენი მომავალი წყდებოდა, მოთამაშეებს ბევრი ვესაუბრე? ნამდვილად არა. მათ იცოდნენ, რომ იმ მატჩში თავი უნდა დაედოთ. რაც შეეხება საშუალო და სუსტ გუნდებთან შეხვედრებს... დიახ, გეთანხმებით, მათთან გვიჭირს ხოლმე. აქ განწყობის მომენტია და რა თქმა უნდა, ეს არ არის კარგი. იცით, რაშია საქმე? გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც ცდილობენ, გაიმარჯვონ ლამაზად, და არა უბრალოდ გაიმარჯვონ. მაგალითად, "სარაგოსასთან" მატჩის შემდეგ ჩვენ გულახდილად ვუთხარით ერთმანეთს, რომ ეს არ იყო ის ფეხბურთი, რისი ჩვენებაც გვინდოდა. ამიტომ, რაღაც უნდა შევცვალოთ. სრულყოფილებამდე ბევრი გვიკლია.

**- პირველი წრის განმავლობაში ხშირად ცვლიდით შემადგენლობას...**

- მაქვს გეგმა A, რომლის მიხედვითაც დაცვაში უნდა ითამაშონ სერხიო რამოსმა, პეპემ, კანავარომ და ჰაინცემ. ტრავმების გამო, ყველას ერთად თავმოყრა არ ხერხდებოდა. მხოლოდ "კამპ ნოუზე" შევძელით ოპტიმალური დაცვითი ვარიანტის მოსინჯვა. ჩვენ გეგმებს იძულებით ვცვლიდით და არა რაღაც ახირების გამო.

**- ნუ აუვლით გვერდს კითხვას: დიარა-გუტის ტანდემიდან გადახვედით დიარა-ბაპტიშტას წყვილზე. ანუ, ტალანტი კუნთებზე გაცვალეთ...**

- არ არის ასე, რადგან მურსიაში გუტის გაძევების გამო, გაუთვალისწინებელი სიტუაცია შეიქმნა და ამიტომაც დავიწყეთ გამოსავლის ძებნა. და ვიპოვეთ ეს გამოსავალი ჟულიო ბაპტიშტას სახით. ის კარგად შეეწყო სნეიდერსაც, ჰოდა, ვნახეთ, რომ დიარა- ბაპტიშტა- სნეიდერი შესანიშნავი ტრიო იყო. როგორც ხედავთ, ჩვენი გეგმა ამართლებს. ასე რომ...

**- ანუ, თქვენ გინდათ თქვათ რომ გუტისთან მიმართებაში დისციპლინარული სანქცია არ ყოფილა?**

- მოდით, შევთანხმდეთ, რომ თქვენ არ იცით ყველაფერი, რაც გუნდში ხდება. გუტის გასტრიტი შეეყარა და სამ დღეში გვარიანად დაიკლო წონაში. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ფეხბურთელს მოედანზე ვერ შევუშვებდი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, გუტი ჭეშმარიტი პროფესიონალია და გაგებით ეკიდება სიტუაციას. მისით მე სრულიად კმაყოფილი ვარ.

**- არ გაოცებთ ის ფაქტი, რომ სუპერკლუბის გმირად შეიძლება მეკარე მოგვევლინოს?**

- 1974 წელს გფრ-ს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი დიდწილად მეკარე ზეპ მაიერის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გახდა. ყმაწვილი ვიყავი მაშინ, მაგრამ კარგად მახსოვს ის მუნდიალი. უნდა შევცვალოთ მენტალიტეტი. მეკარეც ხომ გუნდის ნაწილია და რა მნიშვნელობა აქვს, ფორვარდის გოლით მოიგებ, თუ გოლკიპერის თავგანწირული თამაშით? თუკი დღეს "რეალს" მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები ჰყავს, რატომ არ შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი მეკარეც იყოს?

**- რატომაა, რომ თქვენს ხელში "რეალი" გაცილებით ნაკლებ გოლს უშვებს, ვიდრე კაპელოს დროს?**

- იმიტომ, რომ მაშინ "რეალი" თავს ძირითადად საკუთარ საჯარიმოში იცავდა, ახლა კი საკუთარი კარიდან 30 მეტრის მოშორებით ვიწყებთ დაცვაზე ზრუნვას. ამით მეტოქეს მანევრირებაში ვუშლით ხელს. მაგალითად, "სარაგოსასთან" მატჩში, ვიდრე ჰაინცე ტრავმას მიიღებდა, ოპონენტი ჩვენს კარს არც მოახლოვებია.

**- გულახდილად თქვით, ღირს პეპე 30 მილიონი ევრო?**

- მართლა გულახდილად გეტყვით, რომ ამ ფასმა არ გამაკვირვა. მას "პორტუში" თამაშის დროს ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რომ დაცვის ნამდვილი ლიდერი იყო. ის რაღაცით ჰგავს იეროს.

**- რობენმა არ გაგიმართლათ?**

- არიენს დრო უნდა მივცეთ. ის მოვიდა ჩვენთან იმ პერიოდში, როცა ზურგსუკან ორთვიანი პაუზა ჰქონდა. წინასასეზონო მზადება პრაქტიკულად ჩააგდო. მაგრამ მე მოუთმენელი არ ვარ, ველოდები...

**- მაინც როგორ მიაღწიეთ ერთიანობას?**

- იმით, რომ ყველა თანასწორნი ვართ, დაწყებული კაპიტნიდან, დამთავრებული ახალგაზრდა მოთამაშეებით. და ყველა თავისი გეგმით მუშაობს, ერთმანეთს ხელს არ უშლიან. საკმარისია გავიხსენოთ საშობაო ვახშამი, როცა ჩვენი ერთი დიდი ოჯახი ვიყავით. "რეალი" ყოველთვის ასეთი იყო, თითქმის ყოველთვის...

**- საწვრთნელ ბაზაზე დღეში ექვს საათზე მეტს ატარებთ?**

- დააყენეთ სათვალთვალო კამერა და დარწმუნდებით. ვიღაც მიყვებოდა, რომ ადრე ზოგიერთი ფეხბურთელი ბაზაზე თურმე პირდაპირ ვარჯიშის დაწყების წინ მოდიოდა, ივარჯიშებდნენ და მაშინვე გარბოდნენ. ასე გუნდი ვერ გაკეთდება.

**- რატომ არის, რომ პრესკონფერენციების დროს არ ხართ ისეთი თავაზიანი, როგორიც ახლა?**

- ერთხელ, ჩვენს ბაზაზე ტელეკომპანია "ალ ჯაზირა" მოვიდა გადასაღებად და უცბად მივხვდი, რომ რასაც "რეალზე" ვამბობ, ეს მთელ მსოფლიოს ესმის. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ უფრო მეტად დისციპლინირებული უნდა ვყოფილიყავი. ხომ ხედავთ, ახლა ისე აღარ ვილანძღები, როგორც ოცი წლის წინ. ახლა ნამდვილი ანგელოზი ვარ (იცინის)...

ინგლისის ლიგის თასი. პირველი ნახევარფინალი

# მხოლოდ ექვსი ინგლისელი

## რამოსმა რობინსონი მოკვეთა და სტეკელენბურგს დაადგა თვალი

**არსენალი–ტოტენჰემი 1:1**

**არსენალი:** ფაბიანსკი, ჯურუ (46. სანია), ჰოიტი, სენდეროსი, არმან ტრაორე, ჟილბერტო სილვა, დენილსონი, დიაბი, ბენდტნერი, ვან პერსი (46. ედუარდო), უოლკოტი (90. რენდალი).

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, დოსონი, კინგი, ლი, ჯენასი, ლენონი, მალბრანკი (77. ბოატენგი), ოჰარა, ბერბატოვი, რობი კინი (83. დეფო).

**გოლები:** 0:1 ჯენასი (37), 1:1 უოლკოტი (79).

**მაყურებელი:** 53 136

**ფაბიო კაპელო** "არსენალისა" და "ტოტენჰემის" სათასო დერბისაც დაესწრო. თამაშის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **თეო უოლკოტმა** ანგარიში გაათანაბრა. "მამლები" **ჯერმეინ ჯენასის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლით იგებდნენ.

**არსენ ვენგერმა** ახალგაზრდული შემადგენლობა გამოიყვანა. ფეხბურთელების საშუალო ასაკი 21 წელი იყო. კაპელო სტადიონზე ნაკრების კანდიდატთა სანახავად მივიდა, მაგრამ სანახავი ბევრი არაფერი დახვდა: "არსენალის" ძირითადში მხოლოდ ორი ინგლისელი იყო (**ჰოიტი** და უოლკოტი), "ტოტენჰემის" ძირითადში - ორჯერ მეტი (**დოსონი, კინგი, ჯენასი** და **ლენონი**). 22 მოთამაშიდან ინგლისელი მხოლოდ ექვსი იყო. დონ ფაბიოსაც ისღა დარჩენოდა, მატჩისათვის მშვიდად ეცქირა. ისე კი, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გოლი მისმა მომავალმა შეგირდებმა გაიტანეს.

"ტოტენჰემის" კარს ჩეხი გოლკიპერი **რადეკ ჩერნი** იცავდა. სად იყო ინგლისის ნაკრების მეკარე **პოლ რობინსონი**? სენიორ რამოსმა რობინსონი შემადგენლობიდან ამოაგდო. უფრო მეტიც, მეკარეს განუცხადა, რომ შეუძლია, ახალი სამსახური მონახოს. ესპანელი მწვრთნელის მოთმინების ფიალა გასულ უქმეებზე "რედინგთან" ასცდაცის თასის მატჩმა აავსო. რობინსონის შეცდომების გამო მისი გუნდი ორი გოლით დაისაჯა. ჩერნიმ ძირითადში ოქტომბრის შემდეგ პირველი ითამაშა, საერთოდ კი მიმდინარე სეზონში ეს მისი მეხუთე მატჩი იყო. აქვე გეტყვით, რომ რამოსი ახალი მეკარის ძებნას შეუდგა. მან აიაქსელ **მაარტენ სტეკელენბურგს** დაადგა თვალი. ჰოლანდიური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. "ტოტენჰემში" შეცვლაზე ითამაშა ნაკრების კიდევ ერთმა კანდიდატმა **ჯერმეინ დეფომ**. რამოსმა ისიც შავ სიაში შეიყვანა.

დავუბრუნდეთ ოთხშაბათის მატჩს. ტრიბუნებზე ბევრი ცარიელი ადგილი იყო. ოფიციალური მონაცემებით "ემირეიტსზე", 53 ათასი მაყურებელი მივიდა. 8 ათასი ბილეთი გაუყიდავი დარჩა. "არსენალის" მშობლიური არენისათვის ასეთი რამ უჩვეულოა და აუხსნელი. "მეთოფეებისაგან" განსხვავებით, "ტოტენჰემმა" მისთვის გამოყოფილი ბილეთები სრულად გაყიდა. "მამლების" გულშემატკივრები ტრიბუნებზე ამინდს ნამდვილად ქმნიდნენ. პირველი ტაიმი სტუმართა უპირატესობით წარიმართა. შესვენების შემდეგ ვენგერმა ხორვატი თავდამსხმელი **ედუარდო** და ფრანგი მცველი **ბაკარი სანია** გამოიყვანა. "მეთოფეები" უკეთ ათამაშდნენ და უოლკოტმაც სეზონის მესამე გოლი შეაგდო.

საწყის 45 წუთში მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა. ჩერნიმ **ნიკლას ბენდტნერის** თავურს ეფექტური სეივით უპასუხა. **ჯეიმი ოჰარამ დიმიტარ ბერბატოვის** დაქცევისათვის დანიშნული საჯარიმო სახიფათოდ შეასრულა, მაგრამ ოდნავ ააცილა კარს. 32-ე წუთზე "ტოტენჰემს" ანგარიშის გახსნა მართებდა. **რობი კინი** მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. ფილიპ სენდეროსი (რომელიც იმ საღამოს "არსენალის" კაპიტანი იყო) მას ფეხებში ჩაუხტა. ბურთი კარიდან 12 იარდში მდგომ **სტიდ მალბრანკს** მიუგორდა. მან კი უხეიროდ დაარტყა. მომდევნო ეპიზოდში, პოლონელმა მეკარემ **ლუკაშ ფაბიანსკიმ** დიმიტარ ბერბატოვის იერიში მოიგერია.

რამდენიმე წუთში ჯენასმა მაინც მიაღწია მიზანს. საგოლე იერიში **იოჰან ჯურუს** უხეირო თავურით დაიწყო. ფრანგმა მცველმა მოგერიების ნაცვლად ბურთი ბერბატოვს ჩააბარა. მან ფლანგზე რობი კინი მოძებნა. კინმა საჯარიმოს კიდემდე ირბინა და ჯენასს ჩააწოდა. ამ უკანასკნელმა კი პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

"არსენალმა" მეორე ნახევარი აქტიურად დაიწყო. მან დაცვაში თამაში დაალაგა და მოედნის ცენტრისაკენ გადაიტანა ყურადღება. "ტოტენჰემმა" კონტრშეტევები აირჩია. 54-ე წუთზე კინი სენდეროსს დაუსხლტა, საჯარიმოს ხაზიდან დასცხო და ააცილა. ვენგერის შეგირდები ძალიან ადვილად კარგავდნენ ბურთს. ამიტომ სასურველი ტემპის შენარჩუნება უჭირდათ.

მატჩის ბოლო 15 წუთში "არსენალმა" გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მათი გოლი იმ დროს გავიდა, როცა "ტოტენჰემის" კარს საფრთხე თითქოს არსაიდან ემუქრებოდა. ედუარდომ უოლკოტს გამოზომილი პასი მიაწოდა მეტოქის ორ ცენტრალურ მცველს შორის. საჯარიმოს კუთხიდან **იან პიო ლიმ** მოირბინა და "არსენალის" ფორვარდს ფეხებში ჩაუხტა. ბურთი ახტა, უოლკოტს მკერდში მოხვდა და "ტოტენჰემის" კარის კუთხეში შეგორდა. ჩერნი მეორე კუთხეში იყო გადამხტარი, ამიტომ რეაგირება ვერ მოასწრო. თამაშის მიწურულს სტუმრებმა კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს: შეცვლაზე შესულმა დეფომ აარონ ლენონისაგან დაბალი პასი შორეულ ძელთან მიიღო, მაგრამ კარს ზემოდან გადააცილა.



ტოტენჰემელი ლედლი კინგი არსენალელი იოჰან ჯურუს წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცემული ანგელოზი

# რა გჭირს, რონალდინიო?!

რონალდინიოს ბარსელონური მომავალი ჯერაც ეჭვქვეშაა. ამას არამარტო თავად ფეხბურთელი და მისი აგენტი, არამედ "ბარსელონის" მესვეურებიც აღიარებენ. მოდით, გავყვეთ ბრაზილიელი ვარსკვლავის დაცემის ქრონოლოგიას...



რონალდინიო ის აღარ არის

## 2006 წლის ზაფხული, პირველი სიმპტომები

ეს ისტორია ბარსელონაში არ დაწყებულა. პირველად, რონალდინიოს სათამაშო კრიზისზე მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თქვეს. ზენარმატებული სეზონის ბოლო მატჩები ბრაზილიელმა უხეიროდ ჩაატარა: შეუმჩნეველი იყო "მილანთან" საჩემპიონთალიგო მატჩში, ხოლო ფინალი მას არ მოუგია, ეს შვედმა ჰენრიკ ლარსონმა გააკეთა. და რას მიზეზს ხედავდნენ ამაში? ყველაფერს, რაც გნებავთ: სეზონის დასასრულს, საპასუხისმგებლო მატჩებისგან გამოწვეულ დაძაბულობას, უბრალო უილბლობას და ასე შემდეგ. რატომღაც, არავის უცდია, ამაში სისტემური კრიზისი დაენახა.

ბრაზილიის ნაკრების წარმოუდგენლად სუსტ სამუნდიალო გამოსვლასაც რონალდინიოს ცუდ თამაშს მიაწერდნენ. გაუჩოს არ უჩვენებია იმის მეათედიც კი, რაც შეეძლო. ბუნებრივია, ამას მოჰყვა სასტიკი კრიტიკის ტალღა, თითქმის პროპორციული იმისა, რა რაოდენობის სარეკლამო კლიპიც გადაიღო იმავე პერიოდში, კლიპები, რომელშიც გაუჩო მთავარ როლში გვევლინებოდა. "ბარსელონის" "რუხმა კარდინალმა" **იოჰან კრუიფმა**, როგორც ახლა ჩანს, აშკარად იჩქარა შეფასებებში და ბრაზილიის ნაკრების ფიასკო მწვრთნელის მიერ არასწორად შერჩეულ ტაქტიკას დააბრალა. რონი დაბრუნდება და კიდევ დაუმტკიცებს გულშემატკივრებს თავის ძალასო, აცხადებდა "მფრინავი ჰოლანდიელი".

ივლისის ბოლოს გაჩნდა პირველი ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ მუნდიალის ანტიგმირით "მილანი" იყო დაინტერესებული. "როსონერი" ყველაზე აქტიური იყო კოლეგა-გრანდებს ("ინტერი", "ჩელსი", "მანჩესტერ იუნაიტედი") შორის, რომელთაც ასევე გულში ჰქონდათ ამოჭრილი რონალდინიოს შეძენის სურვილი. მთელი ამ ხნის განმავლობაში "ბარსელონის" სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ფაქტობრივად ერთსა და იმავეს იმეორებდა: ფეხბურთელის ყიდვაზე არანაირი წინადადება არ მიგვიღია, თავად რონალდინიო კი "ბარსაში" ყოფნით ბედნიერიაო...

## 2006 წლის შემოდგომა, რიიკაარდის დასკვნა

ტრადიციულ წინასასეზონო ტურნირებში რონალდინიო ბრწყინვალედ გამოიყურებოდა, მთელი თავისი ღირსებებით, თითქოს, ზაფხულის ჩავარდნა არც ყოფილიყო. თუმცა ესპანეთის ჩემპიონატი, ისევე როგორც მთლიანად გუნდმა, მანაც ულიმღამოდ დაიწყო. ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, რომ რონალდინიოს ფეხბურთი ძველებურ სიამოვნებას აღარ ანიჭებდა. მისი საფირმო ღიმილიც კი თითქოს ნაძალადევად მოჩანდა. გალიაზიანებული იყო მისი ძმაც (და ამავდროულად აგენტი), რომელიც ამტკიცებდა, რომ პრესა შეგნებულად ბეჭდავდა მასზე ცრუინფორმაციებს. მაგრამ რატომ? ამაზე ის არაფერს ამბობდა...

რონიმ ბრწყინვალედ ჩაატარა "სევილიასთან" ჩემპიონატის მატჩი, რის შემდეგაც ჩააგდო "ჩელსისთან" ლამის ტრადიციადქცეული საჩემპიონთალიგო დაპირისპირება. ამის შემდეგ, უკვე თავად აილო სიტყვა. თუმცა იმ გახმაურებულ პრესკონფერენციაზე მას ახალი არაფერი უთქვამს. ერთადერთი საინტერესო დეტალი ის იყო, რომ მის ფიზიკურ მზადყოფნაზე მწვრთნელ **ფრანკ რიიკაარდს** ეჭვი ეპარებოდა. "ბარსას" თავკაცის აზრით, ფუნქციონალური მომზადება რონალდინიოს მთავარი პრობლემა იყო.

ამ პრესკონფერენციის შემდეგ, რონიმ, როგორც იტყვიან, აიწყვიტა. ის საუკეთესო იყო ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში. ნოემბერში ჩატარებულ 5 მატჩში მან ამდენივეჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი და 2 საგოლე გადაცემაც მიაყოლა. "ბარსელონამ" გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა პრიმერა დივიზიონში, და პარალელურად, გავიდა ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში. იმ დღეების აპოგეა იყო "ვილიარეალის" კარში გატანილი ზღაპრული და უკვე საქრესტომათიოდ ქცეული გოლი, როცა საჯარიმოში ბურთს "მაკრეტელათი" დასცხო და შორეულ კუთხეში ჩასვა. კალენდარში შემდეგი გაჩერება საკლუბო ჩემპიონატი იყო...

## 2006 წლის ზამთარი, სტაბილურად ცუდი

როგორც ჩანს, ნებისმიერი ტურნირი, რომელიც შეიცავს დასახელებას "მსოფლიო თასი", თუნდაც ეს საკლუბო შეჯიბრება იყოს, რონალდინიოზე დამღუპველად მოქმედებს. იაპონიაში გაგზავრებამ ის საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან. იმის მაგივრად, რომ ესპანეთის ჩემპიონატში დაწყებული პაუზით ესარგებლა და ცოტა ამოესუნთქა, აზიაში აკლიმატიზაციას "ბარსამ" ბევრი დრო და ძალა შეალია, ზედაც, ფინალში "ინტერნასიონალთან" წააგო და შინ ხელმოცარული დაბრუნდა.

ზამთარში ქომაგები ხედავდნენ რონალდინიოს "შემოკლებულ ვერსიას", რომელსაც ბევრი ფუნქცია გათიშული ჰქონდა. აღარ იყო მის თამაშებში არც ფეთქებადი აქტიურობა და არც მოსაწყენი პასიურობა. უბრალოდ, ის სტაბილურად ცუდად თამაშობდა. რამენაირად რომ განემუხტა მისი პერსონის გარშემო არსებული სიტუაცია, რონალდინიომ განაცხადა, რომ არ ითამაშებდა ზაფხულში გასამართ "კოპა ამერიკაზე". სამაგიეროდ, ის აპირებდა საფუძვლიან დასვენებას, რადგან ბოლო ორი წლის (2005 წელს კონფედერაციის თასი, 2006 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატი) განმავლობაში სრულფასოვანი არდადეგებით არ ესარგებლია. ასე ტონუსს ვერ შევინარჩუნებო, დაიჩივლა ჟურნალისტებთან საუბარში.

ამას თებერვალში ორი სკანდალი მოჰყვა. თავდაპირველად, "ბარსელონის" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** ეჭვი გამოთქვა, რომ კატალონიური გრანდის ბოსები ფეხბურთელს ცუდად ეპყრობოდნენ. როსელმა კონტრაქტით გათვალისწინებულ რაღაც ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ისაუბრა. შემდეგ კი კატალონიაში ბომბი გასკდა. "რასინგთან" მატჩის ბოლო წუთებზე რონალდინიომ **სამუელ ეტო'ოს** უტაქტო შენიშვნა მისცა. ამის საპასუხოდ, კამერუნელმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გუნდში არსებულ დაჯგუფებებზე ისაუბრა. იქით "ლაპორტას ხალხი", აქეთ "როსელის ბიჭები". "ბარსაში" მიხვდნენ, რომ რონალდინიოსა და ეტო'ოს შორის დაპირისპირება არავის აწყობდა, პირველი რიგში, კლუბის პრესტიჟს. ამიტომ, მოთამაშეებს სთხოვეს, საჯაროდ, პრესისა და ტელევიზიების თვალწინ, ერთმანეთს გადახვეოდნენ. მაგრამ მორჩა ამით ყველაფერი?

## 2007 წლის გაზაფხული, ავადმყოფობის განვითარება

"ბარსელონა" შესამჩნევად კოჭლობდა. რიიკაარდმა ახალი ტაქტიკური შესაძლებლობების დემონსტრირება დაიწყო. რონალდინიო ხან ცენტრფორვარდად თამაშზე ამბობს უარს, ხან სუფთა მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციებზე. მაგრამ ის მაინც იძულებული იყო, მწვრთნელის მითითებები შეესრულებინა, თუმც ამას ერთობ უხალისოდ აკეთებდა. სამართლიანობისთვის, აღვნიშნოთ ისიც, არ ყოფილა სკანდალიც. ამასობაში, "ბარსელონამ" ჩემპიონთა ლიგაში "ლივერპულთან" წააგო და ტურნირს დაემშვიდობა. შემდეგ კი იყო შეშლილი "სუპერკლასიკო" (3:3) მადრიდულ გრანდთან, რომელშიც კატალონიელები შინ ნაგებას გადაურჩნენ. იმ დღეს მთელი სიძლიერით აკაშკაშდა **ლიონელ მესის** ვარსკვლავი. დღეს სწორედ ის არის "კამპ ნოუს" მთავარი კუმირი და არა რონალდინიო. შესაბამისად, მესის სახით რონის მეტად ძლიერი და ქარიზმატული კონკურენტი გამოუჩნდა.

ამასობაში, პრესამ კვლავ გაახმაურა რონალდინიოთი "მილანის" დაინტერესება. ამას ზურს უმაგრებდა **რობერტო დე ასისის** კომენტარი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისი ძმა ორ კვირაში "როსონერის" მაისურას მოირგებდა. საკუთარი სიტყვების უარყოფა რონალდინიოს ძმისთვის ერთგვარ ჰობად და ბეგირისტაინის თავსატეხად იქცა.

და მაინც, 2 აპრილს, ერთდღიანი ტრაგიკომიკური პაუზის შემდეგ, "ბარსელონის" ვიცე-პრეზიდენტმა **ფერან სორიანომ** ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრაზილიელი "ჯადოქარი" მომდევნო სეზონსაც "ბლაუგრანასთან" ერთად ჩაატარებდა. მაშინვე, კრუიფმა ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდა სვეტი, რომელშიც "ათიანს" კვლავ მხარდაჭერა გამოუცხადა. იქვე, დიდმა იოჰანმა რონალდინიოს ჩავარდნის მიზეზად გადატვირთული კალენდარი მიიჩნია.

თუმცა ჭორები ვერც ამან გაანელა. იწყება საუბარი რონალდინიოს ტრავმაზე, რასაც "ბარსას" ქომაგები კულისებსმიღმა თამაშებად ასაღებენ. მთელი სეზონის განმავლობაში, ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, პატური სიტუაცია იქმნება. რონალდინიოს ფიზიკური მომზადება კრიტიკას ვერ უძლებს. იმის მაგივრად, რომ გუნდთან ერთად ივარჯიშოს, რონი მთელ დროს ტრენაჟორებზე ატარებს. წლის განმავლობაში, ამგვარი "ავადმყოფობების" პირობებში, ფეხბურთელი ფორმას რომ ვერ შეინარჩუნებს, ელემენტარული ჭეშმარიტებაა. 36-ე ტურში, "ხეტაფესთან" მატჩის დროს, ბრაზილიელმა უხეშობისთვის წითელი ბარათი მიიღო. მან ისტერიულად დატოვა მოედანი, რითიც ყველა მიხვდა, რომ ყველაფერთან ერთად, რონალდინიოს ნერვებიც ღალატობს.

დისკვალიფიცირებულმა ფორვარდმა, რომელიც ამავე დროს "ბარსელონის" ვიცე-კაპიტანია, "ვერ გამონახა" დრო, რათა კატალონიურ დერბის დასწრებოდა.

## 2007 წლის ზაფხული-შემოდგომა, კომა

"კამპ ნოუზე" **ტიერი ანრის** გამოჩენამ რონალდინიოზე წნეხი ოდნავ შეამცირა. ბრაზილიელმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა პრესასთან ურთიერთობის პოლიტიკა. ამის შემდეგ, პირად წარუმატებლობებს ის ცუდ ფიზიკურ კონდიციებს აბრალებს: კვლავ ხდება აპელირება ორწლიან მძიმე მუშაობასა და არდადეგების არარსებობაზე. "კოპა ამერიკა" იგნორირებულია, შესაბამისად, ახალი სეზონისთვის რონალდინიოს ძალები უნდა ჰყოფნოდა...

თუმცა ახალი სეზონის პირველივე თვე აბსოლუტურად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ბრაზილიელი კვლავ არ არის მზად, მოედანზე მისი მოქმედებები გუნდისთვის კვლავ არაფრისმომცემია. როგორც კი მას ტრიბუნიდან სტვენა ესმის, მაშინვე გამოდის მწყობრიდან კუნთის დაჭიმვის მიზეზით. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ საბაბია იმისთვის, რათა ღამის თავგადასავლების შემდეგ ძალები აღიდგინოს. კრუიფი ამტკიცებს, რომ "გუნდის ინტერესები ერთ რომელიმე მოთამაშეზე მნიშვნელოვანია" და რომ "ფეხბურთელისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყავი წარსულში, მთავარი, ვინ ხარ დღეს".

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რონალდინიომ კრუიფის მხარდაჭერა ვერ მიიღო: *"თუ რონალდინიო სანაკრებო თამაშების შემდეგ ფორმაში არ არის, თუ არ არის მზად, ითამაშოს ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ, მაშინ ის არ უნდა შეიყვანონ ძირითად შემადგენლობაში"* - ეს უკვე განაჩენია.

განცხადება იმაზე, რომ რონალდინიომ ნამდვილად მიიღო ტრავმა, "ბარსას" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მაგრამ წინ ახალი სკანდალი იყო, უკვე ნოემბერში. ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ედმილსონმა** გუნდში არსებული ატმოსფერო გააკრიტიკა, მერე ცალკე "მოთხარა" ერთ-ერთი თანაგუნდელი და ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, ვისზეც იყო საუბარი. მეორე დღეს, ისევე, როგორც ეტო'ოს შემთხვევაში, გაზეთების ფურცლებზე ერთად ვხედავთ ედმილსონსა და რონალდინიოს, რომელთა შორის ვითომ არაფერი მომხდარა.

გადის მცირე დრო და ინგრევა უკანასკნელი ბასტიონი: დაპირისპირება რონალდინიოსა და ფლეგმატურ რიიკაარდს შორის. ეს უკანასკნელი მკვახედ რეაგირებს საწვრთნელი პროცესების მიმართ შეგირდის გულგრილობაზე. რიიკაარდი ლამის ძალის გამოყენებით აიძულებს მას, გააკეთოს ის, რასაც მთელი გუნდი აკეთებს...

"სუპერკლასიკო" რონალდინიოს უკანასკნელი გამოწვევა იყო. უკვე მერამდენედ, მან პირობა დადო, რომ მთელ თავის ბრწყინვალებას მოედანზე დაამტკიცებდა, მაგრამ კვლავ ვერაფერი გამოუვიდა. გაზეთებმა ის მარცხის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელეს. არანაირი საიდუმლო არ არის იმაში, რომ პოპულარული გამოცემა "ელ მუნდო დეპორტივო" "ბარსელონასთან" მჭიდროდ თანამშრომლობს. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ რონალდინიოს მკაცრი კრიტიკა "ზემოდან" იყო დაშვებული - ან მრავლისმთქმელი დუმილით, ან პირდაპირი მითითებით. "დაცემული ანგელოზი" უკვე აღარ არის ხელშეუხებელი ფიგურა. მაშ, შემდეგი გაჩერება "მილანი"?

ინტერვიუ ალბერტ შტრაიტთან

# კობიაშვილი საუნაში იძინებს

## შალკეს ახალწვეული ყველაზე მეტად კობის დაუახლოვდა...

დიდი ხანი არაა, რაც ალბერტ შტრაიტი ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ შალკეში გადაბარგდა. ეს ამ ცოტა ხნის წინათ, ახალი წლის დადგომამდე მოხდა. მაგრამ მარჯვენა ნახევარმცველმა, რომლის ტრანსფერიც „შალკეში“ ჯერალდ ასამოას შეუქმნის პრობლემებს (მის პოზიციაზე თამაშობს) ახალ გუნდში მეგობრები უკვე იპოვა. შტრაოტი არ მალავს, რომ ყველაზე მეტად ლევან კობიაშვილს დაუახლოვდა. გელზენკირხენული კლუბი ახლა ბელეკში გადის შეკრებას. შტრაიტს და კობის ერთ ოთახში უნდა ეცხოვრათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ რატომ, ამას „შალკეს“ ახალწვეულის ინტერვიუდან შეიტყობთ.

**- ჰერ შტრაიტ, პირველი კითხვა სტანდარტული იქნება: როგორ ხართ? თავს როგორ გრძნობთ?**

- ფეხბურთელისთვის არაფერია იმაზე ცუდი, რომ ტრავმირებულია და თანაგუნდელების ვარჯიშებსა თუ თამაშებს მხოლოდ თვალი უნდა ადევნოს. ეს ჩემთვის ძალიან მძიმე გადასატანია, რადგან სერიოზული ტრავმა ფაქტობრივად პირველად მაქვს. მაგრამ ეს გარკვეულწილად გამოცდილებაცაა, პირველი გამოცდილება. სხვამხრივ ყველაფერი წესრიგშია. ეს მოსამზადებელი ეტაპი და შეკრება სხვა შეკრებებისგან ფაქტობრივად არაფრით განსხვავდება. ვარჯიში, ჭამა, დაძინება, ვარჯიში – ეს არის მთელი დღის განრიგი. მართალია, დღის ამგვარი რეჟიმი ცოტა მოსაწყენია, მაგრამ ეს აუცილებელია.

**- ოთახში ვისთან ერთად ცხოვრობთ? ყველაზე მეტად რომელ ფეხბურთელს დაუახლოვდით?**

- ოთახში ჯერმეინ ჯონსთან ერთად ვცხოვრობ, ყველაზე ახლოს კი ლევან კობიაშვილთან ვარ. მინდოდა, რომ მე და კობის შეკრების დროს ერთ ოთახში გვეცხოვრა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ლევანს სითბო უყვარს, სითბო კი არა, სიცხე. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დაძინება, თუ ოთახში 30 გრადუსი სითბოა. წარმოგიდგენიათ? ფაქტობრივად საუნაში იძინებს!

**- თქვენი „შალკეში“ გადასვლა იმასაც ნიშნავს, რომ ნახევარდაცვაში უდიდესი კონკურენცია იქნება. თქვენ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა მოგიწევთ?**

- მე მჯერა საკუთარი თავის და ვიცი, რაც შემიძლია. ამავე დროს, პატივს ვცემ ჩემს თანაგუნდელებს. თუ გახსოვთ, თავიდან ჯონსსაც არ უწინასწარმეტყველებდნენ დიდ მომავალს, მაგრამ ნელ-ნელა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და ახლა უკვე გერმანიის ნაკრების კანდიდატებს შორისაა. ახლა „შალკე“ ჯონსის გარეშე ფაქტობრივად უკვე წარმოუდგენელია. თუკი თავს არ დავზოგავ და მინიმუმ ისე ვითამაშებ, როგორც „აინტრახტში“ ვთამაშობდი, მჯერა, რომ „შალკეს“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გავხდები. თანაც, „შალკეს“ ხელმძღვანელებმა მე სწორედ იმის გამო გადამიბირეს, რასაც „აინტრახტში“ ვაკეთებდი. მე არ ვარ ფეხბურთელი, რომელიც ბუნდესლიგაში ეკვადორიდან გადმოვიდა – კარგად მიცნობდნენ და ამიტომაც მიყიდეს. მირკო სლომკამ კარგად იცის, რა შემიძლია და არ შემიძლია. თანაც, დარწმუნებული ვარ, რომ სანამ ჩემს შეძენას გადაწყვეტდნენ, დიდხანს იფიქრეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ „შალკეს“ ჩემნაირი ფეხბურთელი სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, მიმაჩნია, რომ ძირითადი შემადგენლობის წევრი ვიქნები.

**- ანუ, არ გეშინიათ, რომ კონკურენციის გამო შესაძლოა, ხშირად სკამზე ჯდომა მოგიხდეთ?**

- არა მგონია, რომ სკამზე ჯდომა მომიხდეს. რაც არ უნდა იყოს, „შალკემ“ ჩემში ძალიან დიდი ფული გადაიხადა. სათადარიგოთა სკამზე ან ტრიბუნაზე რომ დამსვან, გამოდის, რომ ის ადგილი ძალიან ძვირადღირებული იქნება.

**- თქვენი წარდგენის ცერემონიალზე განაცხადეთ, რომ ზუსტად იგივე მიზნები გაქვთ, რაც გუნდს. რა იგულისხმეთ კონკრეტულად?**

- პირველ რიგში ის მინდა, რომ ამ სეზონში „შალკესთან“ ერთად საუკეთესო სამეულში მოვხვდე და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვო. ეს აუცილებელია. საერთო ჯამში კი, გელზენკირხენულ კლუბში იმიტომ გადმოვედი, რომ რაც შეიძ ება ბევრი ტიტული მოვიგო. ეს გუნდი შარშანაც ძალიან ახლოს იყო ტიტულთან. მინდა გითხრათ, რომ სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ძალიან ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა. სპონტანური გადაწყვეტილება არასდროს მიმიღია. თავად განსაჯეთ, როცა „აინტრახტთან“ კონტრაქტს ვაფორმებდი, საკუთარ მომავალზე ჯერ კიდევ მაშინ ვიფიქრე და კონტრაქტში ჩავდე პუნქტი, რომელმაც ახლა „შალკეში“ გადასვლის საშუალება მომცა. ვფიქრობ, რომ ამ ნაბიჯით ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დაგეგმილი მქონდა. მინდოდა, რომ დიდ გუნდში მეთამაშა და აი, „შალკე“ სწორედ რომ დიდი გუნდია.

**- „შალკეს“ გენერალურ მენეჯერ ანდრეას მიულერს თქვენი გადაბირება ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა, თანაც ძალიან.**

- და მინდა ვთქვა, რომ ძალიან მეწყინა, ტრანსფერი ზაფხულშივე რომ არ შედგა. გასულ სეზონში ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ „აინტრახტი“ პირველი ბუნდესლიგიდან არ გავარდნილიყო. იმედი მქონდა, რომ ფრანკფურტს ზაფხულშივე დავტოვებდი. ჰო, „შალკეს“ ჩემი გადაბირება მაშინაც უნდოდა, მაგრამ „აინტრახტმა“ ძალიან დიდი, წარმოუდგენლად დიდი თანხა მოითხოვა, რის გამოც გარიგება არ შედგა. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს – ახლა ხომ შალკელი ვარ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკეს ახალწვეული ალბერტ შტრაიტი

**- როდის დაბრუნდებით მოედანზე? თქვენი გამოჯანმრთელება მეორე წრის პირველ ტურამდე მოესწრება?**

- აშკარაა, რომ ამ მხრივ პროგრესი შეინიშნება. უკვე თითქმის ჯანმრთელი ვარ, მაგრამ ალბათ კიდევ 2 კვირა დამჭირდება იმისათვის, რომ სრული დატვირთვით ვარჯიშის ჰგანახლება შევძლო. იმედი მაქვს, რომ ეს ძალიან მალე მოხდება. მაგრამ მე მინდა, რომ პირველ ოფიციალურ შეხვედრას, რომელსაც „შალკეს“ ფორმითY ჩავატარებ, 100 პროცენტიან მზადყოფნასა და საუკეთესო ფორმაში მყოფი შევხვდე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველ თამაშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, უბრალოდ, ფაქტია, რომ პირველ ოფიციალურ შეხვედრაში, ისიც მოქმედ ჩემპიონ „შტუტგარტთან“, აშკარად წნეხის ქვეშ ვიქნები. მე კი არ მიყვარს ზეწოლის ქვეშ ყოფნა.

**- რაც შეეხება, წნეხსა და ზეწოლას – თქვენც ფიქრობთ, რომ „შალკეს“ ფეხბურთელი უფრო დაკომპლექსებული და შეშინებული ფანების გამო, ვიდრე „კიოლნის“ ან „აინტრახტისა“?**

- მე მხოლოდ ჩემს თავზე შემიძლია საუბარი: პირადად მე მოედანზე გასვლის წინ არასდროს შემშინებია, არც პირველი და არც მეორე მატჩის წინ. წნეხი ყოველთვის ძალიან მძიმეა, ნებისმიერ მატჩში. „კიოლნს“ ბევრი ეხუმრება და იქ მართლაც ძალიან მძიმე ზეწოლა, „კიოლნს“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და ამავე დროს, ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ფანები ჰყავს. სხვათა შორის, ქომაგების თვალსაზრისით „აინტრახტიც“ გამოირჩევა. მაგრამ გერმანიაში ამ მხრივ ყველაზე დორტმუნდის „ბორუსია“ და „შალკე“ სჯობნიან.

**- როგორ გგონიათ, რისი მიღწევა შეუძლია „შალკეს“ ამ სეზონში?**

- ცხადია, საუკეთესო მიღწევა გერმანიის ჩემპიონობა იქნებოდა. პროგრამა მინიმუმი ჩემპიონთა კი ლიგის საგზურის მიპოვება იქნება. ახლა ვიტყოდი, ჩემპიონთა ლიგის მოგებაც მინდა-მეთქი, მაგრამ ყველა დამცინებს – „შალკესთვის“ ამ ტურნირის მოგებაზე ფიქრი ჯერ მაინც ძალიან არარეალური და შორეულია. თუმცა გაიხსენეთ: როცა „შალკეს“ ჰუუბ სტევენსი წვრთნიდა, ამ გუნდზე მაშინაც ვერავინ იტყოდა, უეფას თასს დაეუფლებაო, მაგრამ დაეუფლა.

**- როგორ ფიქრობთ, გაქვთ თუ არა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების შანსი?**

- გულახდილად გეტყვით: ამაზე არ ვფიქრობ. ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ მალე გამოვჯანმრთელდე, ვივარჯიშო და ფეხბურთი ვითამაშო. ხოლო რა მოხდება ამ ყველაფრის შემდეგ, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის.

**- რაიმე განსაკუთრებული ჩვევა თუ გახასიათებთ ?**

- ფრენის მეშინია, ცოტათი. აფრენის წინ პირჯვარს ვიწერ ხოლმე.

**- ბელეკისკენ გუნდმა სამი საათის განმავლობაში იფრინა და გამოდის, რომ ეს სამი საათი თქვენთვის ჯოჯოხეთი იყო?**

- მთლად ჯოჯოხეთის ვერ დავარქმევ, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებ, რომ სამოთხე იყო. მოკლედ, მშვიდად ვიმგზავრე – მანამდე ოთხი დასამშვიდებელი აბი მქონდა დალეული...

**- ამბობენ, ალბერტ შტრაიტი საკუთარ მანქანას დიდი სიამოვნებით რეცხავს ხოლმეო...**

- მართალია. იმის ნაცვლად, რომ ერთი წლის განმავლობაში მანქანის რეცხვაში რამდენიმე ასეული ევრო დავხარჯო, მირჩევნია, თვითონ ვრეცხო საკუთარი ავტომობილი. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. თანაც, ჩემს მანქანას ჩემზე უკეთ ვერავინ გარეცხავს. საერთოდ, რეცხვასთან და წმენდასთან არანაირი პრობლემა არა მაქვს. ჩემს მეგობარ გოგონას სახლის დალაგებაში ყოველთვის ვეხმარები.

**- სხვა ჰობიც გაქვთ?**

- დიდი სიამოვნებით ვთამაშობ ბილიარდს. „აუფ შალკეზეც“ გვაქვს ერთი ბილიარდი – ფეხბურთელების მოსვენებისთვის განკუთვნილ ოთახში დგას. მაგრამ ჯერ არავისთან მითამაშია. ჯერ თვალს შევავლებ, ვინ როგორ თამაშობს და მერე შევთავაზებ რომელიმე მათგანს. სწორად გამიგეთ, ბილიარდში წაგება ძალიან არ მიყვარს...

**გოტფრიდ ლენცი**



ხუან პაბლო სორინი მსუბუქად ვარჯიშობს

ჰამბურგი

# სორინი თებერვლიდან დაიწყებს

## HSV-ს ხელჩასაჭიდი მიზეზი სჭირდება...

„ჰამბურგმა“ ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მზადება დუბაიში დაიწყო. იმის დასტურად, რომ ჩრდილოგერმანულ კლუბში ყველაფერი ძალიან სერიოზულადაა და რომ თავის უკანასკნელ სეზონში გუნდის მთავარი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** სეზონის კარგად დასრულებას გეგმავს, ის ფაქტიც გამოდგება, რომ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა თავის შეგირდ **რომეო კასტელენს**, რომელიც რომელიღაც ვარჯიშს გულმოდგინედ არ აკეთებდა, მთელი ძალით დაეჯახა და მიწაზე დასცა.

*„ჩვენ ამ სეზონში რომელიმე ტიტულის მოგება გვინდა,“* – აცხადებს მცველი **იორის მატიისენი** და დასძენს, - *„მიმდინარე სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ. შარშანდელი კატასტროფის შემდეგ არავის ეგონა, რომ „ჰამბურგი“ ასე მალე მოლონიერდებოდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ჩვენ ისევ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. ძალიან გვინდა, რომ ზაფხულში რაღაც ხელჩასაჭიდი გვქონდეს - რა თქმა უნდა, რომელიმე თასს ვგულისხმობ.“*

დუბაიში HSV-ს თავკაცს მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცემა. თუმცა მას მალე გამოაკლდებიან ის ფეხბურთელები, რომლებიც აფრიკის თასის გათამაშებაზე მიემგზავრებიან. ესენი არიან: **ტიმოთი ატუბა** (კამერუნი), **კოლინ ბენჯამინი** (ნამიბია) და **მოჰამედ ზიდანი** (ეგვიპტე). მათთან ერთად, უახლოეს მომავალში, „ჰამბურგში“ არ იქნება **ხუან პაბლო სორინიც**, ოღონდ სულ სხვა მიზეზით – როგორც იცით, არგენტინელმა სეზონის დასაწყისში რთული ოპერაცია გაიკეთა და ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. თუმცა სორინისგან პოზიტიური სიგნალი მოდის: 31 წლის ფლანგის მცველმა, რომელსაც არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში, მსუბუქი დატვირთვით ვარჯიში განაახლა. მას მერე, რაც სორინმა „ჰამბურგს“ მიაშურა (2006 წლის ზაფხული), HSV-ს რიგებში ხეირიანად არც უთამაშია, რადგან სულ ტრავმები სტანჯავდა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გამოცდილი არგენტინელი თანაკლუბელებს თებერვლიდან შეუერთდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2007 წლის საუკეთესონი. რადიო ჯა-კოს გამოკითხვა

# შერმადინი ყველაზე მაღალია




გიორგი შერმადინი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

რადიო „ჯა-კომ" მოაწყო გამოკითხვა, რომლის მიზანი 2007 წლის საუკეთესო კალათბურთელის გამოვლენა იყო. „დაიკითხა" ყველა ის პიროვნება, რომელიც გასულ სეზონში აქტიურად ადევნებდა თვალს საქართველოს ჩემპიონატს: 11 მწვრთნელი, 4 კომისარი და 5 ჟურნალისტი.

საუკეთესო კალათბურთელად ვინც დასახელდა სათაურიდანაც მიხვდებოდით. 216 სმ. სიმაღლის მაკაბელმა **გიორგი შერმადინმა** ჯამში 192 ქულა მოაგროვა. ცნობისთვის გეტყვით, რომ პირველ ადგილზე დასახელება 10 ქულას უდრიდა, მეორე - 8-ს, მესამე - 6, მეოთხე - 4, მეხუთე - 2.

2007 წელს გიორგის საშუალო მონაგარი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა: 30 ქულა, 16.8 მოხსნა, 4.4 შედეგიანი გადაცემა, 4 დაფარება და 2 ჩაჭრა.



ელგუჯა ბერიშვილი და ლევან ინწკირველი

წლის კალათბურთელის დაჯილდოვების ცერემონიალი კლუბ „12 მაგიდაში" გუშინ სალამოს გაიმართა. მას ნომონირებულ კალათბურთელთა გარდა მწვრთნელები, მსაჯები, მოქმედი და ვეტერანი მოთამაშეები ესწრებოდნენ.

დიდი ადგილი დაეთმო ლეგენდარული კალათბურთელისა და მწვრთნელის **ლევან ინწკირველის** 80 წლის იუბილეს. სალამოს წამყვანმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** საზოგადოებას ჯერ 50 და 60-იანი წლების „დინამოს" მატჩების ფრაგმენტები უჩვენა, შემდეგ ერთი ამბავი გაიხსენა: *„მოგეხსენებათ, ლევანი ემოციური კაცია და მწვრთნელობისას ხშირად უხდებოდა შეხლა-შემოხლაში მონაწილეობა. 1980 წელს, როცა „დინამოში" მისი მწვრთნელად დანიშვნის საკითხი დღის წესრიგში დადგა, მაშინდელმა ცეკას მდივანმა გურამ ენუქიძემ დამიბარა და მითხრა, თანამდებობაზე იმ შემთხვევაში დავნიშნავთ, თუ გარანტიას მოგვცემთ, რომ თამაშისას ვინმეს არ სცემსო. ის სეზონი ბატონმა ლევანმა მშვიდად ჩაატარა..."*




აჯილდოებენ ლევან მოსეშვილს

იუბილარს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** სპორტის ენციკლოპედია გადასცა, ფირმა „გეოსპორტის" ხელმძღვანელმა კი სერტიფიკატი, რომლითაც ლევან ინწკირველს მისთვის სასურველი ეკიპირების არჩევის საშუალება მიეცემა. იუბილარმა სამადლობელო სიტყვები შეკრების მიზეზზე საუბრით დაასრულა: *„დიდი ხანია გიორგი შერმადინის თამაშს ვაკვირდები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ იგი ვლადიმერ სტეფანიას, ნიკა ცქიტიშვილისა და ზაზა ფაჩულიას ღირსეული მემკვიდრეა - NBA-ში თავი არ უნდა შეირცხვინოს."*

ვიდრე კალათბურთელთა საუკეთესო ხუთეულს გამოავლენდნენ, ციფრული რადიომიმღებებით დაჯილდოვდნენ სუპერლიგის მწვრთნელები (**დავით უსტიაშვილი, ლევან მოსეშვილი, ზურაბ ტომარაძე, ნუგზარ ქეიშვილი, ზაზა ცაგარეიშვილი** და **ჯამლეტ ხუხაშვილი**) და მსაჯები, ხოლო დიქტოფონები ერგო სუპერლიგის გამშუქებელ სამ ჟურნალისტს.

მსოფლიო ჩემპიონმა **ნიკოლოზ დერიუგინმა** 2007 წლის ახალგაზრდული ლიგის საუკეთესო ხუთეული სიგელებითა და რადიომიმღებებით დაასაჩუქრა. ხუთეული ასე გამოიყურებოდა: **გიორგი პირველაშვილი** (მაკაბი), **აკაკი დვალიშვილი** (აზოტი), **ტატო თავართქილაძე** (თბილისი), **ბექა ჩიკვილაძე** (თბილისი) და **დავით იოსელიანი** (მაკაბი).




ნიკოლოზ დერიუგინი ახალგაზრდული ლიგის ლაურეატებთან

ბოლოს 2007 წელს საქართველოს ჩემპიონატში თავგამორჩენილთა ჯერიც დადგა. პრიზები იმდენად მძიმე იყო, რომ დასაჯილდოვებლად ოლიმპიურ ჩემპიონს **ზურაბ ზვიადაურს** უხმეს.

მეხუთეადგილოსანმა იოვან **სტეფანოვმა ინგლისურად** ისაუბრა - სამი თვეა, რაც საქართველოში ვარ და არ მეგონა თუ გამომარჩევდითო, ეს თქვა და ქართულად მიაყოლა - დიდი მადლობა.

სერბი სტეფანოვის მსგავსად მეოთხეადგილოსან თსუ-ელს, **რიჩარდ მათიაშვილს** ტელევიზორი და სიგელი ერგო. იგივე საჩუქრები მიიღო მესამემ, **კოტე ტულუშმა**, ხოლო მეორეს - აზოტელ **ლაშა გამყრელიძეს** სპორტული მაღაზიათა ქსელის „ჩემპიონის" მფლობელმა **უშანგი ყურაშვილმა** ტრენაჟორი გადასცა და გულზე ოქროს მედალი ჩამოჰკიდა. ხოლო „ადიდასისგან" ლაშამ სპორტული ფეხსაცმელი მიიღო.

„ადიდასის" ფეხსაცმლის გარდა 2007 წლის საუკეთესო კალათბურთელს **გიორგი შერმადინს** სიგელი და ლეპტოპად წოდებული დასაკეცი კომპიუტერი ერგო. იგი აღიარებით გახარებული იყო: *„მინდა ყველას მადლობა გადავუხადო. არ დამავიწყდება არც 2007 წლის თამაშები და არც დღევანდელი დღე. ვეცდები ყველას, ვინც გამოკითხვაში ხმა მომცა, იმედები გავუმართლო."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

| საბოლოო შედეგები | |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 192 ქულა |
| 2. ლაშა გამყრელიძე (ენერჯი) | 154 |
| 3. კოტე ტულუში (ავიამშენი\აზოტი) | 50 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 30 |
| 5. იოვან სტეფანოვი (ენერჯი) | 28 |




ლეგიონერი

## აი, თითი...

ზაზა ფაჩულიასთვის მიმდინარე სეზონი მოულოდნელად აეწყო. თუკი აქამდე მას სეზონში ერთი ტრავმა იშვიათად მოსდიოდა, NBA-ს მიმდინარე რეგულარულში მან უკვე მეოთხე ტრავმა მიიღო: „კლივლენდთან" 9 იანვრის მატჩი ზაზამ ფეხის თითის ტკივილის გამო გამოტოვა. ტრავმა სერიოზული რომ არ არის, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფაჩულია მწვრთნელმა მატჩის განაცხადში შეიყვანა. იმედი დავიტოვოთ, რომ მომდევნო შეხვედრაში, 11 იანვარს „ვაშინგტონის" წინააღმდეგ ზაზა მწყობრში იქნება. მანამდე გეტყვით, რომ ქართველი ცენტრის გარეშე „ატლანტამ" „კლივლენდი" 90:81 დაამარცხა, 16 ნაგების წილ 16 მოგება მოუგროვდა და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე ადგილზეა. მას ერთი მოგებით მომავალი მეტოქე „ვაშინგტონი" უსწრებს.

იმასაც შევახსენებთ, რომ ზაზამ ჯერ მუხლი და კოჭი დაიზიანა („შარლოტთან" საგამოფენო მატჩში), შემდეგ, „ფილადელფიასთან" მსუბუქი ტვინის შერყევა მიიღო, ახლა ფეხის თითი...

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 26-27 იანვარი. თბილისის მსოფლიო თასი

# ძლიერი შემადგენლობა უნდა შეიკრიბოს

თბილისის მსოფლიო თასამდე, 26-27 იანვრამდე, არც ისე დიდი დრო რჩება, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, მართლაც ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბება. მართალია, ჩამომსვლელთა სიას დანამდვილებით ჯერ კიდევ ვერავინ დაადასტურებს, მაგრამ, სავარაუდოდ, მსურველთა უმრავლესობა ნამდვილად გვეწვევა. არადა, ფედერაციაში უკვე 40 ნაკრების წინასწარი განაცხადია მოსული! გამორიცხული არც ისაა, საკუთრივ გუნდებმაც შეცვალონ წარმოდგენილი შემადგენლობები, მაგრამ მაინცდამაინც დიდი ცვლილება არც ამ მხრივ მოხდება. ამ ეტაპზე ყველა საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ ტურნირი საკმაოდ მაღალი დონისა გამოდგება. მონაწილეთა ასეთ მოზღვავებას შეჯიბრების სალიცენზიო სტატუსი განაპირობებს - ევროპელებს ქულები აინტერესებთ, სხვა კონტინენტების წარმომადგენლებს - ძლიერი ტურნირი. ცნობილია ისიც, რომ მონაწილენი თითქმის ყველა კონტინენტიდან მოდიან - აზია, ჩრდილო ამერიკა, აფრიკა... აზიიდან შუა აზიის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად იაპონელები და ირანელებიც ჩამოვლენ. სამწუხაროდ, გაირკვა, რომ კორეელები არ გვეწვევიან. ამერიკიდან აშშ, კანადა და კუბა მოდიან, ხოლო სამხრეთამერიკელებს იმთავითვე არ გამოუჩენიათ ინტერესი. აფრიკელთაგან განაცხადი ნიგერიელებმა გამოაგზავნეს, თუმცა იქაურთა ნდობა ფრიად სარისკოა, გადაწყვეტილებებს იმდენად ხშირად ცვლიან. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ბოლო წლებში აფრიკელები ლამის მუდმივად ჭიდაობენ თბილისში.

ვფიქრობ, საინტერესოა მონაწილეთა შემადგენლობები. ყოველ შემთხვევაში, სტუმართა მიერ წარმოდგენილი სიები, თუმცა, ვიმეორებთ - შეიძლება, ტურნირამდე ცვლილებები ისევ მოხდეს. იაპონელთა შემადგენლობა გუშინ გაგაცანით, ამჯერად კი თქვენს ყურადღებას რამდენიმე წამყვან გუნდზე შევაჩერებთ.

კლამის უძლიერესი შემადგენლობით გვეწვევიან ფრანგები - ევროპის ჩემპიონი და ამ ტურნირის ძველი სტუმარი **დმიტრი დრაგინი** (60), ევროპის ჩემპიონი **ბენჟამენ დარბელე** (66), ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ფერნანდესი** (73), მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **ფრედერიკ დემონფოკო** (100). ვფიქრობ, უინტერესო არც **სებასტიან ბერტოლოტის** (66), **მიქაელ რემილიენის** (73), **მეთიუ დეფრევილის** (81) და **ტიერი ფაბრის** (100) ჭიდაობა უნდა იყოს.

სრული და, რაც მთავარია, ძირითადი შემადგენლობით ჩამოდიან ესპანელები: ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი **კიოში უემაცუ** (73) და მისი უმცროსი ძმა **კენძი უემაცუ** (60), ევროპის ჩემპიონი **ოსკარ პენასი** და **ხავიერ დელგადო** (66), ევროპის ჩემპიონი **დავიდ ალარსა** (90), **ივან ვეგა** (100), **დანიელ პარა** (+100) - სადღეისოდ ეს მათი საუკეთესო ნაკრებია.

ასევე უძლიერესი გუნდით გვეწვევიან უკრაინელები - ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რომან გონტიუკი** (81), ევროპის სამგზის ჩემპიონი **ვალენტინ გრეკოვი** (90), მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ვიტალი ბუბონი** (100), მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ევგენი სოტნიკოვი** (+100), ათენის ოლიმპიადის მონაწილე **ვიტალი პოლიანსკი** (+100). მათ გუნდში ქართველებიც იჭიდავებენ - **გიორგი ზანთარაია** (60) და უკრაინის წლევანდელი ჩემპიონი **კობა ჩიმჩიური** (73).

სრული გუნდით ჩამოვლენ რუსები, თუმცა მათ განაცხადში მხოლოდ სამი ტიტულოვანი ფალავანია და სამივე ევროპის ჩემპიონი - **სალამუ მეჟიდოვი** (73), **ივან პერშინი** (81) და **რუსლან გასიმოვი** (100). შემცირებული გუნდებით ჩამოვლენ ბრიტანელები და ჰოლანდიელები, თუმცა მთავარი ხომ ხარისხია და სასიამოვნოა, რომ ისინი თითქმის ყველა ლიდერს ჩამოიყვანენ. ასე მაგალითად, ბრიტანელთა შემადგენლობაშია ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **კრეიგ ფელონი** (60), ევროპის პრიზიორი **ვინსტონ გორდონი** (90), ევროპის პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **პეტერ გუსინსი** (100), ჰოლანდიელებს კი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **დენის ფან დერ ხესტი** (+100), მისი უმცროსი ძმა - **ელკო**, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **რუბენ ჰოუკესი** (60), ევროპის პრიზიორი **ბარიან ვან** დიიკი (73), საკმაოდ გამოცდილი **დაქს ელმონტი** (66) და **ჰენრო სხუმანი** (73) მოჰყავთ.

გერმანელებს მონაწილე მხოლოდ 60-ში არ ეყოლებათ, მათი ლიდერებიდან კი ევროპის ჩემპიონები - **ოლე ბიშოფი** (81) და **ანდრეას ტოლცერი** (+100), ოლიმპიური პრიზიორი **მიხაელ იურაკი** (100), **ადრიან კულიჩი** (66), **რობერტ გესი** (73) და **მიხაელ პინსკე** (90) იჭიდავებენ. სომხებიც ბლომად ჩამოდიან, მაგრამ ტიტულოვანთაგან მხოლოდ ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ჰოვანეს დავთიანია** (60). აზერბაიჯანელებს მხოლოდ მსოფლიოს პრიზიორი **ნიჯატ შიხალიზადე** (60) აკლიათ. შეგახსენებთ - იგი შარშან დოპინგზე ჩავარდა, კარიერაში მეორედ და ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ამჯერად მას არა აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს, არამედ - შარდმდენი ფურაზოლიდოლი, რომელიც აკრძალულია იმდენად, რომ ორგანიზმიდან დოპინგის კვალს სწრაფად გამოდევნის და ამ მიზნით დოპინგის შემდეგ ხშირად იყენებენ. სხვა მხრივ კი მათ მიერ წარმოდგენილი შემადგენლობა საბრძოლოა: ევროპის სამგზის ჩემპიონი **ელჩინ ისმაილოვი** (66), მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონი **ელნურ მამადლი** (73), **ელხან რაჯაბლი** (81), **ელხან მამადოვი** (90), მსოფლიოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100), **რუფატ აბასოვი** (+100)...

წამყვანი ფალავნებით გვეწვევიან ებრაელებიც - **იეკუტილ გალი** (60), **იოელ რაზვოზოვი** (73), **ავისარ შნაიმანი** (81), **ალონ სასონი** (90), **ადრიან კორდონი** (+100), თუმცა მათი ლიდერი მაინც ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **არიელ ზეევია** (100). ასევე საბრძოლოა კუბელთა შემადგენლობა: **იასმან პიკერი** (60), **იორდანის არენსიბია** (66), **ოსკარ ბოროტო კარდენასი** (73), **იორგ ბენავიდესი** (90), **ორეიდის დესპენი** (100) და **ოსკარ ბრისონი** (+100).

სხვა გუნდები მცირერიცხოვანი გუნდებით გვეწვევიან, თუმცა მათშიც მრავალი ვარსკვლავია: უნგრელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **აკოშ ბრაუნი** (73), მისი თანამემამულე **ბარნა ბორი** (+100), ბულგარელი ევროპისა და ოლიმპიური პრიზიორი **გეორგ გეორგიევი** (66), სლოვენიელები - **კლემენ ფერიანი** (81) და **იერებ სასო** (73), შვეიცარიელი ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვეცხლის პრიზიორი **სერგეი აშვანდენი** (81) და მისი თანამემამულეები - **დავიდ პაპო** (73) და დომინიკ **ჰიშირი** (81), ბელარუსი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **იჰარ მაკარაუ** (100), მისი თანაგუნდელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი **სიარხეი კუჰარენკა** (100). ესტონელებს ამჯერად არც ორგზის ოლიმპიური პრიზიორი **ინდრეკ პერტელსონი** (+100) ეყოლებათ, არც - ევროპის პრიზიორი **კინტერ როტბერგი** (66) და არც - **მარტინ პადარი** (+100), მაგრამ განაცხადშია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ალექსეი ბუდოლინი** (81). სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით ბერძნების, რუმინელების, იტალიელების და ყაზახების შემადგენლობებზე.

**ირაკლი თავაძე**



დენის ვან დერ ხესტი



კრეიგ ფელონი



იჰარ მაკარაუ

## ჭადრაკი

# უმაღლესის 7 საგზურისთვის

გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო საქარველოს ქალთა 65-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირმა. პირველი ლიგას უმაღლესისთვის შესარჩევი ეტაპის მნიშვნელობა აქვს - აქ თავგამოჩენილები გარკვეული წესის თანახმად უმაღლესში ადგილდაბევებულებთან ერთად გაითამაშებენ 2008 წლის საქარველოს ჩემპიონის ტიტულს.

დებულების თანახმად, უმაღლესში თამაშის უფლება ეძლევათ: საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს, მეორე და მესამე პრიზიორებს; საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრებს: **ნინო ხურციძეს, ნანა ძაგნიძეს** და **მაია ლომინეიშვილს**; ფიდეს 2008 წლის იანვრის მონაცემებით 1 საუკეთესო რეიტინგიანს; 20 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს **სალომე მელიას**. ჩამონთვალი შვიდის ტოლია. დაუკონკრეტებელი გვარებია: **სოფიკო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე** და **ლელა ჯავახიშვილი**. ამათ პირველი ლიგიდან 7 მონაწილე დამატებათ და 14 ქალბატონი წრიული სისტემით გაითამაშებს საქარველოს ჩემპიონის ტიტულს.

იქამდე კი, როგორც მოგახსენეთ, პირველი ლიგაა ჩასამთავრებელი და უნდა გითხრათ, რომ უმაღლესში მოსახვედრად ბევრმა ისურვა ბრძოლა. ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი თამაშობს, გარდა ნახსენები შვიდეულისა. მეტიც, ასპარეზზე ვხედავთ **ინგა ხურცილავას**, რომელიც რამდენიმე წელია, აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორებული იყო - დაოჯახდა და ძირითადად საბერძნეთში ცხოვრობდა. 2007 წლის მიწურულს ინგამ ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და საჭადრაკო ასპარეზზეც გამოჩნდა. ინგა თავისი თაობის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, ამიტომ მისი დაბრუნება ქართული ჭადრაკისთვის პოზიტიური მომენტია და კონკურენციასაც გაზრდის. ამ ეტაპზე თამამ ვარაუდებს ვერ გამოვთქვამთ, მაგრამ არაა გამორიცხული, წლის მეორე ნახევრისთვის ხურცილავამ საუკეთესო ფორმა დაიბრუნოს და ნაკრებში მოხვედრაზე განაცხადოს პრეტენზია. ინგამ ამ ამბიციის შესაბამისად დაიწყო ტურნირი და პირველ დღეს ცშავებით იმარჯვა - **ნათია ჯალაბაძე** დაამარცხა. მეორე ტურში მისი მეტოქე **მადონა ბოკუჩავა** იქნება, ინგას ამჯერად თეთრი ფერი ერგო.

აღსანიშნავია, რომ პირველ ლიგაში თამაში ორმოცმა მანდილოსანმა ისურვა. მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინების გამო დადგინდა ტურნირის 9 ტურად, შვეიცარიული სისტემით გამართვის საჭიროება. უმაღლეს ლიგაში, როგორც გითხარით, 7 საუკეთესო გადავა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება მოწინააღმდეგეთა რეიტინგების ჯამის მიხედვით, უმცირესი რეიტინგის გამოკლებით. თუ ჯამი აღმოჩნდა თანაბარი, მაშინ რეიტინგი დაითვლება კლებითი სისტემით.

ტურნირის პირველი ნომერი **ინგა ჭარხალაშვილია** - მისი რეიტინგი დღეისთვის 2369-ს უდრის. მეორეა **თამარ წერეთელი** - 2365. პირველმა ტურმა ფავორიტების ძალა დაამტკიცა, თუმც ორიოდ შემთხვევაში მოულოდნელ შედეგსაც ჰქონდა ადგილი: ტურნირის მესამე ნომერმა **ნინო ბაციაშვილმა** თეთრებით ვერ შეძლო 23-ე ნომრის მქონე **ელისაბედ ზარქუას** დამარცხება; მეთოთხმეტემ, **მერი ყორყოლიანმა** კი 34-ე ნომერ, **დეა გოგიშვილს** ვერ უპოვა სუსტი წერტილი და მხოლოდ ყაიმს დასჯერდა.

ჩანს, ყოველი ტური ძალიან დაძაბული იქნება, ამიტომ გთავაზობთ მეორე ტურში პირველ ათ დაფაზე მსხდომი წყვილების ვინაობას: **ნინო მელაშვილი** (1) - **ინგა ჭარხალაშვილი** (1); **თამარ წერეთელი** (1) - **ნონა დათუაშვილი** (1); **ინგა ხურცილავა** (1) - **მადონა ბოკუჩავა** (1); **სალომე ხაყომია** (1) - **სოფიკო გურამიშვილი** (1); **ბელა ხოტენაშვილი** (1) - **თინათინ ბერიძე** (1); **მეგი ესებუა** (1) - **მაკა ფურცელაძე** (1); **სოფიო ნიკოლაძე** (1) - **თამარ სამნიშვილი** (1); **ქეთი ნანალაშვილი** (1) - **სოფიკო ტერელაძე** (1); **თეკლა მაჭარაშვილი** (1) - **მარიამ თევზაძე** (1); **მერი ყორყოლიანი** (0.5) - **ნინო ბაციაშვილი** (0.5).

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთა თასი

# სეზონი თებერვალში იხსნება

## შემადგენლობა პორტუგალიისა და რუმინეთის წინააღმდეგ ცნობილია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრას 9 თებერვალს თბილისში, რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. მანამდე ერთი კვირით ადრე, 2 თებერვალს, თბილისშივე, ბორჯღალოსნებს პირველი წრის ორჯერ გადატანილი მატჩი აქვთ პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ პორტუგულაის ნაკრებთან თამაში ზაფხულში, ივნისის ბოლოს უნდა გამართულიყო და რადგან ორივე გუნდი მსოფლიო თასისთვის ემზადებოდა თამაში 10 ნოემბრისთვის გადაიტანეს. ნოემბერში თამაში ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო ვერ გაიმართა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელად რაგბის კავშირმა ავსტრალიელი სპეციალისტი ტიმ ლეინი შეიგულა, მაგრამ მასთან კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არაა. თებერვალში გუნდს სამი რთული შეხვედრა აქვს, მესამე იმავე პორტუგალიელებთანაა ლისაბონში, 23 თებერვალს.

2 და 9 თებერვლის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად 24 მორაგბე შეირჩა. როგორც ეროვნული ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ გვითხრა, ამათ კიდევ შეიძლება ერთიც დაემატოს. მეორეხაზელი მამუკა გორგოძე მხოლოდ ერთ მატჩში, რუმინელთა წინააღმდეგ დაეხმარება გუნდს. ასევე ერთხელ ითამაშებს ბესიკ ხამაშურიძეც, ოღონდ პორტუგალიელებთან.

თებერვალში ეროვნულ ნაკრებში ორი დებიუტანტი გამოჩნდება - „კლერმონის" ახალგაზრდული გუნდის მეორეხაზელი დიმიტრი ბასილაია და „ყოჩების" 10 ნომერი ლაშა მალაღურაძე.

ბესიკ ჯანგავაძე

| | |
|---|---|
| 2 თებერვალი | საქართველო-პორტუგალია |
| 9 თებერვალი | საქართველო-რუმინეთი |
| 23 თებერვალი | პორტუგალია-საქართველო |
| 29 მარტი | ჩეხეთი-საქართველო |
| 12 აპრილი | რუსეთი-საქართველო |
| 26 აპრილი | საქართველო-ესპანეთი |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +80 | 8 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | +103 | 6 |
| 3. რუმინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +71 | 6 |
| 4. ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +23 | 6 |
| 5. პორტუგალია | 4 | 2 | 0 | 2 | +0 | 4 |
| 6. ჩეხეთი | 6 | 0 | 0 | 6 | -227 | 0 |



ნაკრების ვეტერანი გია ლაბაძე კვლავ მწყობრშია

ინტერვიუ ირაკლი გიორგაძესთან

# მე, აქვსენტი, ლეინი და ნაკრები...

საქართველოს ნაკრების შუამარბი ირაკლი გიორგაძე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტარულ, პირველ დივიზიონში მესამე სეზონს ატარებს. გასულ ორ სეზონში ირაკლი „ბურგუენში" თამაშობდა, გუნდში, რომელიც მუდმივად პლეი ოფში გასასვლელად იბრძოდა, წლეულს კი „დაქსში" გადაბარგდა, რომელიც პირველი დივიზიონის დებიუტანტია და არსებობისთვის ბრძოლა უწევს.

- დებიუტანტის კვალობაზე ჩვენი გუნდი ურიგოდ არ გამოიყურება, - გვიამბობს ირაკლი გიორგაძე. - თუმცა, შედეგი ნამდვილად საპირისპიროს მეტყველებს. 6 ტურის შემდეგ ხუთი წაგება და ერთი მოგება გვაქვს. თუმცა, რაიმე დასკვნების გაკეთება ძნელია, მთელი ჩემპიონატი ჯერ ისევ წინაა და იმედია, არ გავვარდებით.

**- რამ გამოიწვია ასეთი ცუდი სტარტი?**

- უწინარესად იმან, რომ მთავარი მწვრთნელი მარკ ლიევრემონი საფრანგეთის ნაკრების თავკაცად დანიშნეს, რამაც ჩვენ გუნდს გარკვეული სირთულეები შეუქმნა. ამასთან პირველი ხუთი თამაში ძალიან ძნელ მეტოქეებთან, პირველი დივიზიონის ბობოლებთან მოგვიწია. ყველაფერი ვიღონეთ, რომ მაქსიმალური შედეგი გვქონოდა. მაგალითად პარიზში, ქვეყნის ჩემპიონ „სტად ფრანსესთან" უაზრო შეცდომის გამო წავაგეთ - მეტოქემ საკუთარ მოედანზე მხოლოდ სამი ქულით მოგვიგო.

**- რადგან „დაქსი" დებიუტანტია, უნდა ვივარაუდოთ, რომ პლეი ოფში მოხვედრაზე არც კი ოცნებობთ.**

- ცხადია, არა, რა პლეი ოფი? მთავარია, დივიზიონში ადგილი შევინარჩუნოთ. ამისთვის კლუბის ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ. პირობები, როგორც ელიტარული დივიზიონის კლუბებს შეეფერება, ისეთია. თუმცა, „დაქსი" პატარა ქალაქია. რაგბი აქ ნომერ პირველი სპორტის სახეობაა. ყურადღება არ გვაკლია და ვფიქრობ, გუნდიც ნორმალურადაა დაკომპლექტებული. ვეცდებით, დივიზიონიდან არ გავვარდეთ.

**- მთავარია, რომ სათამაშო პრაქტიკა არ გაკლიათ, რასაც გასულ სეზონში მოკლებული იყავით.**

- დიახ, ასეა. „ბურგუენში" შარშან მატჩების ოცდაათ პროცენტში თუ მომიწია თამაში. წლეულს „დაქსში" ერთიც არ გამომიტოვებია ამ მხრივ ბედს არ ვუჩივი. მწვრთნელები კმაყოფილნი არიან, მენდობიან და ვცდილობ არ დავაღალატო.

**- კარგად საქმე არც თქვენი ძმის გუნდს, „კასტრს" მისდის, თუმცა აქვსენტი რეგულარულად თამაშობს.**

- ეს ძალიან მახარებს. აქვსენტის „კასტრში" საკმაოდ სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწია. თავიდან ძალიან გაუჭირდა, თუმცა ახლა ყველაფერი რიგზე აქვს. რაც შეეხება გუნდს, თამაში ვერაფრითააწყო, რასაც უმალ მწვრთნელის ცვლილება მოჰყვა. მიუხედავად ამისა, კასტრელებს მაინც რთულად აქვთ საქმე. ჩვენ მხოლოდ ერთი მოგებით გვისწრებენ.

**- მალე ერთა თასის გათამაშების მეორე წრე დაიწყება. ეროვნულ ნაკრებს კი ახალი მწვრთნელი ეყოლება. რას ფიქრობთ ტიმ ლეინზე?**

- ვფიქრობ, ავსტრალიელი მწვრთნელის დანიშვნა პოზიტიური მოვლენაა. თუ მის დიდ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, რეალურად შესწევს ძალა, ბევრი ახალი, პროგრესული დანერგოს ნაკრებში. ამასთან, ჩვენ ეროვნულ გუნდში თაობათა ცვლის პროცესი დაიწყო და ამ ეტაპზე ასეთი კვალიფიციური მწვრთნელი, ვფიქრობ ახალი გუნდის მშენებლობას წარმატებით გაართმევს თავს.

ბესიკ ჯანგავაძე



ეროვნული ნაკრები

# დუშეთში თბილა, იქ გადავდივართ



ხელბურთელთა ნაკრები დუშეთის დარბაზში ივარჯიშებს

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები მოახლოებული „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის კვლავ თბილისში, ასკ-ის დარბაზში ემზადება. მართალია, დარბაზი ურიგო არ არის, მაგრამ სირთულეს ის ქმნის, რომ გათბობის სისტემა წლების განმავლობაში არ მუშაობს. შესაბამისად, აქ სრულფასოვანი საწვრთნელი პროცესის ჩატარება ძნელია.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის წინაშე სრული სიმწვავით დადგა ისეთი სახელბურთო დარბაზის გამონახვა, რომელშიც გათბობა იქნებოდა. ასეთი დარბაზი კი თბილისში მხოლოდ სპორტის სასახლეშია, რომლის დასაქირავებელი ხარჯიც ხელბურთის ფედერაციას არ ჰქონდა...

როგორც გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გვაცნობა, პრობლემა, ფაქტობრივად გადაიჭრა.

- ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა. მან შემოგვთავაზა, რომ 12 იანვრიდან, „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის დასკვნითი შეკრება გავიაროთ დუშეთის ახალ სპორტულ კომპლექსში. დუშეთის კომპლექსში გათბობაც მუშაობს და დარბაზის ზომებიც თანამედროვე სტანდარტებისაა. დუშეთში ზეგ უნდა ჩავიდეთ და ადგილზე უფრო დეტალურად შევისწავლით იქაურ პირობებს.

**- ფინანსური კუთხით რა მდგომარეობაა?**

- სახელმწიფო რასაც დაგვპირდა, პირნათლად შეასრულა. ნორვეგიაში გასამგზავრებელი ძირითადი თანხა უკვე გვაქვს. საშოვნელი გვრჩება მხოლოდ წვრილმანი ხარჯების ფული. შარშან, „ჩელენჯ ტროფის" თბილისურ ეტაპზე, გვერდში ამოგვიდგა ორი სპონსორი - „თეგეტა მოტორსი" და „ჯეობეთი". ამ კომპანიებს ახლაც მივმართეთ და იმედი მაქვს, კვლავ გვერდში ამოგვიდგებიან.

**- ფინალის პირდაპირ ტრანსლაციაზე რა გადაწყდა?**

- ნორვეგიიდან უკვე ჩამოვიდა საბუთები კომპანია „ინფრონტ სპორტ ენდ მედიისაგან", რომელსაც ტელეკომპანია საზოგადოებრივ მაუწყებელში მივიტანთ და ხელშეკრულებას გავაფორმებთ. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის პირდაპირ ტრანსლაციას, თუკი მისი გადაცემა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ მოახერხა, მაშინ შესაძლოა, სხვა ტელეკომპანიას მივმართოთ.

**- ლეგიონერები როდის ჩამოდიან?**

- ხუთივე გამოძახებული ლეგიონერი აუცილებლად ითამაშებს ფინალში. რატი მსხვილიძე უკვე აქ არის. სერგო დათუკაშვილი გარმანიიდან 12 იანვარს ჩამოვა, 13 იანვარს ვლადიმერ რუსია დაბრუნდება რუმინეთიდან, ხოლო 14 იანვარს რეზო ჭანტურია ჩამოდის მაკედონიიდან. რაც შეეხება არჩილ გარიშვილს, იგი ნორვეგიაში გერმანიიდან შემოგვიერთდება.

ჰოკეი

## ლუონგომ ოლ სტარზე უარი თქვა

NHL-ის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, **რობერტო ლუონგომ** უარი განაცხადა "ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობაზე. "ვანკუვერის" კარის დარაჯი დასავლეთი კონფერენციის სასტარტო შემადგენლობაში მოხვდა, მაგრამ რობერტო ატლანტაში არ გაემგზავრება, ვინაიდან სურს უფრო მეტი დრო გაატაროს თავის ფეხმძიმე მეუღლესთან.

ასე რომ, "ოლ სტარზე" დასავლეთის კარს "კოლამბუსის" გოლკიპერი **პასკალ ლეკლერი** დაიცავს, რომელმაც გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ "ყველა ვარსკვლავის მატჩი" ატლანტაში 27 იანვარს გაიმართება.

## კალგარი ვარსკვლავს კარგავს?

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალგაზრდა ვარსკვლავმა, "კალგარი ფლეიმზის" მცველმა **დიონ ფანიოფმა** (NHL-ში 205 მატჩი და 128 ქულა) უარი განუცხადა თავის კლუბს ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე, რომლის მიხედვითაც ფანოფს 30 მილიონ დოლარი უნდა მიელო.

ჰოკეისტმა "ფლეიმზს" საკუთარი პირობები წაუყენა - 22 წლის დიონს 10-წლიანი კონტრაქტი სურს, რომლის განმავლობაშიც მან 70 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. ამ ინფორმაციას Calgary Herald ავრცელებს.

## ჩიკაგოს დაწუნებული კაროლინამ აიყვანა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ჩიკაგო ბლეკჰოქსმა" ტრანსფერზე დააყენა რუსი ფორვარდი **სერგეი სამსონოვი**. თავდაპირველად, 29 წლის ჰოკეისტის აყვანა NHL-ის არცერთმა კლუბმა არ მოისურვა და სამსონოვი 2 იანვრიდან ფარმ-კლუბ "როკფორდის" (AHL) ღირსებას იცავდა. და აი, ახლა გაირკვა, რომ სამსონოვი სეზონის ბოლომდე "კაროლინა ბლუ ჯეკეტსის" შემადგენლობაში ითამაშებს. რუსი ჰოკეისტის წლიურ ხელფასს, რომელიც 3.5 მილიონ დოლარს უტოლდება, "კაროლინა" და "ჩიკაგო" სანახევროდ გადაიხდიან.

სამსონოვი "მონრეალ კანადიენსიდან" "ჩიკაგოში" ივნისში გადავიდა. წელს მან 23 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ოთხი შედეგიანი პასი დააგროვა. სულ კი, ამ ფორვარდს NHL-ში გამართულ 619 მატჩში 422 ქულა აქვს (178+244).

## გრეტცკი ახალ ტიტულს უმიზნებს

რეგულარულმა ჩემპიონატმა თავის ეკვატორს მიაღწია და გამოცემა Globe and Mail-ის აზრით, ლეგენდარული **უეინ გრეტცკი** "ჯეკ ადამს ტროფის" მთავარი პრეტენდენტია. ეს პრიზი სეზონის ბოლოს რეგულარულის საუკეთესო მწვრთნელს გადაეცემა. ასე რომ გრეტცკი, რომელსაც მოთამაშის რანგში უამრავი ტიტული და რეკორდი ეკუთვნის, კიდევ ერთი პრიზის მფლობელი შეიძლება გახდეს.

ამ სეზონის წინ, ექსპერტები ერთხმად გაიძახოდნენ, რომ გრეტცკის განვრთნილი "ფინიქს კოიოტზი" უიმედო აუთსაიდერი იყო და ის მომავალი დრაფტის პირველი ნომრის მიღების მთავარი პრეტენდენტი იქნებოდა. მაგრამ, გუნდმა აქცენტი ახალგაზრდა ჰოკეისტებზე გააკეთა, **ილია ბრიზგალოვის** სახით საიმედო მეკარეც დაიმატა და ახლა "ფინიქსი" პლეიოფში მოსახვედრად იბრძვის. რა თქმა უნდა, ამაში მთავარი დამსახურება სწორედ "დიად" უეინს მიუძღვის.

ფორმულა 1

## ვიურცი ჰონდაშია

ავსტრიელმა პილოტმა **ალექს ვიურცმა**, რომელმაც შარშან კარიერის დასრულება გადაწყვიტა, "ჰონდას" წინადადება მიიღო. 33 წლის ვეტერანი იაპონური გუნდის ტესტ-პილოტი და სათადარიგო ავტომრბოლი გახდა.

*"როს ბრაუნთან მუშაობის შანსი ძალიან მახარებს, აგრეთვე ის შესაძლებლობები, რომელიც ამ გუნდს გააჩნია. ბატონს და ბარიკელოს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა წარმატებული იქნება"*, - განაცხადა ვიურცმა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

## ჟაკარეპაგუას დაანგრევენ?

ფორმულა 1-ის ისტორიის ნაწილი საფრთხეშია. ჟაკარეპაგუას ავტოდრომი, რომელზეც 1989 წლამდე ბრაზილიის გრან-პრი იმართება, შესაძლოა დაანგრიონ. ამის მიზეზი კი ის პროექტი გახლავთ, რომელიც რიო დე ჟანეირომ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მისაღებად წამოაყენა.

სამშაბათს, რიომ თავისი განაცხადის დეტალები წარმოადგინა, რომლის ერთ-ერთი ნაწილია ჟაკარეპაგუას დანგრევა, რომელიც თავის დროზე, ხელოვნურად დამშრალი ჭაობის ადგილას ააშენეს. გეგმის მიხედვით, ტრასის ადგილას რამდენიმე ოლიმპიური ობიექტი აშენდება.

ფორმულა 1-ის გრან-პრის გარდა, ჟაკარეპაგუაზე CART-ის რბოლები და მოტოგრან-პრის შეჯიბრებებიც იმართებოდა. ეს ტრასა ერთხელ უკვე გადაურჩა დანგრევას, როცა 2005 წელს მისი დემონტაჟი და პანამერიკული თამაშებისთვის ახალი ტრასის აშენება იყო დაგეგმილი.

ჟაკარეპაგუაზე ბოლო გრან-პრი ბრიტანელმა **ნაიჯელ მენსელმა** მოიგო, ხოლო აქ გამარჯვებებით რეკორდსმენი გახლავთ ფრანგი **ალენ პროსტი**, რომელმაც ხუთჯერ დაიპყრო ეს ტრასა.

## სუპერ აგურიმ 19 თებერვალი აირჩია

ფორმულა 1-ის იაპონურმა გუნდმა "სუპერ აგურიმ" თავისი ახალი ბოლიდის პრეზენტაციის თარიღი დაასახელა. სპეციალისტები SA08-ს 19 თებერვალს იხილავს.

პრეზენტაციის ცერემონია ბარსელონას ტრასაზე გაიმართება. "სუპერ აგურის" ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ საპრიზო პილოტების ვინაობა სწორედ ამ დღეს გამჟღავნდება, თუმცა ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ახალ მსოფლიო ჩემპიონატში, "სუპერ აგურის" ბოლიდებით **ტაკუმა სატო** და **ენტონი დევიდსონი** ირბოლებენ.

## ფორმულა მხოლოდ სუპერბოულს ჩამორჩება

ტელეკომპანია Initiative Sports Futures'-მა საინტერესო კვლევა ჩაატარა, რის შემდეგაც დადგინდა, რომ 2007 წლის მეორე სპორტული მოვლენა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატი ყოფილა.

ტელეაუდიტორიის რაოდენობით, სეზონის უკანასკნელი რბოლა - ბრაზილიის გრან-პრი მხოლოდ ამერიკული ფეხბურთის ფინალს, "სუპერბოულს" ჩამოუვარდებოდა. შეგახსენებთ, რომ "ინტერლაგუშზე" ერთბაშად სამი პილოტი აცხადებდა ჩემპიონობაზე პრეტენზიას.

კვლევის მიხედვით, ბრაზილიის გრან-პრის საშუალოდ 78 მილიონმა ტელემაყურებელმა უცქირა, სუპერბოულის აუდიტორიამ კი, 97 მილიონი ადამიანი შეადგინა.

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-კოლორადო 2:1**

0:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 ბრაშირი-3 (ლეიჩი-6, ბრედლი-7), 2:0 შტეკელი-4 (გორდონი-5, იურჩინა-3), 2:1 სვატოსი-17 (ვოლსკი-14, ბ. კლარკი-11).

**ჩიკაგო-დალასი 1:3**

1:1, 0:0, 0:2

გოლები: 1:0 ლანგი-15 (კეიტი-12, ჰავლატი-8), 1:1 ლ. ერიქსონი-4 (ჰაგმანი-7, მოდანო-15), 1:2 ს. ბარნსი-6 (მოდანო-16, ზუბოვი-31), 1:3 მოროუ-16 (მოდანო-17).

**ანაჰაიმი-ტორონტო 5:0**

2:0, 0:0, 3:0

გოლები: 1:0 ბერტუცი-7 (შნაიდერი-14, ჰასკინსი-11), 2:0 პერი-23 (ბერტუცი-11, გეტცლაფი-30), 3:0 ბოჩენსკი-1 (ბერტუცი-12, გეტცლაფი-31), 4:0 უეიტი-7 (პერი-14, ს. ნიდერმაიერი-6), 5:0 კუნიტცი-15 (უეიტი-11, პერი-15).

### ტურის მოვლენები

- "კოლორადო ეველანშის" დამრიგებელმა **ჯოელ კენევილმა** NHL-ში მწვრთნელის რანგში თავისი მე-800 შეხვედრა ჩაატარა. ლიგის ისტორიაში ის მესამე ადამიანია, ვინც კარიერაში 800 შეხვედრა მოთამაშისა და მწვრთნელის რანგშიც გამართა.
- "დალას სტარზმა" ოთხმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ, ზედიზედ ორი მატჩი მოიგო.
- "ჩიკაგო ბლეკჰოქსი" ზედიზედ 7 მატჩია ვერ ახერხებს გამარჯვებას. ამის მიზეზი ისიც არის, რომ კლუბს ბოლო ტურებში ძირითადის ერთბაშად შვიდი ჰოკეისტი აკლია.
- დალასელმა **ლუი ერიქსონმა** რიცხობრივ უპირატესობაში გაიტანა გოლი. მანამდე "დალასმა" ზედიზედ 24-ჯერ ვერ გამოიყენა ერთი ჰოკეისტით მეტი.
- "ანაჰაიმ დაქსის" მეკარემ **ჟან-სებესტიან ჟიგერმა** 28 დარტყმა მოიგერია და კარიერაში 27-ე შათაუტი შეასრულა.
- "იხვებმა" შინ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს.
- "ტორონტო მეიპლ ლივზმა" ბოლო 11 თამაშში მეცხრედ გაიტანა სამზე ნაკლები შაიბა.
- "ანაჰაიმის" ფორვარდმა **რაიან გეტცლაფმა** ორი შედეგიანი პასი შეასრულა და ქულიანი მატჩების სერია ცხრამდე აიყვანა, რაც მისთვის კარიერის რეკორდია.
- "დაქსის" ფორვარდი **დაგ უეიტი** ამერიკაში დაბადებული მეხუთე ჰოკეისტი გახდა, ვინც კარიერაში 700 შედეგიანი პასი შეასრულა.

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღიას წინ

# ნალბანდიანი ავსტრალიის ღიას გამოტოვებს?



დავიდ ნალბანდიანი

არგენტინელმა ჩოგბურთელმა **დავიდ ნალბანდიანმა** Kooyoung Classic-ის საჩვენებელი ტურნირიდან განაცხადი გამოიტანა. ეს ტურნირი მელბურნში ტარდება და წინ უძღვის ავსტრალიის ღია პირველობას, რომელიც 14 იანვარს დაიწყება.

მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს ვარჯიშზე ზურგის კუნთი დაეჭიმა. *"ვფიქრობ, ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ გარანტის მოცემა არავის შეუძლია. ექიმებმა მითხრეს, რომ ეს მხოლოდ კუნთის დაჭიმვაა. თადარიგში 3-4 დღეს მაქვს, შაბათს კორტზე გავალ და სწორედ მაშინ გაირკვევა ჩემი მდგომარეობა"*, - ამბობს ნალბანდიანი.

არგენტინელი მოახლოებული ავსტრალიის ღია პირველობის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. ნალბანდიანი გასული სეზონის ბოლო ნაწილის გმირი გახდა, როდესაც სამი კვირის განმავლობაში, ორ მასტერსზე ზედიზედ ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

პეკინი 2008

# კიფერი პეკინისთვის ჰაასს შეუამხანაგდება

გერმანელმა ჩოგბურთელმა **ნიკოლას კიფერმა** ძალიან გააოცა თავისი თანამემამულე, **ტომი ჰაასი**, როცა ამ უკანასკნელს პეკინის ოლიმპიადაზე წყვილში თამაში შესთავაზა. *"დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ წყვილთა თანრიგში რაიმე ღირებულ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი სიამოვნებით გავიდოდი ჰაასთან ერთად კორტზე"*, - მოჰყავს 30 წლის კიფერის სიტყვები "ბილდს".

კიფერი უკვე ესაუბრა ჰაასს, რომელიც მის მეგობრად არასოდეს ითვლებოდა. ჩოგბურთელები ამ საკითხის განხილვას ავსტრალიის ღია პირველობის დროს გააგრძელებენ.

*"ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ და არ მეშინია მასთან კონტაქტის. სპორტული თვალსაზრისით, ეს ყველაზე მართებული გადაწყვეტილება იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, მე და ტომი აქტიურ და შედეგიან თამაშს ვაჩვენებთ"*, - აგრძელებს კიფერი.

შეგახსენებთ, რომ 2004 წელს, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე კიფერი **რაინერ შუტლერთან** ერთად თამაშობდა წყვილში. ამ დუეტმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა, არადა, შეიძლებოდა ოლიმპიური ჩემპიონიც გამხდარიყო - ჩილელებთან, **ნიკოლას მასუსთან** და **ფერნანდო გონსალესთან** ფინალში, გერმანელებმა ოთხი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენეს.

სენსაცია

# ვენუს უილიამსი დაინიშნა



ვენუს უილიამსი

ინტერნეტ-საიტმა MediaTakeOut.com-მა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი **ვენუს უილიამსი** არამარტო ავსტრალიის ღია პირველობისთვის, არამედ საკუთარი ქორწილისთვისაც ემზადება. როგორც აღმოჩნდა, უფროსი უილიამსი თავის მეგობარზე, **ჰენკ კიონეზე** დაინიშნა, რომელსაც უკვე ერთი წელია ხვდება.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია არავის დაუდასტურებია, მაგრამ უილიამსების ოჯახთან დაახლოებულმა პირმა განაცხადა, რომ *"ვენუსი ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება, ამიტომაც არ სურს სხვა რამეზე ყურადღების გაფანტვა. მაგრამ ისინი ბედნიერები არიან, განსაკუთრებით ვენუსი!"*

ავტოსპორტი

რალი-რეიდი დაკარი

# დაკარი 2009 აუცილებლად ჩატარდება

როგორც იცით, წელს არ გაიმართა საქვეყნოდ ცნობილი რალი-რეიდი "დაკარი". მისმა დირექტორმა **ეტიენი ლავინმა** პირველად ისაუბრა ლეგენდარული ავტომარათონის გაუქმების მიზეზებზე.

*"ხუთშაბათს დილით, სტარტამდე ორი დღით ადრე, საფრანგეთის მთავრობისგან ოფიციალური განცხადება მივიღეთ, რის შემდეგაც საგანგებო სხდომა გავმართეთ. მავრიტანიაში ოთხი ტურისტისა და სამი სამხედროს მკვლელობის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა "დაკარის" მონაწილეთა უსაფრთხოების საკითხი. საბოლოოდ, საფრანგეთის მთავრობამ დაბეჯითებითი რეკომენდაცია მოგვცა რბოლის გაუქმების შესახებ. მათი ინფორმაციით, ალ-ქაიდა" მარათონის დროს ტერაქტისთვის მზადებით იყო დაკავებული"*, - ამბობს ლავინი.

კითხვაზე, რა ელის "დაკარს" მომავალში, რალის დირექტორი ასე პასუხობს:

"დაკარი 2009" აუცილებლად გაიმართება. ამისათვის ჩვენ ყველა ძალას ვიხმართ. ძალიან ბევრი იდეა გვაქვს და მათ განხორციელებას უახლოეს დროში შევუდგებით".

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სელტიქსის მეოთხე წაგება

1995/96 წლების სუპერგუნდის, მაიკლ ჯორდანის, სკოტი პიპენისა და დენის როდმანის (კიდევ ბევრი სხვისაც) "ბულზის" ფენომენალური შედეგი - 72 მოგება და ოდენ 10 წაგება შეიძლება კიდევ გაუმჯობესდეს, მაგრამ საამისოდ მიმდინარე რეგულარულის ლიდერმა, "ბოსტონ სელტიქსმა" ისეთი დაუგეგმავი ჩავარდნები, როგორიც გუნდს "შარლოტთან" მატჩში შეემთხვა, თავიდან უნდა აიცილოს.

"სელტიქსს" ამ წაგების მიუხედავადაც მოგება-წაგების ძალიან კარგი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ საჩემპიონო გაქანების გუნდს, ასეთი ლაფსუსები ტრადიციად არ უნდა ექცეს, თორემ ფსიქოლოგიური მზადყოფნის მხრივ, დოკ რივერსის ბიჭებს საფლეიოფოდ პრობლემები შეექმნებათ.

"ბობქეთსი" ნორმალური, თუმცა არა საფლეიოფო გუნდია, რომელიც შემადგენლობით იქნებ ბევრსაც კი სჯობდეს, მაგრამ თამაშის ხარისხისა და დისციპლინის მხრივ, "შარლოტი" ძალიან მოიკოჭლებს.

ემეკა ოკაფორს ჯერაც საზარდული აწუხებს, ჯეისონ რიჩარდსონს თანაგუნდელებთან კონფლიქტი აქვს (რიჩარდსონმა სათამაშო დროის გაზრდა მოითხოვა), ხოლო დერეკ ანდერსონსა და ოტელა ჰარინგტონს კი ჯერაც ზედმეტი წონის პრობლემა აქვთ და გუნდსაც სადღაც 7-8 კაცით უწევს ფონს გასვლა.

მასპინძლებს "დიდი სამეულის" ერთ-ერთი წევრი, მსროლელი რეი ალენი არ ჰყოლიათ, თუმცა მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ "ბოსტონი" საკუთარ მოედანზე "ბობქეთსის" ბარიერის გადალახვას ვერ მოახერხებდა.

შეუდარებელი იყო რიჩარდსონი, რომელიც თავიდან "სელტიქსის" კაპიტან პოლ პირსს ჩააბარეს, მაგრამ ვერც მან და ვერც რომელიმე სხვა დამცველმა მოახერხეს ჯეისონის შეჩერება, რომელმაც თამაშიდან 14 სროლა (22-დან) გამოიყენა და 42 წუთში არცერთი (!) შეცდომა არ დაუშვია.

"ჯეისონი დაფრინავდა, ჩვენ კი იმდენი შეცდომა დავუშვით, რომ მოგების ყველანაირი შანსი მოვისპეთ", - განაცხადა პოლ პირსმა, რომელმაც 9 სამქულიანიდან ერთადერთი გამოიყენა.

"სელტიქსს" აღნიშნულ მატჩამდე ზედიზედ 9 მოგება ჰქონდა და "შარლოტთან" წაგებით გუნდმა პირადი რეკორდის დამყარების შანსიც გაუშვა ხელიდან - მოგების შემთხვევაში, "სელტიქსი" თავის მდიდარ ისტორიაში უსწრაფესად მიუკაკუნებდა 30 გამარჯვებას, ანუ 1959/60 წლების გუნდის რეკორდს გააუმჯობესებდა. მაშინდელმა "სელტიქსმა" სეზონი 30 მოგებითა და 4 წაგებით დაიწყო, პირსის, ალენისა და კევინ გარნეტის გუნდს კი 29 მოგება და 4 წაგება აქვს.

გარნეტმა ძალიან ძლიერად ჩაატარა მესამე მეოთხედი და 14 ქულა დააგროვა, თუმცა პირსმა ოთხივე სროლა გააფუჭა, ერთი შეცდომა დაუშვა და დაცვაშიც ბევრი ვერაფრით შეეშველა თავის გუნდს.

"შარლოტს" აღნიშნულ მატჩამდე გასვლაზე 12-დან 11 მატჩი წაგო და გარნეტის თქმით, "ბობქეთსმა" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

"ყველა შეხვედრას ნამდვილად ვერ მოვიგებთ, "შარლოტმა" კი დღეს თავისი საუკეთესო თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა", - ამბობს გარნეტი, რომელმაც უკვე მერამდენედ ამ სეზონში ვერ შეძლო მატჩის ორმაგი დუბლით დასრულება.



"სელტიქსისთვის" ეს მხოლოდ მეორე საამსეზონო წაგება იყო. პირველად გუნდი 19 დეკემბერს "დეტროიტთან" 85:87 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში ჩონსი ბილაპსმა "პისტონზი" ძირითადის დასრულებამდე 0.1 (!) წამით ადრე ორი საჯარიმოთი დაამწუხრა.

სტუმართა რიგებში კი კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მატჩი გამართა "დეტროიტიდან" გაცვლის შედეგად აყვანილმა ცენტრმა ნაზრ მოჰამედმა, რომელიც "ბობქეტსში" გადასვლის მერე ერთ მატჩში საშუალოდ 10.9 ქულასა ("პისტონზში" 3.3) და 8.2 მოხსნას (3.5) აგროვებს.

"შარლოტთან" "სელტიქსს" გლენ დევისი არ ჰყოლია და მასპინძლებმა თამაშიდან სროლების ოდენ 42 პროცენტი გამოიყენეს.

ზურაბ თალაკვაძე

**ბოსტონი- შარლოტი 83:95**

24:20, 17:25, 24:27, 18:23

**ბოსტონი:** გარნეტი (24 ქ. 8 მ. 4 პ. 2 დ), პირსი (13 ქ. 8 მ. 3 პ), რონდო (13 ქ. 4 მ), პოუსი (10 ქ. 7 მ. 4 პ), პერკინსი (6 ქ. 10 მ).

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (34 ქ. 9 მ. 3 პ. 2 ჩ), მოჰამედი (18 ქ. 10 მ), ფელტონი (16 ქ. 8 პ. 4 მ), ჯ. უოლასი (15 ქ. 10 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), ოკაფორი (8 ქ).

**ატლანტა-კლივლენდი 90:81**

13:14, 23:18, 29:20, 25:29

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (29 ქ. 7 მ. 5 პ), ჯოშ სმიტი (19 ქ. 2 დ), მერვინ უილიამსი (12 ქ. 8 მ. 2 ჩ), ჩილდრესი (12 ქ. 5 მ. 3 პ), ჰორფორდი (10 ქ. 15 მ. 2 დ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.**

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (31 ქ. 10 მ. 6 პ. 3 ჩ), დ. ბრაუნი (12 ქ. 5 მ), გუდენი (10 ქ. 11 მ).

**ტორონტო-ფილადელფია 109:96**

25:25, 27:25, 27:16, 30:30

**ტორონტო:** ე. პარკერი (22 ქ. 2 ჩ), ბოში (21 ქ. 3 დ), კალდერონი (17 ქ. 9 პ. 6 მ. 2 ჩ), დელფინო (12 ქ. 5 მ), მუნი (8 ქ. 9 მ. 5 დ).

**ფილადელფია:** უ. გრინი (18 ქ), იგუოდალა (16 ქ. 7 მ), ტ. იანგი (16 ქ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (10 ქ).

**ნიუ იორკი-ჰიუსტონი 92:101**

19:25, 34:25, 21:25, 18:26

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (21 ქ), ნ. რობინსონი (16 ქ. 4 მ. 4 პ), მარბერი (15 ქ. 6 პ. 5 მ), კარი (14 ქ), ლი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ), ზ. რენდოლფი (10 ქ. 11 მ).

**ჰიუსტონი:** მინი (36 ქ. 11 მ. 3 პ. 2 დ), ალსტონი (20 ქ. 8 პ. 6 მ. 2 ჩ), სკოლა (19 ქ. 3 მ. 2 ჩ), ჰედი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი-სიეტლი 99:88**

30:21, 29:25, 21:19, 19:23

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (28 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), ვ. კარტერი (18 ქ. 8 მ. 6 პ), კიდი (16 ქ. 11 პ. 5 მ), მ. ალენი (15 ქ. 2 ჩ), ბუნი (11 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**სიეტლი:** პეტრო (22 ქ. 9 მ. 3 დ), ქოლისონი (18 ქ. 13 მ), დიურანი (15 ქ. 2 დ), უილკინსი (13 ქ).

**ნიუ ორლეანი-ლეიკერსი 80:109**

19:32, 24:22, 27:30, 10:25

**ნიუ ორლეანი:** პოლი (32 ქ. 5 პ), დევიდ უესტი (19 ქ. 9 მ. 3 პ), ჩენდლერი (11 ქ. 7 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (19 ქ. 7 მ. 7 პ. 3 ჩ), ბინუმი (17 ქ. 9 მ. 4 პ. 3 დ), უოლტონი (14 ქ), ოდომი (11 ქ. 5 მ. 3 პ), არიზა (10 ქ. 7 მ).

**მილუოკი-მაიამი 98:92**

25:21, 30:29, 13:16, 30:26

**მილუოკი:** მო უილიამსი (35 ქ. 6 პ), ბოგუტი (17 ქ. 8 მ. 3 პ), სიმონსი (12 ქ. 8 მ. 4 პ), ჩ. ბელი (11 ქ. 5 მ. 5 პ), ქსიანლიანი (10 ქ. 2 ჩ).

**მაიამი:** უეიდი (34 ქ. 9 მ. 5 პ. 3 ჩ), ჯეისონ უილიამსი (23 ქ. 3 ჩ), რ. დევისი (9 ქ. 10 მ. 6 პ).

**დალასი-დეტროიტი 102:86**

32:20, 16:23, 31:22, 23:21

**დალასი:** ნოვიცკი (23 ქ. 9 მ. 2 პ), დ. ჰარისი (19 ქ. 4 პ), ტერი (15 ქ. 5 პ), სტექჰაუზი (15 ქ), ჯოშ ჰოვარდი (10 ქ. 9 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (18 ქ. 2 ჩ), ბილაპსი (16 ქ), სტაკი (10 ქ. 3 ჩ), რ. უოლასი (9 ქ. 11 მ. 3 დ).

**ფინიქსი-ინდიანა 129:122 (ო)**

**ფინიქსი:** რ. ბელი (27 ქ. 9 მ. 4 პ), ბარბოსა (27 ქ. 5 პ), ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 11 მ), მერიონი (23 ქ. 12 მ. 4 პ), ნეში (9 ქ. 4 პ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (22 ქ. 11 მ), შ. უილიამსი (22 ქ. 5 მ), ტინსლი (19 ქ. 11 პ. 4 მ. 2 ჩ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ. 7 მ), რაში (14 ქ), დიენერი (12 ქ), მერფი (9 ქ. 15 მ), ფოსტერი (6 ქ. 11 მ).

**პორტლენდი-გ. სტეიტი 109:91**

30:14, 26:27, 28:23, 25:27

**პორტლენდი:** ბლეიკი (24 ქ. 4 პ. 2 ჩ), ოლდრიჯი (19 ქ. 5 მ), უებსტერი (16 ქ), ჯეიმს ჯოუნსი (16 ქ), პრჟიბილა (10 ქ. 10 მ. 2 ჩ. 2 დ).

**გოლდენ სტეიტი:** ბარნსი (14 ქ. 6 მ), მ. პიეტრუსი (13 ქ. 8 მ. 3 ჩ), უოტსონი (11 ქ), მ. ელისი (10 ქ).

**კლიპერსი-ორლანდო 106:113**

20:35, 34:24, 25:29, 27:25

**კლიპერსი:** მაგეტი (27 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ), ტიმ ტომასი (20 ქ. 5 მ), კამანი (17 ქ. 9 მ. 4 დ), მობლი (16 ქ. 4 მ), ტორნტონი (11 ქ. 5 მ), კასელი (9 ქ. 8 პ. 2 ჩ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (28 ქ. 7 მ. 7 პ), რ. ლუისი (20 ქ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 17 მ. 4 ჩ), ნელსონი (14 ქ. 9 პ. 5 მ), მ. ევანსი (13 ქ), დულინგი (12 ქ. 4 მ).

კალათბურთი

## ფორტიტუდომ სნაიპერი დაკარგა

მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა იტალიის "ფორტიტუდომ". ამ გუნდს მინიმუმ ერთი თვე ვერ დაეხმარება ამერიკელი მცველი ჰორას ჯენკინსი, რომელმაც იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში სახის ძვალი გაიტეხა.

ჯენკინსი "ფორტიტუდოს" ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ, რაზეც მის მიერ ULEB-ის თასზე ნაჩვენები შედეგი მეტყველებს - საშუალოდ მატჩში 21.4 ქულა.

## დე ლა ფუენტე რომაშია

ცნობილმა ესპანელმა კალათბურთელმა როდრიგო დე ლა ფუენტემ ამ სეზონში მეორედ გამოიცვალა კლუბი - 31 წლის კალათბურთელი (200 სმ) "ბენეტონიდან" "რომაში" გადავიდა. წელს, დე ლა ფუენტემ სერია A-ში 10 მატჩი ჩაატარა, რომლის დროსაც 5.1 ქულასა და 2.9 მოხსნას აგროვებდა.

იტალიამდე, დე ლა ფუენტე "ბარსელონაში" თამაშობდა და მისი კაპიტანიც იყო. კატალონიური კლუბის რიგებში ფორვარდი ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, 1999 წელს კორაჩის თასი, 2003 წელს კი, ევროლიგა მოიგო. დე ლა ფუენტეს ესპანეთის ნაკრებთან ერთად ორჯერ აქვს მოპოვებული ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი (1999, 2003).

## გოლდენ სტეიტმა მცველი დაიმატა

"გოლდენ სტეიტ უორიორზი" დაცვის ხაზის გაძლიერებაზე ზრუნავს. ამისათვის, კლუბის ხელმძღვანელობამ "რიო გრანდედან" მცველი სი ჯეი უოტსონი მიიწვია და მას გამოსაცდელი ვადით, 10-დღიანი კონტრაქტი გაუფორმა.

23 წლის უოტსონი დეკემბერში D-ლიგის საუკეთესო კალათბურთელი გახდა. სულ ამ სეზონში მან 16 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 26.4 ქულა, 5.3 მოხსნა და 5.3 ჩაჭრა დააგროვა.

სხვადასხვა

რაგბი

## აფრიკას შავკანიანი გაწვრთნის

მსოფლიო თასის მოქმედ ჩემპიონს, სამხრეთ აფრიკას ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. ნაკრებიდან ტრიუმფით წასული ჯეკ უაიტი პიტერ დე ვილერსმა შეცვალა. ეს უკანასკნელი ადრე სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში და გუნდი ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატში ფინალამდე მიიყვანა. საინტერესოა, რომ დე ვილერსი პირველი შავკანიანი მწვრთნელია, ვინც სამხრეთ აფრიკის პირველ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

ავტოსპორტი

## მანქანამ ბოინგს გაასწრო

ახალი ზელანდიის დედაქალაქ ოკლენდის აეროპორტში საინტერესო შეჯიბრება გაიმართა.

"A1 გრან პრის" სარბოლო ჩემპიონატის მონაწილე ჯონი რიდი თავისი ბოლიდით თვითმფრინავ Boeing 777-ს გაეჯიბრა. პილოტს ორი ცდა ჰქონდა. პირველში მან თვითმფრინავთან სტარტი წააგო, მაგრამ "ბოინგს" აფრენის მომენტში დაეწია. სამაგიეროდ, მეორე ცდაზე რიდმა რევანშის აღება შეძლო.

ეს შეჯიბრი ახალ ზელანდიაში "A1 გრან პრის" ჩემპიონატის მორიგი ეტაპის გამართვას მიეძღვნა.

## TV სპორტი

**11 იანვარი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
15:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალბომი. ფენერბაჩე-ცსკა.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 დუბაის თასი 2008. მე-3 ადგილისთვის.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 დუბაის თასი 2008. მე-3 ადგილისთვის.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალბომი. რეინჯერსი-ლიონი.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 მინი-მოედანი.
08:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დალასი.
10:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:22 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:50 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
11:18 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XI ტური. ოლიმპიაკოსი-ცსკა.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
15:40 ჩემი სპორტი.
16:00 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. დავოსი (შვეიცარია)-სპარტა (ჩეხეთი). სტ. პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
19:03 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:30 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. მოდო (შვედეთი)-სლოვანი (სლოვაკეთი). სტ. პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
22:05 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:15 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. 1/2 ფინალი. მილანი-ბარსელონა.
00:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:05 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
00:32 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
00:59 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:45 ფეხბურთი. Barca TV.
02:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XI ტური. ბარსელონა-პანათინაიკოსი.
04:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
05:07 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XI ტური. ოლიმპიაკოსი-ცსკა.
07:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:55 ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. კიონიგზეე. გერმანია.
12:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
14:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
16:30 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
19:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. კვალიფიკაცია. ვალ დი ფიემი. იტალია (LIVE).
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მულტისპორტი.
22:30 დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 მულტისპორტი.
01:45 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
02:45 ექსტრემალური სპორტი.
03:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
20:00 პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო სპორტი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
23:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-კომეტალი (მაკედონია) (LIVE).
00:45 ექსტრემალური სპორტი.
01:45 ახალი ამბები.
02:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| აინტრახტი-ნიურნბერგი | 1:1 |
| ბორუსია (მ)-ვესტერლო | 3:2 |
| ვერდერი-ფრაიბურგი | 2:0 |
| **ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი** | |
| ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 0:0 |
| მალიორკა-რეალი | 2:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| აპოლონი-ლარისა | 1:2 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| პროკომი-ვირტუსი | 79:59 |
| მაკაბი-უნიკახა | 87:68 |
| ლე მანი-ეფესი | ო.ტ. 84:91 |
| ოლიმპიაკოსი-ცსკა | 71:67 |
| ბარსელონა-პანათინაიკოსი | 55:56 |
| ოლიმპია-ჟალგირისი | 74:83 |
| პარტიზანი-რეალი | 72:80 |

**ჰოკეი**

| ჩემპიონთა თასი | |
|---|---|
| კერპეტი-სპარტა | 3:5 |
| მეტალურგი (მ)-მოდო | 3:0 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-იზერლონი | 6:5 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-ტპს | 4:1 |
| იოკერიტი-ესპტი | 1:0 |
| კაიპა-კიეკო | 3:3 |
| ლუკო-პელიკანსი | 5:4 |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-აიკ | 3:4 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ოკლენდი | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-მაიერი | 6:3, 6:4 |
| ფერერი-ბენეტო | 4:6, 0:6 |
| ლოდრა-მონაკო | 6:4, 6:7, 6:7 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ტურსუნოვი-გროსჯანი | 6:4, 6:2 |
| ბერდიხი-გუჩიონე | 6:4, 6:7, 4:6 |
| შტეპანეკი-კალერი | 6:2, 6:4 |
| სანტორო-კოროლიოვი | 6:3, 6:3 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ანენი-ივანოვიჩი | 6:2, 2:6, 6:4 |
| კუზნეცოვა-ვაიდიშოვა | 7:5, 7:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პენეტა-დანიილიდუ | 4:6, 3:6 |
| ზვონარევა-ჰარკლროუდი | 6:2, 6:1 |

პეკინი 2008

# პეკინი თითქმის მზადაა



"ჩიტის ბუდის" მშენებლობა დასრულების ფაზაშია

პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორთა განცხადებით, ოლიმპიადისთვის განკუთვნილი თითქმის ყველა ნაგებობის მშენებლობა უკვე დასრულებულია. დასამთავრებელია მხოლოდ ერთი – მთავარი ოლიმპიური სტადიონი, რომელიც თავისებური კონსტრუქციის გამო, "ჩიტის ბუდის" მეტსახელითაა ცნობილი. გეგმის მიხედვით, სტადიონი მწყობრში მარტში უნდა ჩადგეს.

*"როგორც დაგეგმილი გვქონდა, თითქმის ყველა სპორტული კომპლექსის მშენებლობა შარშან დავასრულეთ. ახლა მათი ტესტირების დრო დგება. ოლიმპიური სტადიონი კი, როგორც განრიგში გვიწერია, მწყობრში მარტში შევა"*, - ამბობს პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ალმასრულებელი ვიცე პრეზიდენტის პრესმდივანი **ძიან სიაოიუ**.

სულ პეკინის ოლიმპიადას 37 სპორტული კომპლექსი მოემსახურება. გარდა ამისა, უკვე დასრულებულია ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. მალე დასრულდება ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიის ახალი შტაბ-ბინის მშენებლობაც.

"ჩიტის ბუდე" თავისი უცნაური კონსტრუქციით გამოირჩევა, ოლიმპიურ სოფელში კი მას გვერდს უმშვენებს ასევე ორიგინალური საწყლოსნო კომპლექსი "წყლის კუბი", რომლის გარე კარკასი უნიკალურ კონსტრუქციას წარმოადგენს. კარკასი ნახევრად გამჭვირვალე, ლურჯი ფერის და ბუშტების მოყვანილობის მქონე სეგმენტებისგან შედგება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, მზის შუქს ან ირეკლავს (ზაფხულში), ან ატარებს (ზამთარში) და ამით, კომპლექსის გათბობას უზრუნველყოფს.

*"ჩვენ უკვე დავასრულეთ "წყლის კუბის" მშენებლობა და მალე მასზე სატესტო ტურნირსაც ჩავატარებთ. ეს ტურნირი რომ არა, აუზს ჯერ არც გავავსებდით"*, - ამბობს ძიანი.

უფრო ადრე, კერძოდ კი სექტემბერში დასრულდა საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალის მშენებლობა, რომელიც ფოლადისა და შუშის უზარმაზარი კონსტრუქციაა და პეკინის ხელისუფლების აზრით, ქალაქში ჩაფრენისთანავე განაცვიფრებს ოლიმპიადის მონაწილეებსა და სტუმრებს.

აეროპორტის მესამე ტერმინალი ერთ-ერთი მთავარი ნაწილია პეკინის ოლიმპიური პროექტისა, რომელიც დანარჩენი ორი, მეტისმეტად გადატვირთული ტერმინალის განტვირთვას და მგზავრების კომფორტის უმაღლეს დონეზე უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

მესამე ტერმინალი ულტრათანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი, რომლის მსგავსიც ცოტა ხნით ადრე, ჰონ კონგის საერთაშორისო აეროპორტის ახალ ტერმინალში გამოიყენეს. ავტომატიზირებულია ბარგის განაწილება-მიწოდების პროცესი, აეროპორტის მახლობლად კი ამოქმედდება სალიანდაგო ხაზი, რომელიც მგზავრებს აეროპორტიდან ქალაქამდე მოკლე დროში მიიყვანს. რაც მთავარია, ასაფრენ ბილიკს "ეარბასის" უახლესი სუპერგიგანტის, A380-ს მიღება შეუძლია.

მარტო ტერმინალის მშენებლობა პეკინის ხელისუფლებას 2.8 მილიარდი დოლარი დაუჯდა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის შექმნისთვის კი 4.6 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

პეკინის ხელისუფლების განცხადებით, ქალაქს ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება რომც ვერ მოეპოვებინა, აეროპორტის ახალი ტერმინალი მაინც ასაშენებელი იქნებოდა. ეს კი ჩინეთის ეკონომიკის სწრაფი ტემპით ზრდის შედეგია.

ახალი ტერმინალი ბრიტანელ არქიტექტორ **ნორმან ფოსტერის** მიერაა დაპროექტებული და მასში, ტრადიციული ჩინური კულტურის ელემენტებთან თანამედროვე ტექნოლოგიებია შეხამებული. ტერმინალის სტრუქტურა წითელი ფერის ბურჯებს ეყრდნობა, მისი სახურავი კი ოქროსფერია, რითაც აეროპორტის შენობა ჩინეთის იმპერიის დროინდელ სასახლეებს მოგვაგონებს. მარტო ბარგის განაწილების სისტემის შეძენასა და დამონტაჟებაზე 250 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ეს სისტემა გერმანულ კონცერნ "სიმენსის" მიერაა შექმნილი და მას საათში დაახლოებით 19 000 ნაჭერი ბარგის გატარება შეუძლია.

დაბოლოს, სპორტული კომპლექსების მშენებლობაზე, სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურების განვითარებაზე, პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორები სულ 40 მილიარდ დოლარს დახარჯავენ.

2016 წლის თამაშები

# რიომ ოლიმპიადისთვის ბრძოლა დაიწყო

რიო დე ჟანეირომ 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლა დაიწყო და პირველ ნაბიჯად, ოლიმპიადის მასპინძლობის განაცხადის საორგანიზაციო კომიტეტმა თავისი სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნა. ორგანიზატორთა განცხადებით, ახალი გეგმა გაცილებით მოკრძალებულია, ვიდრე ის საგანაცხადო გეგმები, რომლებიც რიოს ხელისუფლებას წინა ოლიმპიადებისთვის ჰქონდათ შედგენილი.

გეგმა ითვალისწინებს **ჟოაო აველანჟის** სახელობის სტადიონის გამოყენებას, რისთვისაც მას საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ოლიმპიადის დაწყებამდე ორი წლით ადრე, ფეხბურთში მსოფლიო თასის სამასპინძლოდ ჩაუტარდება. ამ სტადიონზე ჩატარდება ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიები, ასევე მძლეოსანთა ასპარეზობა.

გარდა ამისა, ქალაქის ხელისუფლება გეგმავს სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზებას. კერძოდ, მნიშვნელოვნად გაფართოვდება მეტროს ქსელი. დაიხვეწება საავტობუსო ხაზები. ის ტრანსპორტო, რომელიც ოლიმპიადის მონაწილეებს და სტუმრებს მოემსახურება, ბუნებრივ გაზსა და ბიოსაწვავზე იმუშავებს.

ოლიმპიური გეგმა ითვალისწინებს ოლიმპიური სოფლის ავტოდრომ "ჟაკარეპაგუას" ადგილზე აშენებას. ტრასა, რომელიც ერთ დროს ფორმულა ერთის რბოლებს მასპინძლობდა, თავის ადგილს რამდენიმე ოლიმპიურ სპორტულ კომპლექსს დაუთმობს. შეგახსენებთ, რომ "ჟაკარეპაგუაზე" ბრაზილიის დიდი პრიზი ბოლოს 1989 წელს ჩატარდა და ის რბოლა ბრიტანელმა **ნაიჯელ მიენსელმა** მოიგო.

ცნობისათვის, სამხრეთ ამერიკაში აქამდე ოლიმპიური თამაშები არასოდეს ჩატარებულა. ოლიმპიადის მასპინძლობა რიომ ორჯერ (2004 და 2012 წლებისთვის) სცადა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ხელი მოეცარა. ბრაზილია ფეხბურთში მსოფლიოს თასს 2014 წელს უმასპინძლებს და ჩემპიონატის მატჩები რიოს სტადიონებზეც ჩატარდება. ამდენად, ოლიმპიადისთვის ქალაქს ინფრასტრუქტურის ნაწილი მზად ექნება.

რაც შეეხება 2016 წლის ოლიმპიადას, მისი მასპინძლობისთვის რიოს გარდა ასევე იბრძვიან აშშ-ის ჩიკაგო, ესპანეთის მადრიდი, იაპონიის ტოკიო, ყატარის დოჰა და აზერბაიჯანის ბაქო.

რიო დე ჟანეიროს მერი **სესარ მაია** ამბობს, რომ ამჯერად ქალაქი ოლიმპიადისთვის იმ სპორტულ ნაგებობათა გამოყენებას გეგმავს, რომლებზეც შარშან პან-ამერიკული თამაშები ჩატარდა. ეს ნაგებობები ახლავე აკმაყოფილებს ოლიმპიურ მოთხოვნებს, თუმცა 2016 წლისთვის მათ მაინც ჩაუტარდებათ რეკონსტრუქცია. ამ ნაგებობათა შორისაა ჟოაო აველანჟის სახელობის სტადიონი, რომლის ტრიბუნების ტევადობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

*"ოთხი წლის წინ ჩვენ სრულიად კონკურენტუნარიანი განაცხადი გვქონდა, მაგრამ ის განაცხადა ვარაუდებზე იყო დაყრდნობილი და ნაკლებად გვქონდა კონკრეტული გეგმები. ამჯერად საქმე სულ სხვაგვარადაა. ჩვენს ქალაქს ოლიმპიადის უმაღლეს დონეზე ჩატარება ახლავე შეუძლია, თუმცა 2016 წლისთვის მაინც ვაპირებთ ახალი კომპლექსების და ოლიმპიური სოფლის აშენებას"*, - ამბობს სესარ მაია.

ბრაზილიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **არტურ ნუჟმანი** ამბობს, რომ განაცხადში შეტანილ ოლიმპიურ ნაგებობათა 56 პროცენტი ახლავე მზადაა ოლიმპიური ტურნირების სამასპინძლოდ. დანარჩენ ნაგებობათა ასაშენებლად კი საგანაცხადო გეგმაში 508 მილიონი დოლარია გათვალისწინებული. ეს კი თანამედროვე სტანდარტებით მეტისმეტად მცირე თანხაა და რა თქმა უნდა, რიოს განაცხადის სასარგებლოდ იმუშავებს, რადგან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი ოლიმპიადების მასპინძლობისთვის გაღებული ხარჯების შემცირებაა.

ნუჟმანი იმედს გამოთქვამს, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის გამო, ბრაზილიას ოლიმპიადის მასპინძლობაზე უარს არ ეტყვიან. მას მსგავსი მაგალითებიც მოჰყავს და ამბობს, რომ ორწლიანი ინტერვალით, თავის დროზე, ოლიმპიადასა და მსოფლიო ჩემპიონატს მექსიკამ და გერმანიამაც უმასპინძლეს.



დოპინგი

# შუმახერი ამფეტამინზე ჩავარდა

გერმანელ ველომრბოლი **შტეფან შუმახერი**, ვინც შარშან, საგზაო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა, ამფეტამინის გამოყენებაზეა ეჭვმიტანილი.

შუმახერი შტუტგარტის პოლიცამ ნასვამ მდგომარეობაში შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ექვსი დღის შემდეგ, ოქტომბერში დააკავა, ლაბორატორიულმა ანალიზმა კი ველომრბოლის სისხლში ამფეტამინის მომეტებული შემცველობა დააფიქსირა.

ველოსპორტში შეჯიბრის პერიოდში ამფეტამინების გამოყენება 1967 წლიდანაა აკრძალული. ჯერჯერობით დადგენილი არ არის, როდის მიიღო შუმახერმა ამფეტამინები. გერმანიის ველოსპორტის ფედერაცია ამ საკითხს ჯერაც სწავლობს და თუ დამტკიცდა, რომ შუმახერს ეს პრეპარატი შტუტგარტში გამოსვლამდე ჰქონდა მიღებული, მას სანქცია არ ასცდება.

გერმანულ გუნდ "გეროლშტაინერის" შეფი **ჰანს მიხაელ ჰოლცერი** ამბობს, რომ მომხდარი შუმახერის პირადი საქმეა და ამის გამო, გუნდი მის წინააღმდეგ არანაირი სანქციის გამოყენებას არ აპირებს. რაც შეეხება თავად ველომრბოლს, ის კომენტარებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. მისი ადვოკატი კი ამბობს, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული ტესტის დროს, შუმახერის სინჯში ამფეტამინის დონე დაშვებულზე ოდნავ მეტი იყო. მანვე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი წარმატებული გამოსვლა შუმახერმა დისკოთეკაზე, მეგობრებთან ერთად აღნიშნა, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ანალიზის შედეგებზე.



ოლიმპიური ჩემპიონი

# კოვაჩი პეკინში არ იცურავებს

ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი მოცურავე **აგნეშ კოვაჩი** ამბობს, რომ არ აპირებს პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობას, რადგან მის გარშემო ატეხილმა დოპინგ-სკანდალმა მისი რეპუტაცია შელახა.

*"რა თქმა უნდა, დოპინგ-ტესტები აუცილებელი პროცედურაა იმისათვის, რომ სპორტი თაღლითებისგან დავიცვათ. მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ უდანაშაულო სპორტსმენებს რეპუტაცია არ შეელახოთ. ჩემს შემთხვევაში, უდანაშაულობის პრეზუმპცია დაირღვა. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისი ბრალია ყოველივე, რადგან ამიერიდან, ჩემი სახელი დოპინგთან ასოცირდება. ყოველივეს გამო, მე პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას არ ვაპირებ და იმაზეც ვფიქრობ, აქვს თუ არა აზრი საერთოდ, სპორტული კარიერის გაგრძელებას"*, - ამბობს კოვაჩი, ვისაც შარშან ნოემბერში ყოველგვარი ბრალდება მოეხსნა.

კოვაჩმა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე, 200 მეტრზე ბრასში მოიპოვა ოქროს მედალი. შარშან კი, ოქტომბერში ჩატარებულ არასაშეჯიბრო შემოწმებაზე, არასაკმარისი სინჯში ჩააბარა, რაც დოპინგსაწინააღმდეგო კომისიამ ტესტისგან თავის არიდებად ჩაუთვალა. ეს მანამ მოხდა, სანამ კოვაჩი უნისეფ-ის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად გაემგზავრებოდა. უნისეფ-მა უნგრელ მოცურავეს თავიანთი ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩობა შესთავაზეს. მოგვიანებით, სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციამ (FINA) კოვაჩს ბრალდება მოუხსნა.



აგნეშ კოვაჩი

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დილომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა